საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 067 (12 442) 21 მარტი პარასკევი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



ახალი ფორვარდები რეალის სიაში

მსოფლიო ფეხბურთი »» 6-10

საქართველოსთან უკვე ანჩელოტის იტალია?

მეტოქის ბანაკში »» 5



## ვის ინტერესებშია ნაკრების მეკარის ტრანსფერი?

ოპერაცია, სახელად მაკარიძე

»» 4



## ალმასკომის წევრები ტოპის წინააღმდეგ

»» 5

## ლიდერთა საშინაო დავალება და აუტსაიდერთა შანსი

საქართველოს ჩემპიონატი. XVIII ტურის წინათქმა

»» 2-3



## ქართველი ჭაბუკი ბრაზილიაში

»» 5



## კაპელომ ბექჰემი დააბრუნა, ტრეზეგე კი ევროპას ვერ ნახავს

სანაკრებო ამბები »» 9

## რაიკაარდის მძიმე დღეები



## ბარსა გავარდა, ვალენსია ცოცხალია

ტექნიკური შედეგები »» 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# სეგრტის გუნდი გლდანში ითამაშებს

## ლატვიასთან აზერბაიჯანელი გვიმსაჯებს

ეროვნული ნაკრების მატჩამდე, თამაშს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები გამართავს. ქართველი 21-წლამდელები მომავალ სამშაბათს, 25 მარტსქ ლატვიას უმასპინძლებენ. ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით შეხვედრა გლდანში, "ამერის" სტადიონზე ჩატარდება და 16 საათზე დაიწყება.

მატჩს აზერბაიჯანელი მსაჯები მოემსახურებიან. მთავარი მსაჯი, ფიფას კატეგორიის არბიტრი **ვიუსალ ალიევი** იქნება.

**დავით ცაბაძე**

15-წლამდელთა ნაკრები

# ორი მარცხი სტარტზე

**პორტუგალია-საქართველო 1:0**

20 მარტი. პორტუგალია. ლეირა. "ესტადიო მუნისიპალ დე ოვიდოში" 150 მაყურებელი.

საქართველო: **ლეგაშვილი, სართანია, ხარაბაძე, დოლიძე, ჩხიკვიშვილი (55. ნარიმანიძე), ფოცხვერია (32. გელაშვილი), ხოჭოლავა, ჭანტურია (60. ყაზაიშვილი), ჩინჩალაძე, ხარლამოვი, ლუკავა.**

პორტუგალიაში ჭაბუკთა შორის საერთაშორისო ტურნირი დაიწყო, რომელშიც ჩვენი 15-წლამდელთა ნაკრები მონაწილეობს. ეს ის გუნდია, გაისად, 2009 წლის შემოდგომიდან რომ ჩაერთვება ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში. თუმცა **გელა შეყილაძემ** გაისისთვის ახლავე დაიწყო გუნდის მომზადება.

თავიდანვე გეტყვით, რომ ჩვენმა გუნდმა სასტარტო 2 მატჩი წააგო, თუმცა ეს ამ გუნდისთვის პირველი გასვლა იყო უცხოეთში და ჭაბუკებმა მცირე გამოცდილება მაინც შეიძინეს.

ჯერ გუშინდელ მატჩზე ვთქვათ, მერე კი წინაზე. შეყილაძის გუნდმა გუშინ უკეთ ითამაშა, ვიდრე სასტარტო შეხვედრაში. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მასპინძლებმა ერთადერთი ბურთი მე-19 წუთზე გაიტანეს, მაგრამ ქართველებსაც არაერთხელ შეეძლოთ გოლის გატანა. პირველ ტაიმში **ხოჭოლავამ** და **ხარლამოვმა** საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს. შესვენების შემდეგ კიდევ ერთი კარგი მომენტი ჰქონდა ჩვენს გუნდს. **ყაზაიშვილმა** სამი მეტოქე ჩამოიცილა და მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ მას ველარ აჯობა.

*"პორტუგალიასთან ჩემმა გუნდმა უფრო უკეთ ითამაშა, ვიდრე პირველ შეხვედრაში თურქეთთან. პორტუგალიამ ჩვენზე უკეთ ითამაშა, გვაჯობა და სამართლიანადაც მოიგო. ჩვენი გუნდი ჩამოყალიბების პროცესშია. ამ ეტაპზე მთავარია, გუნდი შეთამაშდეს და საერთაშორისო გამოცდილება მიიღოს"*, - მატჩის შემდეგ აღნიშნა ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გელა შეყილაძემ.

ახლა კი პირველ თამაშზეც ვთქვათ. ტურნირის სასტარტო მატჩში ჩვენი ჭაბუკები თურქეთთან დამარცხდნენ. არადა ჩვენები ორჯერ იგებდნენ თამაშს. 23-ე წუთზე გია ხარლამოვმა დავით ხოჭოლავას პასით გახსნა ანგარიში. თურქებმა 5 წუთში გაათანაბრეს ანგარიში და ტაიმიც ფრედ დასრულდა.

მეორე ნახევარი ქართველებმა კარგად დაიწყეს. ჯერ იყო და **გიორგი ჭანტურია** მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ თურქთა გოლკიპერს ვერ აჯობა. 49-ე წუთზე კი **ზურაბ ლუკავას** გადაცემით დავით ხოჭოლავამ კიდევ ერთხელ დააწინაურა ჩვენი გუნდი. ქართველები დაწინაურებამ მოადუნა და მეტოქეს ორი წუთი დასჭირდა წონასწორობის ხელმეორედ აღსადგენად. მიღებულმა გოლმა ჩვენებზე კიდევ უფრო ცუდად იმოქმედა და 3 წუთში უკვე თურქები დაწინაურდნენ 2:3. 61-ე და 66-ე წუთებზე კი თურქმა ჭაბუკებმა კიდევ გაგვიტანეს და საბოლოოდ 2:5 წავაგეთ.

თურქეთთან გელა შეყილაძის გუნდმა შემდეგი შემადგენლობით ისასპარეზა:

საქართველო: **ლეგაშვილი, სართანია, ხარაბაძე (65. მანაგაძე), დარბაისელი (35. დოლიძე), ჩხიკვიშვილი (65. თევდორაძე), ფოცხვერია (35. ლუკავა), ხოჭოლავა, ჭანტურია (55. გელაშვილი), ჩინჩალაძე, ხარლამოვი, ნარიმანიძე (35. ყაზაიშვილი).**

დაბოლოს, ჩვენი ჭაბუკები ტურნირის დასკვნით შეხვედრას შაბათს 22 მარტს სლოვაკეთის ნაკრებთან ჩაატარებენ.

**დავით ცაბაძე**



გელა შეყილაძე

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა

# ლიდერთა საშინაო დავალება



პავლე დათუნაიშვილი და ვიტ ჯორჯია (ბურთით) დღეს სიონის დამარცხებას შეეცდება

ეროვნული ჩემპიონატი უწყვეტად გრძელდება და მეთვრამეტე ტურის დროც დადგა. როგორც ხედავთ, დღეს და ხვალ სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილის ბინადრებს შორის დაპირისპირება არ შედგება, თუმცა საჩემპიონო თუ საევროთასო ბრძოლაში გარკვეული ცვლილებები მაინც არაა გამორიცხული. ზესამეულის წევრები შინ თამაშობენ და ქულების დაკარგვის უფლება არა აქვთ, აუტსაიდერთა რიგებში კი ერთი ურთიერთშეხვედრის მომსწრენი გავხდებით, სადაც ბოლო დროს გამოცოცხლებულ "ბათუმს" ამაღლების შანსი მიეცემა.

**15:00 ვიტ ჯორჯია-სიონი**

21 მარტი. მცხეთა. არმაზი.
პირველ წრეში: 1:3

**სავარაუდო შემადგენლობები**

ვიტ ჯორჯია: **ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ყველაშვილი, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, ლუჭაშვილი, სახოკია**

დისკვალიფიკაცია: *დ. ლომაია, ბეჭვაია*

სიონი: **ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, ბოიომო, გ. ოქროპირიძე, კობაური, ბ. ნოზაძე, ბაჯელიძე, სანიკიძე, შავგულიძე, გ. ნუგ. ჭელიძე, ჩასემი**

არბიტრი: *ა. კრიჭაშვილი*

პირველ წრეში ჩემპიონატის საშუალო გუნდებთან "ვიტ ჯორჯიამ" რამდენიმე გაუთვალისწინებელი ქულა დაკარგა. ვეტერინარებმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანაკლისი ბოლნისში განიცადეს და დღეს რევანშის აღება მართებთ. ერთი შეხედვით, "ვიტ ჯორჯიას" "დინამოსა" და "ზესტაფონთან" შედარებით, რთული მატჩი ელის, მაგრამ გამარჯვების მეტი შანსი მაინც მასპინძლებს აქვთ. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ 2005-06 წლების სეზონში ჩემპიონობისთვის ბრძოლა სწორედ ამ ორ გუნდს შორის მიმდინარეობდა. მაშინ ოქრო "სიონს" დარჩა, ვერცხლი კი "ჯორჯიას".

**15:00 ზესტაფონი-დილა**

21 მარტი. ზესტაფონი. ცენტრალური.
პირველ წრეში: 2:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

ზესტაფონი: **რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, საჯაია, ლობჟანიძე, რ. ონიანი, ბენაშვილი, ხიდეშელი, დაუშვილი, ვიეირა, ბ. გოცირიძე, ბიტოო**

დისკვალიფიკაცია: *კესანი*

დილა: **ცერცვაძე, ბერიანიძე, გვეტაძე, ლაცაბიძე, ბალაშვილი, სადალაშვილი, ნ. ნოზაძე, სულთანიშვილი, შატაკიშვილი, გ. ნინამძღვრიშვილი, გ. მიქაძე**

დისკვალიფიკაცია: *ტლაშაძე*

არბიტრი: **ა. ნონიკაშვილი**

"ზესტაფონი" არასახარბიელო ფორმაშია, მაგრამ წესით, ფეროელებმა "დილას" მაინც უნდა სძლიონ. იმერელთა საკადრო პრობლემებს ნახევარდაცვის ლიდერის, **პოლ კესანის** დისკვალიფიკაცია ემატება. "დილა" კი უიმედო აუტსაიდერია და სასწაული იქნება, გორელებმა უმაღლესში ადგილის შენარჩუნება რომ შეძლონ.

**15:00 ამერი-ბორჯომი**

21 მარტი. თბილისი. ამერი.
პირველ წრეში: 0:3

**სავარაუდო შემადგენლობები**

ამერი: **ლ. ნადირაშვილი, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, მემარნიშვილი, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, შალამბერიძე, დავითაშვილი, რ. გოცირიძე**

დისკვალიფიკაცია: *დიდავა, ტატანაშვილი*

ბორჯომი: **სეფიაშვილი, ქარქოზაშვილი, ნ. ლომიძე, კაკუბავა, ქავთარაძე, ვ. ბოლქვაძე, შ. გრიგალაშვილი, თედიაშვილი, გოგიჩაიშვილი, მეგრელაძე, ჯიუსტი**

არბიტრი: *დ. ხარიტონაშვილი*

დღევანდელი მატჩი ნამდვილად არ იქნება ისეთი დაძაბული, როგორც "ამერისა" და "ბორჯომის" მოახლოებული სათასო ნახევარფინალი, მაგრამ არც რეპეტიცია უნდა გამოდგეს უინტერესო. ერთი ეგაა, ჩემპიონატში დიდი მოტივაცია არც გლდანელებს შერჩათ და არც ბორჯომელებს. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ "ბორჯომი" "ამერისთვის" ტრადიციულად, უხერხული მეტოქეა. **ხაჩიძის** გუნდმა თასის მოქმედი მფლობელი შარშანაც გაამწარა, ამ სეზონის პირველ წრეში კი 3:0 გაანადგურა.

**15:00 ბათუმი-მერანი**

21 მარტი. ბათუმი. ადელი.
პირველ წრეში: 1:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბათუმი: **სტურუა, თედორაძე, მაკარიანი, კ. მახარაძე, კუნჭულია, ცანავა, ქებაძე, ბაბუნაშვილი, ბეჟანიძე, გ. ჩხეტიანი, გ. ნოდ. ჭელიძე**

მერანი: **თევდორაძე, ლოლაძე, ჯანგიძე, ლ. გრიგალაშვილი, ქემაშვილი, სარალიძე, კობერიძე, ქოქიაშვილი, ბესარაშვილი, ფურთუხია, ი. შენგელია**

დისკვალიფიკაცია: *გიგაური, მ. ყლენტი*

არბიტრი: **ლ. კვარაცხელია**

"ბათუმმა" წინა ტურში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა და ბოლოდან ბოლოსწინა ადგილზე გადაინაცვლა. დღეს აჭარულ კლუბს კიდევ მეტად აღზევების შესაძლებლობა აქვს. ბუნებრივია, "მერანიც" მთელი შემართებით იბრძოლებს, თბილისელებიც სახიფათო ზონისთვის თავის დაღწევას ლამობენ. სავარაუდოდ, დღეს "ბათუმის" შემადგენლობაში დებიუტი ექნება მოსკოვის "ლოკომოტივისა" და "ზესტაფონის" ყოფილ ფორვარდს, პირველი წრის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირ გიორგი ნოდარის ძე ჭელიძეს.

**15:00 დინამო-სარტაკი**

*პირდაპირი რეპორტაჟი მზე ზე*
22 მარტი. თბილისი. ეროვნული.
პირველ წრეში: 3:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

დინამო: **ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, გ. კაშია, დობეში, ხმალაძე, დილმელაშვილი, ოდიკაძე, გ. მერებაშვილი, ხუციშვილი, ვანაძე**

დისკვალიფიკაცია: *კრშკო*

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი
პაატა გელაშვილი

მიმართულების რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი)
გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი)

განყოფილების რედაქტორები
პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი)
შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი)

კონცეფცია და დიზაინი
ნოდარ დუგლაძე

ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი
მიხეილ ჯაში

გავრცელების სამსახური
ბაქარ გაჩეჩილაძე
დავით მაისურაძე
გივი ვეშაპიძე

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

მისამართი:
0159
თბილისი
ახმეტელის 10ა
(დიღომი, ახალი კინოსტუდია, პირველი სართული)

ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
ფაქსი: +995. 32 46 32 62.

ელფოსტა: SPORTI@SPORTI.GE
ინდექსი 66435 INDEX

გამოიცემა ყოველდღე. გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVIII ტური. წინათქმა

# და აუტსაიდერთა შანსები




შაბათს თედიაშვილის განვრთნილ მესხეთს ახლადდანიშნული ქასრაშვილის ოლიმპი ეთამაშება

სპარტაკი: ქვილითაია, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, ბახტურიძე, მამუკაშვილი, თარხნიშვილი, ტყეშელაშვილი, ძარია, გოგოხია, ხიდეშელი, მ. ლონლაძე

არბიტრი: ლ. სილაგავა

ამ გუნდებს შორის გამართული დრამატული სათასო მეოთხედფინალი ყველას ახსოვს. რომ არა "სპარტაკის" მეკარე **კოდალაევის** უხეში შეცდომა, ნახევარფინალში, ალბათ, მისი გუნდი გავიდოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ **ჟორჟიკაშვილის** გუნდი ერთპიროვნულ ლიდერს დღესაც მედგრად შეებრძოლება. დინამოელები კი მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობენ. საჩემპიონო რბოლისას ასეთ შეხვედრებში ქულების დაკარგვა არ შეიძლება.

**15:00 მესხეთი-ოლიმპი**

22 მარტი. ბორჯომი. ზაინკლიშვილი.
პირველ წრეში: 0:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

მესხეთი: სომხიშვილი, ლ. მერებაშვილი, თ. ლონლაძე, ლეკიშვილი, რაქვიაშვილი, გ. ნადირაშვილი, კ. ხანიშვილი, ინასარიძე, კოშკაძე, გვირჯიშვილი, ი. კიკნაძე

ოლიმპი: შეყრილაძე, ორბელაძე, მახვილაძე, გენაძე, ხუბუა, გაბედავა, ჯოჯუა, ნ. მგელაძე, გაბედავა, კოვალევსკი, ომელიანოვი

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

"ოლიმპის" მთავარი მწვრთნელის რანგში დღეს დებიუტი **ხვიჩა ქასრაშვილს** ექნება. მან უკრაინელი **ანატოლი პისკოვეცი** შეცვალა, რომელმაც თანამდებობა, ოფიციალური ინფორმაციით, საკუთარი სურვილით დატოვა. მოქმედ ჩემპიონს უკვე შეგვიძლია ექსჩემპიონი ვუწოდოთ. "ოლიმპის" ერთადერთი მიზანი ინტერტოტოზე გასვლაა. "მესხეთს" კი თავი თითქმის ქუდში აქვს - ახალციხელთა პროგრამა-მინიმუმიცა და პროგრამა-მაქსიმუმიც უმაღლეს ლიგაში დარჩენა იყო, ეს ამოცანა კი ფაქტობრივად, შესრულებულია.

**15:00 მგლები-ლოკომოტივი**

22 მარტი. ზუგდიდი. ოუთბერიძე.
პირველ წრეში: 1:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

მგლები: ივარდავა, ზ. ექონია, მაჭავარიანი, ჟვანია, კაკაბაძე, ხოხონიშვილი, დ. ქირია, ვართაგავა, კუტალია, ნურნუმია, კრასოვსკი

ლოკომოტივი: მ. ალავიძე, დ. ფოფხაძე, ფარულავა, გუშარაშვილი, ქუხილავა, გულორდავა, ქუცურუა, ნულაძე, დარასელია, ბარბაქაძე, ალექსიძე

დისკვალიფიკაცია: ზ. ჩხეტიანი

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

"ლოკომოტივს" დღესაც მართებს იმის დამტკიცება, რომ შემადგენლობის გაძლიერებას მისთვის რეალური შედეგები მოაქვს. ზუგდიდში გამარჯვება ყველასთვის რთულია, თუმცა უდავოა, რომ რკინიგზელები სამეგრელოდან სამი ქულის წამოღებას შეეცდებიან. უკიდურეს შემთხვევაში, მათთვის ფრეც ნორმალური შედეგი იქნება. "მგლებს" კი "მესხეთის" მსგავსად, სანერვიულო თითქმის არაფერი აქვთ...

**ლევან ჯანეზაშვილი**

**XVIII ტური**

| 21 მარტი. პარასკევი | |
|---|---|
| 15:00 | ბათუმი-მერანი |
| 15:00 | ვიტ ჯორჯია-სიონი |
| 15:00 | ამერი-ბორჯომი |
| 15:00 | ზესტაფონი-დილა |
| **22 მარტი. შაბათი** | |
| 15:00 | მგლები-ლოკომოტივი |
| 15:00 | მესხეთი-ოლიმპი |
| 15:00 | დინამო-სპარტაკი Live მზეზე |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 17 | 15 | 0 | 2 | 44-9 | 45 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 17 | 14 | 1 | 2 | 31-9 | 43 |
| 3. ზესტაფონი | 17 | 12 | 3 | 2 | 32-10 | 39 |
| 4. ოლიმპი | 17 | 9 | 3 | 5 | 17-12 | 30 |
| 5. ამერი | 17 | 9 | 2 | 6 | 26-18 | 29 |
| 6. ბორჯომი | 17 | 8 | 4 | 5 | 22-17 | 28 |
| 7. მესხეთი | 17 | 7 | 3 | 7 | 17-22 | 24 |
| 8. მგლები | 17 | 7 | 2 | 8 | 16-19 | 23 |
| 9. სიონი | 17 | 5 | 5 | 7 | 20-20 | 20 |
| 10. სპარტაკი | 17 | 4 | 4 | 9 | 7-18 | 16 |
| 11. მერანი | 17 | 4 | 1 | 12 | 8-27 | 13 |
| 12. ლოკომოტივი | 17 | 3 | 3 | 11 | 10-24 | 12 |
| 13. ბათუმი | 17 | 2 | 3 | 12 | 8-31 | 9 |
| 14. დილა | 17 | 1 | 4 | 12 | 7-29 | 7 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 11 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 11 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 8 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია/ზესტაფ.) | 8 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 8 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 7 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| ჩალუმი (სიონი) | 7 |

ისევ გარიგებულ მატჩებზე

# მედიასთან კომენტარი აკრძალულია

ბრძოლა გამოვუცხადოთ გარიგებულ მატჩებსო, ბრძანეს ფეხბურთის ფედერაციის ახლახან გამართულ ალმასკომზე და ამის დასტურად საქმეში პროკურატურა ჩართეს.

თუმცა ფედერაციის ხელმძღვანელობა მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდა და ფეხბურთში არსებული სენის წინაალმდეგ ბრძოლაში გუშინ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, **ნოდარ ახალკაცი** მსაჯებსა და მსაჯთა დამკვირვებლებს შეხვდა. ფედერაციის პრეზიდენტმა შეკრებილთ ალმასკომის დადგენილება გააცნო და კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ გარიგებული მატჩების წინააღმდეგ მასშტაბური ბრძოლა დაწყებულია.

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი, ფიფასა და უეფას ინსტრუქციების შესაბამისად, მსაჯებსა და მსაჯთა დამკვირვებლებს მასმედიისთვის რაიმე სახის კომენტარის გაკეთება მკაცრად აეკრძალათ.

**დავით ცაბაძე**

# ცხადაძე ვეტერინარებს სამი კვირით გამოკლდა

**ბაჩანა ცხადაძე მეორე წრიდანაა ვიტ ჯორჯიაში, მაგრამ ახალი კლუბის მაისური მხოლოდ ერთხელ, "ზესტაფონთან" მატჩისას მოირგო. მან დღემდე ვერ შეძლო ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება, რაც ხშირი ტრავმიანობის ბრალია. ის გუნდს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კიდევ რამდენიმე კვირა ვერ დაეხმარება**

- გუნდში ყველაფერი კარგადაა, აქაურობას მშვენივრად შევეწყე, მაგრამ ჯანმრთელობის პრობლემები მაქვს.

**- რა გჭირს?**

- ვარჯიშზე კოჭი გადამიტრიალდა და მყესები მაქვს დაზიანებული.

**- რამდენი ხანი მოგიწევს დასვენება?**

- ზუსტად არ ვიცი, დაახლოებით სამი კვირა.

**- სამ კვირაში სრული დატვირთვით შეძლებ ვარჯიშს თუ მსუბუქად?**

- ეხლა დაზუსტებით ვერ ვიტყვი, ვნახოთ, გამოჯანმრთელების პროცესი როგორ წარიმართება.

**- როდის მიიღე ტრავმა?**

- ოთხშაბათს, ვარჯიშზე.

**- მოკლედ ვერა და ვერ აგეწყო "ვიტ ჯორჯიაში" საქმეები...**

- ფორმას ვიბრუნებდი, ეს პერიოდი საკმაოდ კარგად ვგრძნობდი თავს და უცებ ეს დამემართა. გული ძალიან დამწყდა.

**- ამ სეზონში მოასწრებ კიდევ ფორმის აღდგენას და თამაშს?**

- კი, სეზონის ბოლომდე აუცილებლად ავიდგენ ფორმას და ვეცდები ჩემი წვლილი შევიტანო გუნდის წარმატებაში.

**- როგორ შეაფასებ შენი ახალი გუნდის შანსებს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში?**

- რაც დრო გადის, უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ჩემპიონობა რეალურია, ჩემი აზრით, "დინამოსთან" მატჩში გაირკვევა ყველაფერი. თუმცა როცა ჩემპიონობისთვის იბრძვი ყველა თამაში ფინალივითაა. მოდუნება არც ერთ მეტოქესთან არ შეიძლება.

**- ბაჩო,. როგორ ფიქრობ, ვიტ ჯორჯიიდან გექნება ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვედრის შანსი?**

- ასაკიდან გამომდინარე წლეულს ახალგაზრდულში მოხვედრის ბოლო შანსი მაქვს და თუ დავიმსახურებ, იმედი მაქვს შანსი მომეცემა, მით უმეტეს ჩვენი გუნდიდან არაერთი ფეხბურთელია ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებში. გუნდში ყველანაირად ხელს მიწყობენ და ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული.

**ავთანდილ ცეცხლაძე**



ბაჩანა ცხადაძე

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ გიორგი დემეტრაძესთან

# ბელფასტში ბოლომდე ვიბრძოლებთ!



გიორგი დემეტრაძე

რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ კიევის "არსენალის" ფორვარდი გიორგი დემეტრაძე კვლავ ნაკრებში გამოიძახეს. ეროვნული გუნდის თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა მას ჩრდილოეთ ირლანდიასთან გასვლითი მატჩისთვის უხმო. უკრაინის ჩემპიონატში, ბოლოს გამართულ ტურში კიეველმა "მეთოფეებმა" "ვორსკლა" 3:2 დაამარცხეს. მასპინძელთაგან პირველი გოლი კი სწორედ დემეტრაძემ გაიტანა.

ნაკრებში ფეხბურთელის გამოძახება კლუბებისთვის პრესტიჟია და ეროვნულში გიორგი დემეტრაძის დაბრუნება კიეველებსაც არ გამოჰპარვიათ. "არსენალის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გუშინ დემეტრაძესთან ინტერვიუ შემოგვთავაზა, რომელიც მთლიანად საქართველოს ნაკრებსა და თავად დემეტრაძეს ეხება.

**- ნაკრებში გამოძახება თქვენთვის მოულოდნელი იყო?**

- არა, სრულებითაც არ გამკვირვებია. ეროვნულ გუნდში გამოძახებულთა შორის სტაბილურად ვარ ხოლმე. ასე რომ, ამაში გასაკვირი არაფერია.

**- თუმცა საქართველოს ნაკრების ბოლო მატჩებში გამოძახებული არ ყოფილხართ...**

- ეს იმიტომ, რომ ნაკრების თავკაცმა ახალგაზრდა ფეხბურთელებს მისცა თავის წარმოჩენის შანსი. მან უახლოესი რეზერვი გამოცადა.

**- ნაკრებში სათამაშოდ ყოველთვის სიამოვნებით მიდიხართ?**

- რა თქმა უნდა. ნაკრებში თამაში საფეხბურთო მოედანზე შენი ქვეყნის წარმოჩენაა. ამას გარდა, ნაკრებში მეგობრებსაც ვნახულობ ხოლმე.

**- თქვენს ახლანდელ ფორმას როგორ შეაფასებდით?**

- სჯობს, ეს გულშემატკივარმა და სპეციალისტებმა შეაფასონ. ერთს კი დავძენდი, მზად ვარ ნაკრებში 90 წუთი ვითამაშო და სასურველი შედეგის მისაღწევად ბოლომდე ვიბრძოლო.

**- 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში რა მიზნებისთვის იბრძოლებს საქართველოს ნაკრები?**

- მიზანი ყოველთვის ერთია - ჯგუფიდან გასვლა და ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ასპარეზობა.

**- ამ მიზნის მიღწევა რამდენად შესაძლებელია?**

- ჩვენ კარგი გუნდი და კარგი მწვრთნელი გვყავს. ასე რომ, რატომაც არა?

მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

# დვალიშვილი ბალტიას გაუშინაურდა

ბალტიის ლიგაში ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის მატჩები გაიმართა. B ჯგუფში ლატვიურმა სკონტომ" შინ 3:0 გაანადგურა ლიტვური „სუდოვა". მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ **დავით გამეზარდაშვილი** და გუნდის ახალწვეული **ლადო დვალიშვილი, ზაალ ელიავა** კვლავ არ ჩანს. დვალიშვილმა 45-ე წუთზე ანგარიში 2:0 გახადა, ის მატჩის 75-ე წუთზე შეცვალეს. „სკონტო" ორი თამაშიდან ქულათა მაქსიმუმით ლიდერობს. C ჯგუფში „კაუნასმა" 1:0 მოუგო ლატვიურ „მეტალურგს". მასპინძელთა რიგებში ქართველებს არ უთამაშიათ. ამ ჯგუფში სამივე გუნდს (პლუს ესტონური „ნარვა") 3-3 ქულა აქვს. D ჯგუფში ვილნიუსის „ჟალგირისმა" 1:0 მოუგო ლატვიის ჩემპიონ „ვენტსპილსს", **ზურაბ მენთეშაშვილს** არ უთამაშია. „ვენტსპილსი" 3 ქულით ჯგუფში მეორეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ლომიძისა და მუჯირის გოლები

დანიის სას ლიგაში მე-20 ტურის მატჩები გაიმართა, **გიორგი ფოფხაძის** „ვიბორგი" „ნორდსილენდს" მასპინძლობდა და 2:3 დამარცხდა. ქართველი მცველის გუნდი 12-გუნდიან ჩემპიონატში ბოლოსწინაა 14 ქულით. „ვიბორგი" მის წინ მდგომ „ორჰუსს" 6 ქულით ჩამორჩება. მატჩს მხოლოდ 3 ათასი მაყურებელი დაესწრო. ამ ტურში ჩვენებურს არ უთამაშია, ის სათადარიგო იყო.

შვეიცარიის სუპერლიგაში აუტსაიდერი „თუნი" შინ „არაუს" დაუზავდა – 1:1. **სანდრო იაშვილი** სათადარიგო იყო. „თუნი" 22 ქულით ბოლო ადგილზეა და „სენტ გალენს" 4 ქულით ჩამორჩება.

მოლდოვის ჩემპიონატის 21-ე ტურში მეორეადგილოსანმა „დაჩიამ" შინ 2:0 დაამარცხა „პოლიტექნიკა". ამ მოგებით კიშინოვურმა კლუბმა ერთ ქულამდე დაიყვანა ლიდერ „შერიფთან" სხვაობა. თუმცა „შერიფი" ისვენებდა (მოლდოვის ჩემპიონატში კლუბების კენტი რიცხვია) და **ვაჟა თარხნიშვილის** გუნდს მატჩით ნაკლები აქვს გამართული. „ზიმბრუმ" ვერ შეძლო შინ ბენდერის „დინამოს" დამარცხება – 3:3. მატჩის მეორე წუთზე პირველი გოლი „ზიმბრუს" ქართველმა მცველმა **მამუკა ლომიძემ** თავური დარტყმით გაიტანა.

აზერბაიჯანში თასის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა, **კახი ცხადაძის** „სტანდარდი" შინაც დამარცხდა „ნეფთჩისთან" 0:1 (ორი მატჩის ჯამში 1:5) და დაემშვიდობა ტურნირს. არადა, მატჩის დასაწყისში, პენალტი რომ გაეტანა ბრაზილიელ **ლეანდროს**, შესაძლოა სხვანაირად წარმართულიყო მატჩი, იმდენად დიდი იყო „სტანდარდის" უპირატესობა.

„კაბალამ" ნამდვილ დრამაში აჯობა „ბაქის". პირველად სტუმრებმა გაიტანეს; ეს **ამირან მუჯირმა** შეძლო, რასაც მასპინძლებმა ბოლო წუთზე უპასუხეს – 1:1, პირველი მატჩიც ასე დასრულდა, დამატებითმაც ვერ გამოავლინა გამარჯვებული. პენალტების სერიის გმირი „კაბალას" გოლკიპერი **ელნარ ქერიმოვი** გახდა, რომელიც მესამე მატჩია **ზურაბ მამალაძეს** ცვლის. ქერიმოვმა სამი პენალტი მოიგერია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მარშრუტკაში გაგონილი ამბავი: ოპერაცია, სახელად მაკარიძე




ჩაწყობილი თამაშების შესამუსრად პროკურატურა მოდისო, ამბავი ქართულმა საფეხბურთო მილეთმა ყბად ილო და რა აღარ გაგახსენდება კაცს: როგორ აილო მსაჯმა ოქრო ფულის მაგივრად; როგორ გაურიგდა ერთი კლუბის პრეზიდენტი მეორეს, მაგრამ ამ მეორემ ეს თავის გუნდს არ უთხრა, ფული მარტო მე უნდა დამრჩესო, მისმა გუნდმა კი იომა და წაგების მაგივრად მოიგო. მეორე პრეზიდენტმა პირველს ფული დაუბრუნა...
არსებობს კიდევ რამდენიმე კომბინაცია, მაგრამ ჩვენთან, ბოლო წლებში, ყველაზე პოპულარული ასეთი გარიგება იყო: მდიდარი კლუბის ფეხბურთელებს მოგებაზე პრემია, დავუშვათ, აქვთ 900-900 დოლარი. ეს მდიდარი კლუბი ეთამაშება მასზე ღარიბ კლუბს, რომლის ფეხბურთელებს პრემია 50-50 დოლარი აქვთ, ან სულ არ აქვთ. მდიდრები ღარიბებს ეუბნებიან - ჩვენი პრემიიდან მოგცემთ 300-300 დოლარს და ფეხებს ნუ დაგვალეწავთ, 3 ქულა მოგვეცით და ფული აიღეთო. ასეთი გარიგება ტაიმებს შორისაც კი არაერთხელ გაჩარხულა.
ძველ თუ ახალ ჩაწყობებს ახლა ბევრი იხსენებს, რადგან ეს კიდევ უფრო აქტუალური თემა გახდა. ზოგი უფრო ღარიბ ან საშუალო გაქანების კლუბებში ეძებს სიბინძურეებს და თუ იმ ლოგიკას მიყვება - კლუბებს ფული რომ გააჩნდეთ, ქრთამს არ აიღებდნენ - რა თქმა უნდა, მართალია. მაგრამ ამ ღარიბ კლუბებს ამისკენ ხომ მდიდარი ახალისებს.
იაფფასიანი ტუჩის საცხი, მეორადში ნაყიდი სამოსი, ხუთლარიანი სუნამო და პანელი ვაგზლის მოედანთან - ასეთ მეძავთან რომ კაცი მივა, იმათ ჰგავს ჩვენი ზოგიერთი, ასე თუ ისე, შეძლებული კლუბი და მათი მესვეური...

დიდად უცნაური მიზეზის გამო, 26 თებერვალს, ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგურ მატჩში, საქართველოს ვერ დაეხმარებიან გოგიტა გოგუა და დავით სირაძე. მათ რუსეთში ტურისტული ვიზა დაუმთავრდათ და ნალჩიკიდან ცხვირს ვერ ყოფენ, ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქში კი მათ ხელს ვერავინ ახლებს. დიდი რუსეთიც კარგი პროვინციაა, მაგრამ იქ ჩვენები გერმანიიდანაც კი მიდიან. გერმანიიდან კი აქ მწვრთნელები ჩამოვიდნენ და რასაც გამოვრჩით, მაინც იმას ვუბრუნდებით...

ფეხბურთის ფედერაციის შარშანდელ არჩევნებში ხელმოცარული მამუკა კვარაცხელია პარლამენტის შენობასთან შიმშილობს - ხელისუფლებამ ფედერაციის საქმიანობაში ჩარევას და პრეზიდენტის დანიშვნას თავი გაანებოსო. მოშიმშილე კვარაცხელია, რომელიც 61 კილოგრამს იწონის, ბევრმა მისმა მეგობარმა არც კი მოინახულა...

ფეხბურთიც ისეთივე მუხანათია, როგორც პოლიტიკა და საერთოდ, ცხოვრება. სულ ცოტა ხნის წინათ იყო, "ზესტაფონმა" ეროვნული ჩემპიონატიდან და თასის გათამაშებიდან გასვლა რომ გადაწყვიტა და ერთ-ორ დღეში ისევ უკან დაბრუნდა. "ზესტაფონს" 19 წლის გიორგი განუგრავა ისე გაეცალა, მასში სატრანსფერო თანხა ვერ აილო და გულიც მოუვიდა.
"ზესტაფონი" იყო, ლამის ყველა ასაკობრივი ნაკრების ყველა ფეხბურთელს თავს რომ უყრიდა. მისი პრეზიდენტი ილია კოკაია კი გაიოზ დარსაძესა და ნოდარ ახალკაცს შეუამხანაგდა და რა არ ხდებოდა... დარსაძე-ახალკაცი-კოკაიას სამკუთხედში მოხვდა "ამერიდან" "ზესტაფონში" მისული განუგრავა და ძვირფასი წლებიც დაკარგა.
ეს ყველაფერი ძველი ამბავია და იმიტომ გავიხსენეთ, რომ საქმემ მოიტანა. რა ხანია, ეროვნულ ნაკრებში იწვევენ და ათამაშებენ თბილისის "დინამოს" 17 წლის მეკარე გიორგი მაკარიძეს. ის დუშან უჰრინის გუნდის სამატჩო განაცხადშიც ვერ ხვდება, მაგრამ... საქართველოს ნაკრების მეკარეა.
დაიჯერებთ, რომ განუგრავას მერე ახალი ხლართი იქმნება? "ზესტაფონს" "დინამოდან" მიჰყავს მაკარიძე, მერე კი მას, როგორც ნაკრებში მოთამაშეს, ანუ რეკლამირებულ ფეხბურთელს, ყიდის დნეპროპეტროვსკის "დნიპროში" - ტრანსფერი იმდენ ფულს დაყრის, ყველა დაინტერესებულ მხარეს გამოაძღობს.
იქნებ, იმის უფრო გჯერათ, რომ ეს ამბავი თბილისი-ზესტაფონის "მარშრუტკაში" გავიგე და ახლა თქვენ გიყვებით?..



გიორგი მაკარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალმასკომის წევრი ტოპმიოლერის წინააღმდეგ

## მან ჯერ ქართველებს ბოდიში უნდა მოუხადოს

**ფეხბურთის** ფედერაციის ალმასკომმა კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაამტკიცა.

მოგვიანებით ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ალმასკომში გადაწყვეტილება ერთსულოვნად არ მიუღიათ - წინააღმდეგი ბოლნისის "სიონის" ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი დავით სილაგაძე და თბილისის "დინამოს" მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე იყვნენ. ამის თაობაზე დავით სილაგაძეს ვესაუბრეთ.

**- როგორც შევიტყვეთ, ტოპმიოლერის დანიშვნას მხარი არ დაუჭირეთ.**

- არც მე დავუჭირე მხარი და არც ბუბა ტყავაძემ. მე არ მსურს პასუხისმგებლობა ავილო იმ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც არ ვეთანხმები.

**- თქვენი პოზიცია მხოლოდ უარყოფით დააფიქსირეთ თუ არგუმენტებიც მოიყვანეთ?**

- რასაც გეტყვით, აქამდე რატომღაც არავინ იცოდა. ალმასკომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებსაც არ შეუტყვიათ.

მეც იგივე პოზიცია გამაჩნია, რაც ჩვეულებრივ გულშემატკივრებს. ალმასკომზე ვთქვი კიდეც, ჯერ ტოპმიოლერმა ქართველ ხალხს ბოდიში უნდა მოუხადოს ნაკრებში ნაჩვენები სამარცხვინო შედეგისთვის და ლიტვასთან წაგების შემდეგ ხალხს თვალში ნაცრის შეყრისთვის. ის გვიმტკიცებდა, რომ ფანტასტიკური გუნდი იხილა. ჩვენც ვუყურებთ ფეხბურთს და კარგ და ცუდ თამაშს რამენაირად ვარჩევთ.

მან ბოდიში უნდა მოგვიხადოს ლუქსემბურგთან ფრედ დასრულებული შეხვედრისთვისაც. ალმასკომზე პირდაპირ ვთქვი კიდეც, რომ ეს კაცი დაგვცინის. სხვაგვარად, ლიტვის შემდეგ, როგორ უნდა თქვა, რომ ფანტასტიკური გუნდი გვყავს?! მისმა კმაყოფილებამ გამაოცა.

საერთოდ, მგონია, რომ ამ კაცმა არც იცის, რომ ამ ქვეყანას ჰყავდა ხურცილავა, მესხი, მეტრეველი, ძმები სიჭინავები, ჩივაძე, ყიფიანი, შენგელია, გუცაევი, სულაქველიძე. არ იცის, რომ ევროთასებზე გარკვეული წარმატებისთვის მიგვიღწევია, თასი აგვიღია... ერთი თასით გერმანელს ვერ გავაოცებთ, მაგრამ იმის თქმა მსურს, რომ ფეხბურთი ვიცით და საერთოდ, ფეხბურთს ანტიფეხბურთისგან ვასხვავებთ. როგორც ჩანს, ტოპმიოლერმა არ იცის, რა ტრადიციების ქვეყანაში მუშაობს.

ყველაფერს თავი დავანებოთ, ელემენტარული კულტურის საქმეა, ნაკრების მთავარ მწვრთნელად გნიშნავენ და იმ ალმასკომის სხდომასაც არ ესწრები. ეს რა დამოკიდებულებაა?

**- ბუბა ტყავაძის გარდა, თქვენი პოზიცია ალმასკომის სხვა წევრებიდან ვინ გაიზიარა?**

- ყველას საკუთარი აზრი გააჩნია, მე კი უფლება არ მქონდა, სხვაგვარად მოვქცეულიყავი. მიმაჩნია, რომ საქართველომ დასრულებულ ციკლში ბოლო ადგილი დაიკავა. ფარერების ჯობნა ვერაფერი სიხარულია. ლიტვის ნაკრები ექვსი ქულით რომ გაგისწრებს, მეექვსე ადგილს დაიკავებ და შენნაირი სიძლიერის გუნდთან ორივე შეხვედრას წააგებ, ხელი როგორ უნდა აგიწიო? მერე ცუდი შედეგებისთვის ხალხი პასუხს მეც მომთხოვს და ამ პასუხისმგებლობის გაზიარებას არ ვაპირებ.

მე შევეწინააღმდეგე როგორც ტოპმიოლერის, ასევე ახალგაზრდულ ნაკრებში პეტარ სეგრტის კანდიდატურას. ფეხბურთი გულშემატკივრებისთვისაა და მისი აზრი როგორ არ უნდა გავითვალისწინო? ასაკობრივ ნაკრებებში ქართველი სპეციალისტების დანიშვნას კი სიამოვნებით დავეთანხმე. თითოეულ მათგანს ეტყობა, რომ გულით მუშაობს და ჩვენი ფეხბურთის წარმატებაზე დღე და ღამე ზრუნავს.

ალმასკომზე ჩემი პოზიციის განსამტკიცებლად, მაგალითიც მოვიყვანე: ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ ჯოვანი ტრაპატონის 2 მილიონი ევრო დაუნიშნა. აბა, ერთი ლიტვასთან ფრედ დაასრულოს და ჯგუფში ბოლოდან მეორე ადგილზე გავიდეს, წარმოგიდგენიათ, რა დღეს დააყრიან? დანარჩენ საკითხებში კი ფედერაციას დავეთანხმე.

**- ჩაწყობილ თამაშებთან ბრძოლას გულისხმობთ?**

- დიახ, რა თქმა უნდა. ჩაწყობილ თამაშებს რომ უნდა ვებრძოლოთ, ორი აზრი არაა. სხვათა შორის, შარშან ამაზე რომ ვისაუბრე, მითხრეს, ძალიან რთული იქნება, გამოძიება უნდა დავიწყოთ, პროკურატურა და სამართალდამცავები უნდა ჩავრთოთო. ახლა იგივე თავად მოინდომეს და გამიხარდა.

სხვა საქმეა, კორუფციასთან და ჩაწყობილ თამაშებთან ბრძოლას როგორ დავიწყებთ. როდესაც მსაჯს თბილისიდან ბათუმში, ზუგდიდში და ფოთში წასავლელად 200 ლარს აძლევ, ძალიან დიდი შანსია, რომ 500 ლარზე ხელი წაუცდეს.

სანამ დიდი გასამრჯელო არ ექნებათ, მანამდე იქნება კორუფციის საფრთხე. თამაშზე მინიმალური გასამრჯელო 700-800 ლარი უნდა იყოს. ამას გარდა, მიკერძოებაში შემჩნეული მსაჯი ორი თამაშით კი არ უნდა დაისაჯოს, არამედ, გაცილებით მკაცრი სასჯელია საჭირო.

**- ანუ დაჭერა?**

- ქრთამის აღება სისხლის სამართლის დანაშაულია და კანონით ისჯება! ქრთამის ამღებიც უნდა დაისაჯოს და მიმცემიც. ქართულ ფეხბურთში მხოლოდ ასეთ შემთხვევაში თუ გაჩნდება ნამდვილი თამაშები და მერე ჩემპიონატსაც ეშველება.

**- სატელეფონო მოსმენებს ამართლებთ?**

- აბა, იტალიაში გარიგებული თამაშების მონაწილეები, "იუვენტუსი" და სხვა იტალიური კლუბები როგორ დასაჯეს? პრეზიდენტების საუბრები მოისმინეს და მასშტაბური მაფიოზური ქსელი ალაგმეს.

**მერაბ მამულაშვილი**

მეტოქე. იტალია

# საქართველო ანჩელოტის იტალიას შეხვდება?

**რობერტო დონადონის** მომავალი გაურკვეველი რჩება. იტალიის ნაკრების მწვრთნელსა და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას შორის უკვე სამი მოლაპარაკება გაიმართა, მაგრამ ამაოდ: ახალ კონტრაქტზე შეთანხმება ვერ ხერხდება. "ფედერკალჩოს" პრეზიდენტი **ჯანკარლო აბეტე** და ალმასკომი ფეხს ითრევენ. ისინი მიიჩნევენ, რომ დონადონისთან კონტრაქტი მას შემდეგ უნდა გაგრძელდეს, როცა ის შედეგებს დადებს. შედეგი თუ უშედეგობა კი ევროპის ჩემპიონატმა უნდა მოიტანოს. ცხადია, ფეხბურთის ფედერაციას არანაირი გარანტია არ აქვს, რომ "სკუადრა აძურის" ევროოდისეა გერმანული მუნდიალის დარად ტრიუმფალური იქნება. ამიტომ, მათი ჩანაფიქრი ასეთია: ახალი ხელშეკრულების თემა მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ განიხილონ.

*"ჩვენი მიზანია, ევროპის ჩემპიონატზე უმაღლეს შედეგს მივაღწიოთ, როგორც ეს იტალიის ნაკრების პრესტიჟს შეეფერება. ეს უნდა მოხდეს რობერტო დონადონისთან ერთად. სწორედ ფედერაციისა და ნაკრების მწვრთნელის ჯანსაღ ურთიერთობაზე უნდა იყოს დაფუძნებული ნაკრების მომავალი წარმატება"* - ნათქვამია იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მშრალ და შაბლონურ განცხადებაში.

დონადონის კი მშვიდი მუშაობისთვის კონტრაქტი ახლავე სჭირდება. ორი კვირის წინათ, ფედერაციის პრეზიდენტმა აბეტემ განაცხადა - ახალი ხელშეკრულების თაობაზე მწვრთნელს ესპანეთთან ამხანაგური მატჩის (26 მარტი) წინ დაველაპარაკებითო. გუშინ გაირკვა, რომ ეს საუბარი აღარ შედგება და ივლისისთვის გადაიდება. იტალიურ მედიაში უკვე მიდის საუბრები იმაზე, რომ დონადონი ყველა ვარიანტში შეიცვლება. ამბობენ იმასაც, რომ "აძურის" თავკაცი შეიძლება იმ შემთხვევაშიც კი გადადგეს, თუ მისი გუნდი ევრომწვერვალს დაიპყრობს. გადადგომის მიზეზი კი ფეხბურთის ფედერაციასთან გაუფორმებელი კონტრაქტი და აქედან მომდინარე წყენა იქნება...

რა თქმა უნდა, უკვე აგორებულია სპეკულაციები მის სავარაუდო მემკვიდრეებთან დაკავშირებითაც. როგორც სააგენტო "ანსა" აცხადებს, ევროფორუმის შემდეგ დონადონის ადგილს **კარლო ანჩელოტი** დაიკავებს. კარლეტოს მილანური სკამი შერყეულია. "როსონერი" უტიტულოდ რჩება. თუმცა ანჩელოტის ზურგსუკან ლამაზი და ნაყოფიერი წლებიცაა. უბრალოდ, დადგა დრო, როცა "მილანში" ეპოქა უნდა შეიცვალოს. ერთადერთი, რასაც კარლომ ამ სეზონში შეიძლება მიაღწიოს, ოთხეულში მოხვედრაა, თუმც ეს ნამდვილად არ არის **სილვიო ბერლუსკონის** ამბიცია. ანჩელოტის ის მილანური ოჯახის წევრად თვლის და მისი გადაყენება ექსპრემიერისთვის მეტად მტკივნეული ნაბიჯი იქნება. შესაძლოა, ანჩელოტიმ ბოსს ეს ტვირთი ააცილოს და თავად გადადგეს, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუკი სანაკრებო პოსტი კულუარულად მაინც ექნება გარანტირებული. იგივე "ანსას" მტკიცებით, ფეხბურთის ფედერაციის ფავორიტი სწორედ ანჩელოტია.

ასე რომ, დიდია შანსი, საქართველოს ნაკრები სამუნდიალო შესარჩევი ტურნირის ეგიდით დონადონის კი არა, ანჩელოტის იტალიას შეხვდეს.



რობერტო დონადონი

# ბრაზილიურ კლუბში ქართველი ისინჯება

## ალადაშვილი პალმეირასის ექს-მწვრთნელმა მიიწვია



გოჩა ალადაშვილი და თორნიკე ხაჩიძე

**ტრადიციულად ასე ხდება - ბრაზილიელებს მთელ მსოფლიოში იწვევენ. ახლა კი პირიქით მოხდა, ბრაზილიაში ქართველი მიიწვიეს - თორნიკე ხაჩიძე. მას საქართველოში ბევრი არ იცნობს, რადგან პატარა ბიჭია და ბევრის თამაში ვერც მოასწრო.**

**ეს გუშინ ბრაზილიაში მცხოვრებმა ქართველმა მწვრთნელმა გოჩა ალადაშვილმა გვითხრა:**

- 1 თებერვალში პარანის შტატის კლუბ "უნიკრიკრინიკში" ქართველი ახალგაზრდა, თორნიკე ხაჩიძე გასინჯეს. მალევე ის პერნამბუკანოს შტატის უმაღლესი დივიზიონის კლუბ "სენტრალში" მიიწვიეს, გასინჯეს და როგორც ჩანს, მალე კონტრაქტსაც გაუფორმებენ.

**- ვინ არის ეს ბიჭი?**

- 18 წლის თავდამსხმელია, საკმაოდ მაღალია (185 სმ). პარანის შტატის უმაღლესი ლიგის გუნდში თამაში პატარა საქმე არაა. თორნიკე მოეწონათ და ვიცი, რომ დატოვებენ.

თავიდან "ნორჩ დინამოელში" ვარჯიშობდა, შემდეგ "მთვარის გლობუსში" გია მაისურაძესთან. ბრაზილიაში წამოსვლამდე ბათუმის "დინამოში" იყო.

**- თქვენ ეს ბიჭი სად ნახეთ?**

- მე თავად ვიყავი "უნიკრიკრინიკში" ფიზმომზადების მწვრთნელი და რაც გუნდში ხდებოდა, ბუნებრივია, მშვენივრად მომეხსენება.

**- თქვენ ხომ ბოლოს უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდით?**

- დიახ, მაგრამ შარშან "უნიკრიკრინიკში" მიმიწვიეს. წელს კი პარანის შტატის უმაღლესი ლიგის "სენტრალში" მთავარ მწვრთნელად მარსელო გვილარი დანიშნეს, რომელიც "პალმეირასში" მუშაობდა. მან კი ასისტენტად მიმიწვია. ახლა ბრაზილიური ფეხბურთი შიგნიდან დავინახე. ეს სულ სხვა სამყაროა, ვიდრე ჩემ მიერ აქამდე ნანახი.

**- კარგით, თემას დავუბრუნდეთ...**

- "სენტრალში" თორნიკეც წამოვიყვანე. ეს გაცილებით ძლიერი კლუბია და აქ შემთხვევითი ფეხბურთელი ფეხს ვერ მოიკიდებს. ჯერ დუბლებში აიყვანენ და მერე ძირითადში მოხვედრის პერსპექტივაც გაუჩნდება. მე ბრაზილიაში ვცხოვრობ, ნიჭიერი ბავშვებით ვერ გამაოცებენ, თორნიკეს კი ეტყობა, რომ შეუძლია თამაში. ძალიან სწრაფია, ტექნიკურიც, ორივე ფეხით კარგად ურტყამს და ფეხბურთს მეტი რა სჭირდება?

ძალიან სწრაფი და მაღალია, რაც მისი ამპლუის ფეხბურთელისთვის ბევრს ნიშნავს. ორი დღის წინათ საკონტროლო შეხვედრაში ორი ბურთი გაიტანა.

**-კონტრაქტს როდის გააფორმებს?**

- ფიზიკურ კონდიციებს გაიუმჯობესებს და კონტრაქტიც გაფორმდება.

**გოჩა ალადაშვილის დახმარებით თორნიკე ხაჩიძეს გავესაუბრეთ.**

**- თორნიკე, ბრაზილიურ კლუბში რომ ჩაირიცხო, რალაცით უნდა გააკვირვო იქაურები. შენ ასეთი რა შთაბეჭდილება მოახდინე?**

- სისწრაფით. ამას ტრაბახით არ ვამბობ, ბავშვობიდან ასეთი ვიყავი და ბრაზილიაშიც არ გამიჭირდა.

**- ტექნიკურ ბრაზილიელებთან მხოლოდ სისწრაფით ფონს ვერ გახვალ.**

- საკუთარ თავზე საუბარი ძნელია. ეტყობა, დასაწუნი ტექნიკაც არ გამაჩნია.

**- აქამდე სად თამაშობდი?**

- ვარჯიში "ნორჩ დინამოელში" მალხაზ რაზმაძესთან დავიწყე, შემდეგ გია მაისურაძესთან "მთვარის გლობუსში" გადავედი. გია გეგუჩაძის დროს, თბილისის "დინამო 2-ში" ვვარჯიშობდი. სამჯერ მივედი და წამოვედი, რადგან ტრავმებმა ხელი ძალიან შემიშალა. ბოლოს კი "ბათუმში" ვიყავი.

**- შენი აზრით, ქართველ ფეხბურთელს ბრაზილიაში დამკვიდრების შანსი გაქვს? გულწრფელად გვითხარი.**

- გასინჯვების შემდეგ, ამის დიდი იმედი გამიჩნდა. ბურთი კი მრგვალია.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები. რუსეთი

# ანჟიმ ბოლო წააგო

**ანთალიურ** შეკრებაზე მყოფმა მახაჭყალის "ანჟიმ" დასკვნითი ამხანაგური მატჩი გამართა. **ომარ თეთრაძის** გუნდი უკრაინულ "კომუნალნიკთან" მინიმალური ანგარიშით 0:1 დამარცხდა. ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია, **გოჩა ხოჯავას**, რომელიც წინა საკონტროლო შეხვედრის მე-40 წუთზე დაშავდა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო.

უკრაინელთა წინააღმდეგ ერთბაშად ხუთმა ჩვენებურმა ითამაშა, მაგრამ გუნდს ვერაფრით შეეწია. **ვალერი აბრამიძე, რევაზ ბარაბაძე** და **მიხეილ აშვეთია** სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. აშვეთიამ 70, ხოლო აბრამიძემ 75 წუთი დაჰყო მოედანზე. ბარაბაძე 46-ე წუთზე სეხნია **ჯიქიამ** შეცვალა. ასევე 46-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში **ზურაბ არზიანი**.

"ანჟი" თურქეთიდან მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და რუსეთის პირველ ლიგაში, სასტარტო ტურში 27 მარტს "ზვეზდას" უმასპინძლებს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი. მოსალოდნელი ტრანსფერი

# სამეფო კლუბმა სასურველ ფორვარდთა სია გააფართოვა

## მადრიდელები ერთბაშად ხუთ ფეხბურთელთან აწარმოებენ მოლაპარაკებას

მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობა დროის დაკარგვას აღარ აპირებს. კლუბის მესვეურები **რუუდ ვან ნისტელროის** შემცვლელის ძიებას მთელი სერიოზულობით შეუდგნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინაც შემოგთავაზეთ წერილი. მოგახსენეთ, რომ ესპანური გრანდის გენერალურმა დირექტორმა "აიაქსის" ფორვარდის, **ჰუნტელაარის** შეძენის იდეა წამოაყენა. გემახსოვრებათ, საამისო მოტივად ჰოლანდიელი ფეხბურთელის უხვგოლიანობა და ასაკი დასახელდა. 24 წლის თავდამსხმელს მიმდინარე სეზონში 27 გოლი აქვს გატანილი და ერედივიზიონში ბომბარდირთა დავას ერთპიროვნულად ლიდერობს. **პრედრაგ მიატოვიჩი** სწორედ მის კანდიდატურას ლობირებს, თუმცა სამეფო კლუბი მხოლოდ მიატოვიჩი არ არის და სხვა დირექტორები არანაკლები შემართებით მუშაობენ.

**რამონ კალდერონმა** ხელქვეითებს ფუნქციები გადაუნაწილა. ამ ყველაფრის წყალობით "რეალმა" ფართომასშტაბიანი სამუშაო წამოიწყო. გუშინ პრეზიდენტმა დირექტორატის საგანგებო კრება დანიშნა და დავალებების შესრულების ხარისხი შეამოწმა. ალმოჩნდა, რომ დრო უქმად, მართლაც არ დაკარგულა. პრეზიდენტს მაგიდაზე საკმაოდ ვრცელი სია დაუდეს. სამეფო კლუბის სხვადასხვა დირექტორმა მთლიანობაში თანამედროვე ფეხბურთის ხუთ ვარსკვლავთან წარმართა მოლაპარაკება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ "რეალის" მაღალჩინოსნებს მსოფლიო დონის ფორვარდებთან თანამშრომლობის სურვილი გაუჩნდათ. სხვაგვარად არც იქნებოდა. საქმე **ვილიას, ჰუნტელაარს, ლუიშ ფაბიანუს, დროგბასა** და **იბრაჰიმოვიჩს** შეეხებათ. კალდერონი კოლეგების მუშაობით ძალიან კმაყოფილი დარჩა: *"რეალის" დირექტორატმა უმცირეს დროში კოლოსალური სამუშაო შეასრულა. სიმართლე გითხრათ, ვერ წარმოვიდგენდი, რომ უმცირეს დროში ასეთი მაღალი დონის ხუთი ფორვარდის მენეჯერებთან შევძლებდით მოლაპარაკებების დაწყებას. დეტალებს, რა თქმა უნდა, ვერ გავახმაურებ, თუმცა იმას ნამდვილად არ დაგიმალავთ, რომ ხუთივე მიმართულებით საკმაოდ კარგ შანსს ვფლობთ. როგორც ჩანს, კარიერის "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაგრძელების პერსპექტივა ყველასთვის მომხიბლავია. ყოველ შემთხვევაში, ყველა ვარსკვლავი მზადაა, ჩვენთან ინტენსიური მოლაპარაკებები დაიწყოს. ბუნებრივია, ხუთ თავდამსხმელს არ ვიყიდით. უახლოესი დღეების განმავლობაში* ***ბერნდ შუსტერთან*** *ერთად ყველა დეტალზე ვუმსჯელებთ და ერთ კანდიდატზე შევთანხმდებით. მთავარია, რომ წინასწარი სამუშაო უმაღლეს დონეზე შესრულდა. დირექტორატის მუშაობით უბრალოდ აღფრთოვანებული ვარ."*



რუუდ ვან ნისტელროის დაშავებამ მადრიდელებს საფიქრალი გაუჩინა

კალდერონს არ დაუკონკრეტებია, "რეალი" წარმატების ყველაზე დიდ შანსს რომელი მიმართულებით ფლობს, თუმცა ესპანელ ჟურნალისტებს არ გასჭირვებიათ პირადი არხების ამოქმედების ფასად გარკვეული ინფორმაცია მოეპოვებინათ. აღმოჩნდა, რომ "ბერნაბეუზე" თამაშის პერსპექტივა მართლაც ყველას ხიბლავს, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ სამეფო კლუბის გააქტიურებას ამ ბიჭების გუნდებიც ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ. მაგალითისთვის იმის თქმა შეიძლება, რომ "ინტერის" მესვეურები ზლატან იბრაჰიმოვიჩს ცოცხალი თავით არ დათმობენ. ფაქტობრივად იგივეს თქმა შეიძლება,"სევილიაზეც". ანდალუსიელები პირდაპირ ამბობენ, რომ ლუიშ ფაბიანუს იოლად არ შეელევიან. სამხრეთელთა პრეზიდენტი, სენიორ **დელ ნიდო** გართულებების თავიდან აცილების მიზნით მზადაა, ბრაზილიელ თავდამსხმელს ახალი გაუმჯობესებული კონტრაქტი გაუფორმოს.

"დიარიო მარკას" კორესპონდენტმა "სევილიის" ერთ-ერთი თანამშრომლისგან კონფიდენციალური ინფორმაცია შეიტყო, დელ ნიდო უპრეცედენტო ნაბიჯის გადადგმას აპირებს, კერძოდ, ის თანახმაა ფაბიანუს ხელფასი ერთბაშად 35 პროცენტით გაუზარდოსო. დიახ, ეს გადაწყვეტილება მართლაც უპრეცედენტოა, რადგან ანდალუსიელებს ანალოგიური წინადადებით ადრე არავისთვის მიუმართავთ. ვილიას, ჰუნტელაარსა და დროგბას რაც შეეხებათ, მათ "ბერნაბეუზე" გადასვლის მშვენიერი შანსი აქვთ. ვილიამ ჯერ კიდევ კვირის დასაწყისში განაცხადა, "ვალენსია" უზომოდ მიყვარს, მაგრამ პერმანენტული წარუმატებლობებით სასოწარკვეთილი ვარ და უფლება მაქვს, ჩემ მომავალზე ვიზრუნოო. ძნელი წარმოსადგენია, "ვალენსიამ" დავიდს ხელი შეუშალოს. "ღამურებს" უბრალოდ მორალური უფლება არ აქვთ, ფეხბურთელს წინაალმდეგობა გაუწიონ.

ნესით პრობლემა პრედრაგ მიატოვიჩის რჩეულსაც არ უნდა შეექმნას. "აიაქსი" ისტორიულად საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვითაა ცნობილი. დაუდასტურებული ინფორმაციით ამსტერდამელები მზად არიან, უმოკლეს დროში დაიწყონ მოლაპარაკებები. დროგბას ისტორია კი ყველასთვის კარგადაა ცნობილი. დიდიე მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ "ჩელსიდან" წასვლას აპირებს, თუმცა იმისათვის, რომ "რეალში" აღმოჩნდეს, მადრიდული გრანდის დირექტორატში უმრავლესობის მხარდაჭერა უნდა მოიპოვოს. ამ ეტაპზე ცნობილია, რომ აფრიკელს ძალიან ცოტა მხარდამჭერი ჰყავს.

ესპანეთის სამეფო თასი. განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი

# ზედიზედ მეორედ სამეფო თასის ფინალში

**რასინგი–ხეტაფე 1: 1 (1:3)**

**რასინგი:** კოლტორტი, პინილიოსი, სესარ ნავასი (84. ივან ბოლადო), გარაი (80. პაბლო იბანიესი), იაოსე, ხორხე ლოპესი, დუშერი, კოლსა, სერანო, მუნიტისი (70. სმოლარეკი), ჩიტე.

**ხეტაფე:** უსტარი, კონტრა, ბელენგერი (55. კასკერო), ტენა, ლიხტი, ერნანდესი (34. გავილანი), სელესტინი, დე ლა რედი, გრანერო, ბრაულიო, (61. ალვანი), უჩე.

**გოლები:** 1:0. მუნიტისი (6), 1:1. კასკერო (79).

**გაძევება:** სერანო (75).

დიახ, "ხეტაფემ" ესპანეთის სამეფო თასის ფინალში ზედიზედ მეორედ გაალწია. **მიქაელ ლაუდრუპმა** მრავალნაქები **ბერნდ შუსტერის** მიღწევა მადრიდულ კლუბში მუშაობის პირველივე წელს გაიმეორა. აღსანიშნავია, რომ "რასინგმა" პირველ შეხვედრაში განცდილი მარცხის მიუხედავად, ყველაფერი ილონა იმისთვის, რომ დედაქალაქელებისთვის ფინალის საგზური გამოეგლიჯა, თუმცა სანტანდერელებს არ გაუმართლათ და ხელმოცარულები დარჩნენ. არადა, მასპინძლებისთვის მატჩი შესანიშნავად დაიწყო. **პედრო მუნიტისმა** ანგარიში მეექვსე წუთზე გახსნა. "რასინგს" თითქმის მთელი შეხვედრა წინ ჰქონდა იმისთვის, რომ მეორე ბურთიც შეეგდო და "სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშის უფლება მოეპოვებინა. სხვათა შორის, კანტაბრიელებს არაერთი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ აღარ გაუმართლათ. ნახევარი საათის განმავლობაში "ხეტაფეს" უამრავი საფრთხე დაემუქრა. სტუმრებს ამოსუნთქვის საშუალებაც კი არ ჰქონდათ. მიქაელ ლაუდრუპის ბიჭებმა პირველი ტაიმი დიდი წვალებით ჩააძაღლეს.

შესვენების შემდეგ კი თამაში მეტნაკლებად გათანაბრდა. სტუმრები მოწინაალმდეგის საჯარიმოს გაუშინაურდნენ. **კოლტორტის** ოსტატობის გამომჟღავნება რამდენჯერმე დასჭირდა. ამასობაში, შეხვედრის დრო ნელნელა იწურებოდა. სანტანდერელებს ნერვიულობა დაეტყოთ. ისინი იძულებულები გახდნენ, დიდი ძალებით შეეტიათ. რაც თავისთავად "ხეტაფეს" მიერ კონტრიერიშების მოწყობის საფრთხეს შეიცავდა. **მარსელინოს** ეს შესანიშნავად ესმოდა, მაგრამ სხვა გზა უბრალოდ არ ჰქონდა. "რასინგის" ბედი ალბათ, მაშინ გადაწყდა, როცა **ოსკარ სერანოს** მეორე ყვითელი ბარათი უჩვენეს და მოედანი ნაადრევად დაატოვებინეს. რამდენიმე წუთში სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს, რასაც დიდი კამათი მოჰყვა. საქმე ის არის, რომ **უჩესთან** შეჯახების შემდეგ **გარაი** წაიქცა და ექიმების დახმარება ითხოვა. მადრიდელებმა კი ბურთი აუტში არ გადააგდეს, შეტევა გააგრძელეს და გოლიც გაიტანეს. კანტაბრიელებმა სტუმრებს არაჯენტლმენობაში დასდეს ბრალი, თუმცა ამით ისტორია არ შეიცვლება., როგორც მიმოხილვის დასაწყისში მოგახსენეთ, "ხეტაფე" ზედიზედ მორედ გავიდა ესპანეთის სამეფო თასის ფინალში.

გერმანიის თასი. ნახევარფინალი

# ნანატრი ფინალი: ბაიერნი–დორტმუნდი

## მგლებმა დანაპირები ვერ შეასრულეს, ბერლინში მიუნხენელები მიდიან...

**ბაიერნი–ვოლფსბურგი 2:0**

**ბაიერნი:** კანი, ლელი, ლუსიო (73. ვან ბუიტენი), დემიკელისი, იანსენი, ზე რობერტო, ვან ბომელი (82. ოტლი), ჰამით ალთინთოფი, რიბერი (89. სოსა), პოდოლსკი, კლოზე.

**ვოლფსბურგი:** ბენალიო, რიტერი (68. ჯეკო), რიკარდო კოშტა, მადლუნგი, მ. შეფერი, სანტანა (84. კრჟინოვეკი), ჟოსუე, გენტნერი, მარსელინიო, ლიუბოჟა (60. დეჟაგა), გრაფიტე.

**გოლები:** 1:0 რიბერი (60), 2:0 კლოზე (66).

**გაფრთხილება:** 2-2.

**მაყურებელი:** 62 000.

„ანდერლეხტთან“ და „კოტბუსთან“ წაგებების შემდეგ „ბაიერნი“ წარმატებულ გზას დაუბრუნდა. „ვოლფსბურგი“ რეკორდმაისტერს მაგრად ემუქრებოდა, მაგრამ **ფელიქს მაგათის** გუნდმა ბავარიული გიგანტის დამარცხება ვერ მოახერხა, რის შედეგადაც დორტმუნდის „ბორუსიასთან“ ერთად, გერმანიის თასის ფინალში, რომელიც 19 აპრილს გაიმართება, ბავარიელები გავიდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნი“ თასის ფინალში მეთექვსმეტედ გავიდა (რეკორდმაისტერს ეს ტიტული 13-ჯერ აქვს მოგებუბული).



ბრაზილიელთა დუელი: ზე რობერტო მარსელინიოს წინააღმდეგ

დორტმუნდისთვის „ბაიერნის“ ფინალისტობა შესანიშნავი ამბავია. მართალია, „ბორუსიას“ „ვოლფსბურგთან“ უფრო ექნებოდა თასის მოგების შანსი, მაგრამ მიუნხენელთა მეტოქეობა ვესტფალიელებს იმის გამო გაეხარდათ, რომ „ბაიერნს“ ფაქტობრივად განაღდებული აქვს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება, რაც იმას ნიშნავს, რომ „დორტმუნდმა“ ფინალში რომც წააგოს, უეფას თასის საგზურს მაინც მოიპოვებს. „ვოლფსბურგის“ შემთხვევაში კი აუცილებლად გამარჯვება დასჭირდებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, **ოტმარ ჰიტცფელდმა** ძირითადი შემადგენლობა რამდენიმე პოზიციაზე შეცვალა. იმის გამო, რომ „კოტბუსთან“ ამაზრზენად ითამაშეს, „გენერალმა“ სასტარტოდან **შვაინშტაიგერი, ლამი, ვან ბუიტენი** და **ოტლი** ამოაგდო. **ლუკა ტონი** დისკვალიფიცირებული იყო. სამაგიეროდ, ჰიტცფელდმა **მარტინ დემიკელისი** დაცვაში გაამწესა, რითაც არგენტინელის სურვილი დააკმაყოფილა – დემიკელისს ნახევარდაცვაში თამაში არ სურდა. „ვოლფსბურგთან“ მარტინმა იდეალურად ითამაშა და დაამტკიცა, რომ სიმართლეს ამბობდა. „ბაიერნის“ შეფ-სკაუტი **პაულ ბრაიტნერი** ამბობს, ფეხბურთის ამაზე უკეთესად თამაში მცველისთვის წარმოუდგენელიაო. ძირითად შემადგენლობაში ითამაშა **ლუკას პოდოლსკიმაც**. პოლდი ძალიან მონდომებული გახლდათ, მაგრამ თავი არაფრით გამოუჩენია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მეორე გოლში მონაწილეობა მიიღო.

ბავარიელებმა „ვოლფსბურგი“ თავიდანვე აშკარად დაჯაბნეს. 22-ე წუთზე **ლუსიოს** ანგარიშის გახსნა შეეძლო, როცა 6 მეტრიდან თავით დაარტყა, მაგრამ „ვოლფების“ მეკარე **ბენალიომ** ივაჟკაცა. რაც შეეხება გოლებს. ანგარიში მე-60 წუთზე **ფრანკ რიბერიმ** გახსნა, რომელმაც ბენალიოს ბურთი ფეხებსშუა გაუტარა. ზუსტად ექვსი წუთის შემდეგ პოლდის დარტყმა ბენალიომ მოიგერია, მაგრამ დამატებაზე კლოზემ ივარგა – 2:0.

და რას აკეთებდა „ვოლფსბურგი“? მგლების თავკაცი მაგათი, რომელმაც თავის დროზე რეკორდმაისტერთან ერთად გერმანიის თასი ზედიზედ ორჯერ მოიგო, ყოფილი გუნდის წინააღმდეგ შურისძიების სურვილით იყო შეპყრობილი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. არადა, „ვოლფსბურგი“ ბუნდესლიგაში მეორე წრის საუკეთესო გუნდია (16 ქულა). მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, „ბაიერნი“ გერმანიაში ყველას სჯობნის ხოლმე...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალერმო

# გვიდოლინს ისევ აგდებენ?

იმედია, არ გაგიკვირდებათ, თუკი "პალერმოს" პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი** თავის საყვარელ საქმიანობას გაიხსენებს და **ფრანჩესკო გვიდოლინს** მეხუთედაც გააგდებს. ისე კი, ღირსია გვიდოლინი. ის ამ პრეზიდენტს ოთხჯერ დაყაბულდა მუშაობაზე და ეტყობა, ჭკუა ვერ ისწავლა. გუშინ, იტალიური მედია ამაზეც მსჯელობდა - გადააყენებს თუ არა ძამპარინი მწვრთნელს?

"პალერმოს" უკვე ოთხი ტურია, არ მოუგია და თუ თავად გვიდოლინს დავესესხებით, უეფას ზონაში მოხვედრაზე, ჯერჯერობით, ფიქრიც კი ზედმეტია. მწვრთნელი აღიარებს, რომ იმედგაცრუებულია. ვინ იცის, თუ ასე წავიდა საქმე, შეიძლება, გუნდს საქმე გადარჩენისთვის ბრძოლაზეც მიუდგეს. უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ გვიდოლინს წყალი აქვს შეყენებული. გუშინ დაიწერა კიდეც, ძამპარინი იმ **სტეფანო კოლანტუონოს** დაბრუნებას აპირებს, რომელიც ნოემბერში დაითხოვაო. კოლანტუონოს კლუბთან კონტრაქტი ჯერ კიდევ აკავშირებს, ამდენად, თუ "პალერმოს" პრეზიდენტი დაუძახებს, უმალ ბაზაზე გაჩნდება...

მაგრამ ძამპარინი არ ფიქრობს, რომ ყველაფერი მხოლოდ გვიდოლინის ბრალია. ის მსაჯებსაც ადანაშაულებს. მაგალითად, "პარმასთან" ოთხშაბათის მატჩში, ბოლო წუთზე, სიცილიელთა კარში საკამათო 11-მეტრიანი დაინიშნა, რის შემდეგაც გამარჯვება მასპინძ-



გვიდოლინი, შეიძლება, უმუშევარი დარჩეს

ლებს დარჩათ. ძამპარინი ჩივის იმაზეც, რომ ტყუილად გაუქმდა გოლი, რომელიც "პალერმომ" პირველ ტაიმში გაიტანა:

*"საკმარისია უკვე ამდენი შეცდომა! შედეგად, არარსებული პენალტი და არჩათვლილი გოლი მივიღეთ. მინდა მივმართო იტალიის მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტ ჩეზარე გუსონის: თუ სერია B-ში გაგდებას გვიპირებს, ნუ გვაწვალებს, პირდაპირ გვითხრას".*

ცხადია, ძამპარინიმ გვიდოლინზეც ისაუბრა: *"მწვრთნელის მდგომარეობა არ არის სახარბიელო და ამას ყველა ხედავს. ძალიან ძნელია თამაშის მოგება 10 კაცითა და ერთი თავდამსხმელით. აკლია თუ არა მას სამწვრთნელო ჟინი? არ ვიცი, შეიძლება... სიმართლე ის არის, რომ გვიდოლინს აღარ სჯერა თავისი გუნდის და ფეხბურთელები ამას გრძნობენ კიდეც. აქედან გამომდინარე, რომელ შედეგებზეა საუბარი".*

სავარაუდოდ, მწვრთნელს ამ უიქენდზეც აცლიან და თუ ვერც შაბათს ("პალერმო" "ჯენოას" მასპინძლობს) მოიგო, მაშინ ძამპარინის ნამდვილად აღარ შერცხვება და გვიდოლინს მეხუთედაც დაუქნევს ხელს. ხოლო კოლანტუონო დაბრუნდება თუ სხვა მოვა, ეს ცალკე საკითხია. ერთიცაა: როცა ძამპარინისთან მუშაობ, ჩემოდნები ყოველდღე ჩალაგებული უნდა გქონდეს...

იტალია. სერია A. XXIX ტური

# მილანი შინ არ ვარგოდაო

## პენალტი? აქ გავჩუმდეთ. რომამ ინტრიგა ვერ გაამძაფრა




ჯენოა-ინტერი. 85-ე წუთზე ანგარიში ბორიელოს ეფექტური დარტყმით გათანაბრდა

"ლაციომ" ზუსტად გაუმეორა "რომას" ის, რაც პირველ წრეში თავად შეემთხვა - 3:2 იყო 31 ოქტომბერს და ეს ანგარიში დაფიქსირდა 19 მარტსაც. გუშინწინდელი დერბის შედეგს რამდენიმე ასპექტი აქვს. სატურნირო თვალსაზრისით, "რომას" საქმე გაუფუჭდა. "ინტერმა" გენუაში ქულები დაკარგა და "ჯალოროსის" გამარჯვების შემთხვევაში, ლიდერსა და მდევარს შორის სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდებოდა. ეს კი საჩემპიონო რბოლის თავიდან დაწყების მომასწავებელი იქნებოდა. თავის მხრივ, "ლაციალემ" გააგრძელა დაუმარცხებელი სვლა, ბოლო ხუთ ტურში მესამე თამაში მოიგო და ცხრილის პირველ ნახევარში აღმოჩნდა. "ბიანკოჩელესტეს" გამარჯვებამ ამბიცია გაუზარდა "იუვენტუსსაც", რომლის პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილი** უკვე სერიოზულად საუბრობს იმაზე, რომ მის კლუბს მეორე ადგილზე გასვლისა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ავტომატურად მოხვედრის შანსი გაუჩნდა. მაგრამ, როგორ აპირებს "იუვე" ამ თამაშით მეორე ადგილზე გასვლას, ეს ცალკე საუბრის თემაა...

ახლა, რაც შეეხება რომაული დერბის ფსიქოლოგიურ ასპექტებს. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ გაჭირვებული "ლაციოსთვის" რომაულ დერბიში გამარჯვება გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე სატურნირო ყოფის გაუმჯობესებაა. ტიფოზების თვალში დღეს "ლაციო" გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე მეცხრე პოზიციაა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ისიც გახლავთ, რომ "ლაციომ", ამ გამარჯვებით, კარგი საქმე გაუკეთა არა იმდენად "ინტერს", რამდენადაც თავის ყოფილ ფეხბურთელსა და მწვრთნელს, **რობერტო მანჩინის**, რომელსაც ოთხშაბათს "მარასიზე" ფეხი დაუცდა...

დერბი სწრაფ ტემპში დაიწყო. "ლაციოს" უკვე მე-7 წუთზე ჰქონდა შანსი: **კოლაროვის** მოჭრილ საჯარიმო დარტყმას, რომელიც უფრო ჩაწოდებას ჰგავდა, **დონიმ** ალღო ვერ აუღო და ბურთი ხარიხას მოხვდა. მერე "რომაც" ამოქმედდა და **პეროტას** დარტყმული მიზანს მცირედით ასცდა. მაგრამ ეს მხოლოდ ეპიზოდები იყო. ძირითადი ბრძოლების ეპიცენტრი მოედნის შუაგული იყო, შეტევები კი საჯარიმოს ხაზთან იფუშებოდა.

სცენარი **ტადეიმ** შეცვალა. გოლი კი კურიოზული გამოუვიდა. **ბეჰრამი** ბურთის მოგერიებას ცდილობდა, მაგრამ საჯარიმოში მყოფ ტადეის მოარტყა და... ანგარიში გაიხსნა. პირველი ტაიმის მიწურულს **პანდევის** მიერ გატანილმა გოლმა "ლაციოს" უდიდესი სამსახური გაუწია, თორემ "რომას" ეს ანგარიში რომ შეენარჩუნებინა, შეიძლება, ნომინალურ მასპინძელს მეორე ნახევარში ვერც ვერაფერი შეეცვალა. 44-ე წუთზე დონიმ კოლაროვის პასი პირდაპირ პანდევის ფეხებთან მოიგერია და 1:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში წინ უკვე "ლაციო" იყო. **ბიანკის** მაისურაზე მოქაჩეს და რეფერიმ, ცოტა არ იყოს, საეჭვო 11-მეტრიანი დანიშნა. "რომას" კიპერმა **როკის** პენალტი კინაღამ აულო, მაგრამ "კინაღამ" არ ითვლება. "ბიანკოჩელესტე" ზეიმმა მოიცვა, თუმცა სულ რაღაც ოთხი წუთით. პეროტა დროულად ჩაერთო კონტრშეტევაში და საჯარიმოს ხაზიდან ბურთი დაბალ კუთხეში გაახვია - 2:2.

ამის შემდეგ, **დელიო როსიმ** და **ლუჩანო სპალეტიმ** ნახევარდაცვის გაძლიერება დაიწყეს. თამაშის ბოლოსკენ კი თითქოს ორივე გუნდი თანახმა იყო ფრეზე, მაგრამ ასე არ ფიქრობდა ბეჰრამი, რომელიც მოულოდნელად აღმოჩნდა უპატრონო ბურთთან და ახლო მანძილიდან გამარჯვებისა დასცხო - 3:2.

სპალეტიმ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ერთადერთი, რაც მამშვიდებს, ისაა, რომ ბიჭებმა გამარჯვებისთვის ყველაფერი გააკეთეს. სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ "ინტერთან" მიახლოვების შანსი ხელიდან გავუშვით. რა გაეწყობა... მინდა დავარწმუნო ქომაგები, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლას ძველებური შემართებით გავაგრძელებთ. პირველ ტაიმში მეტოქე გვჯობდა, მეორეში ჩვენ ვითამაშეთ უკეთ. რაც შეეხება პენალტს... მოდით, ამაზე გავჩუმდეთ. ჩვენ ვილებთ მორგანტის გადაწყვეტილებას".*

როსი: *"დღეს ბიჭებში ის სულისკვეთება დავინახე, შარშან რომ გვქონდა. ეს მაიმედებს, რომ უფრო შორს წავალთ. ერთი კვირის წინათ ვთქვი, რომ ეს უკვე სხვა "ლაციოა". დღევანდელი გამარჯვებაც სწორედ ამას ადასტურებს. უეფას თასზე მოსახვედრად უნდა ვიბრძოლოთ. იმ თამაშით, რომელიც დღეს ვაჩვენეთ, ეს სრულიად რეალურია".*

"ჯენოა"-"ინტერის" მატჩში მასპინძელთა მწვრთნელმა **ჯამპიერო გასპერინიმ** სასტარტოში არ დააყენა გუნდისა და ჩემპიონატის ბომბარდირი **ბორიელო**, რაც მისი მხრიდან ერთგვარი ხრიკი იყო. ის მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში და "ინტერს" მნიშვნელოვანი ქულებიც დაატოვებინა. შეხვედრის დასრულებამდე ხუთიოდ წუთით ადრე, **იურიჩი** საჯარიმოში შეიჭრა და მოკლე გადაცემა გააკეთა პენალტის ნიშნულისკენ, სადაც ბორიელომ ნახევარბრუნით ეფექტურად შეაგდო...

მანამდე კი "ნერაძური" **სუასოს** გოლით იგებდა. **იბრაჰიმოვიჩის** ფლანგურ ჩაწოდებას ჰონდურასელი შორეულ ძელთან ელოდა. მიუხედავად დანინაურებისა, "ინტერი" არაფრად ვარგოდა. "ჯენოა" უკეთ და უფრო მწვავედაც ირჯებოდა. როგორც წესი, ჩემპიონი ამჯერზეც 10 კაცით დარჩა მოედანზე და კვლავ პირველივე ტაიმში. შესაძლოა, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისი, რომ მანჩინის შეგირდები წინ თამამად ვერ მიდიოდნენ. შესვენებისას, მწვრთნელმა შემტევი ნახევარმცველი **სოლარი** სკამზე დასვა და მოედანზე მცველი **რივასი** შეუშვა. ეს უკვე ნიშანი იყო, რომ "ინტერი" მინიმალური ანგარიშის შენარჩუნებას შეეცდებოდა... ვერ შეინარჩუნა და გულის ფანცქალით დაელოდა რომაული დერბის დასრულებას. აქაც გაუმართლა მანჩინის და მაშინაც, როცა ინერტული თამაშის გამო სულაც უქულოდ არ დარჩა.

ნამატჩევს, "ინტერის" თავკაცი წითელ ბარათს მისტიროდა: *"პელეს გაძევებამ თამაშის ხასიათი მთლიანად შეცვალა. ვეთანხმები არბიტრს, რომ ფეხბურთელი პირველ გაფრთხილებას ნამდვილად იმსახურებდა, მაგრამ მეორე ეპიზოდში რეფერი აშკარად შეცდა. დღეს უკვე შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ჯანლუკა როკის ხშირად მოსდის ამგვარი შეცდომები და საგულისხმოა, რომ ეს მაინცდამაინც "ინტერის" მატჩების დროს ხდება... საბოლოო ჯამში, შედეგით კმაყოფილი ვარ, გამომდინარე იქიდან, რაც რომაულ დერბიში მოხდა".*

კიდევ ერთი მილანურ-გენუური ჯახი "სან სიროზე" გაიმართა. პირველ წრეში, "მილანმა" "სამპდორია" სტუმრად 5:0 დაამარცხა. გამომდინარე იქიდან, რომ **კარლო ანჩელოტის** შეგირდები ამ სეზონში შინ არ ვარგანან (იმ ძალლის არ იყოს, სანადიროდ რომ გარბის), "სამპთან" გუშინწინდელი მარცხი სულაც არ არის სენსაცია. ვიცოდით, რომ "როსონერის" თავკაცი მარცხის ერთ-ერთ მიზეზად **კაკას** ტრავმას (რის გამოც, ბრაზილიელმა მოედანი მეათე წუთზე დატოვა) დაასახელებდა. ასეც მოხდა. სამაგიეროდ, კაკას ნაცვლად გამოსულმა **პალოსკიმ** გაიტანა თავური, რამაც "მილანს" თამაშის გადარჩენის შანსი მისცა, მაგრამ ამაოდ, ანუ, რაც გუშინდელ ნომერში დავწერეთ, ისაა ზუსტად: "როსონერი" ნამდვილად ხელიდან წავიდა.

"სამპმა" კი გასაკეთებელი პირველ 25 წუთში გააკეთა. **მაჯომ** მას შემდეგ გაიტანა, რაც ბურთი გზად ორ გენუელს შეეხო, **დელვეკიომ** კი კლასიკური კონტრშეტევა დააგვირგვინა მას შემდეგ, რაც **ზეედორფმა** მოედნის ცენტრში ბურთი მეტოქეს ჩააბარა. რა თქმა უნდა, ანჩელოტიმ სცადა თამაშის შემოტრიალება და **ჯილარდინოს** სახით მესამე ფორვარდიც აამოქმედა, მაგრამ ეს უფრო **გატუზოს** შეეძლო, რომელსაც **კასტელაციმ** ურთულესი ბურთი აულო.

"მილანის" მწვრთნელი, ცოტა არ იყოს, ურცხვად ამტკიცებდა, ბრწყინვალე ფეხბურთი ვითამაშეთ, მაგრამ ეგ არის, ერთ გოლზე მეტი ვერ გავიტანეთო. როგორც გითხარით, მერე კაკას ტრავმაც "დაადანაშაულა", ბოლოს კი იმით დაასრულა, რასაც უკანასკნელ ხანს ხშირად იმეორებს - მეტი წაბორძიკების უფლება არ გვაქვსო. ამ ხუმრობა-ხუმრობაში კი საჩემპიონთალიგო კვარტეტში მოხვედრის შანსი "სამპდორიასა" და "უდინეზესაც" გაუჩნდათ.

არანაკლებ ურცხვი იყო **კლაუდიო რანიერის** კომენტარიც - ემპოლიში ფრით კმაყოფილი ვარო. გავბედავთ და შევუსწორებთ სინიორ რანიერის, რომ ის კმაყოფილი იყო "რომას" წაგებით და არა "კასტელანიზე" დაკარგული ქულებით (0:0). აკი გითხარით, "იუვეს" პრეზიდენტ კობოლი ჯილის მეორე ადგილის ამბიცია მოეძალა. რანიერის ეყო მოკრძალება, რომ ამაზე საჯაროდ არ ელაპარაკა. მას ურჩევნია, "ინტერთან" საკვირაო ვოიაჟისთვის მოემზადოს.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია "ფიორენტინის" მარცხი ნეაპოლში, სადაც არგენტინელმა **ლავეციმ** გაილაღა და "იებს" დუბლით გადაუარა. **ექტორ კუპერმა** პირველი გამარჯვება იზეიმა, თუმც დღეს აღარ აქვს მნიშვნელობა იმას, რომ **ბუდანმა** "სამქულიანი" გოლი საეჭვო 11-მეტრიანით გაიტანა. "კალიარიმ" ზედიზედ მეოთხე საშინაო მატჩი მოიგო და ერთ დროს განწირული სარდინიელები სერია A-ში დარჩენის პერსპექტივას ახლა უკვე იმედით შესცქერიან. "ტორინოს" შეეძლო, თავი დაეღწია "უდინეზესთან" საშინაო მარცხისგან, მაგრამ **პანდაროვიჩმა** ჯერ **დი მიკელეს**, მერე კი **სტელონეს** აულო. მეკარის დამსახურებაა ისიც, რომ "რეჯინამ" ლივორნოში ქულა გადაარჩინა.

### მომდევნო ტური

**22 მარტი.** **ატალანტა-კატანია, ფიორენტინა-ლაციო, პალერმო-ჯენოა, რეჯინა-ნაპოლი, რომა-ემპოლი, სამპდორია-კალიარი, სიენა-პარმა, ტორინო-მილანი, უდინეზე-ლივორნო, ინტერი-იუვენტუსი.**

ინგლისი. პრემიერლიგა. გამოტოვებული მატჩები

# BEST SINCE BEST!

## კრისტიანო რონალდო მანჩესტერ იუნაიტედის რეკორდსმენია, ავრამ გრანტი პრინციპულ თამაშებს ვერ იგებს

**ტოტენჰემი–ჩელსი 4:4**

**ტოტენჰემი:** რობინსონი, შიმბონდა, კინგი (69. ბენტი), ვუდგეიტი, ჰატონი, ლენონი, ზოკორა, ჯენასი (46. ჰადლსტონი), მალბრანკი, ბერბატოვი, რობი კინი.

**ჩელსი:** კუდიჩინი, კარვალიო, ფერეირა, ტერი, ეშლი კოული, ჯო კოული (83. ბალაკი), ლემპარდი, ესიენი, მაკელელე, კალუ (71. ალექსი), დროგბა.

**გოლები:** 0:1 დროგბა (4), 1:1 ვუდგეიტი (12), 1:2 ესიენი (20), 1:3 ჯო კოული (52), 2:2 ბერბატოვი (61), 3:3 ჰადლსტონი (75), 3:4 ჯო კოული (80), 4:4 რობი კინი (88).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 10(9)-10(8); **ჯარიმა:** 10-16; **კუთხური:** 10-2; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 36 178

**მანჩესტერ იუნ.–ბოლტონი 2:0**

**იუნაიტედი:** კუშჩაკი, ოში, ვიდიჩი (58. ბრაუნი), პიკე, ფლეტჩერი, ჰარგრივსი, ანდერსონი (70. სქოულზი), რონალდო, ნანი, საა (70. რუნი), ტევესი.

**ბოლტონი:** ალ-ჰაბსი, ენდრიუ ობრაიენი, მეიტე (46. ჰანტი), სტეინსონი (82. იანაკოპულოსი), ჯოი ობრაიენი, ტეილორი, გარდნერი, მაკენი, გუტრი, კევინ დევისი, დიუფი.

**გოლები:** 1:0 რონალდო (9), 2:0 რონალდო (19).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 21(12)-14(10); **ჯარიმა:** 12-14; **კუთხური:** 6-3; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 75 476

როდესაც "ბოლტონთან" მატჩის მე-19 წუთზე **კრისტიანო რონალდომ** მეორე გოლი გაიტანა, მინდვრის გარშემო დამონტაჟებულ სარეკლამო დაფებზე გაჩნდა წარწერა: "Best since Best!", რაც ქართულად **"ჯორჯ ბესტის** შემდეგ საუკეთესოს" ნიშნავს. ეს "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ნაიკის" ერთობლივი აქცია იყო. პორტუგალიელ ვარსკვლავს საკლუბო რეკორდის დამყარება ასეთი ფორმით მიულოცეს.



ტოტენჰემი-ჩელსი. დიდიე დროგბასა და ალან ჰატონის საჰაერო ორთაბრძოლა

კრისტიანო "იუნაიტედის" პირველი გარემარბია, რომელმაც სეზონში 33 გოლს მოუყარა თავი. ოთხშაბათის გამოტოვებულ შეხვედრამდე რეკორდი - 32 გოლი - ჯორჯ ბესტს ეკუთვნოდა. ლეგენდარულმა ჩრდილო-ირლანდიელმა მეტოქეები ასე ულვთოდ 1967-68 წლების სეზონში შეავიწროვა. იმ წელს "მანჩესტერი" ჩემპიონთა თასს დაეუფლა, ინგლისის ჩემპიონატში კი ვერცხლის მედლებს დასჯერდა.

23 წლის რონალდო რეკორდის გაუმჯობესებას აპირებს. მას პრემიერლიგაში კიდევ რვა შეხვედრა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში - პოტენციურად ხუთი მატჩი აქვს სათამაშო. კრისტიანომ 33 გოლი 37 შეხვედრაში გაიტანა (პრემიერლიგის 24 მატჩში 24 გოლი), რაც მის მიღწევას კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის. სიმბოლურია, რომ რეკორდის დღეს კრისტიანო რონალდოს კაპიტნის სამკლაური ეკეთა - პირველად "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის შემდეგ.

ორიოდე სიტყვას "ბოლტონთან" შეხვედრაზეც მოგახსენებთ: **გარი მეგსონის** გუნდმა პრემიერლიგაში სტუმრად ჩატარებული 12 მატჩიდან მე-11 წააგო. "იუნაიტედმა" ის შესუსტებული შემადგენლობით დაამარცხა. ძირითად შემადგენლობაში არ უთამაშიათ **რაიან გიგზს, რიო ფერდინანდს, უეინ რუნისა** და **პოლ სქოულზს**. ფერდინანდი და გიგზი კაპიტანი და ვიცე-კაპიტანი არიან. რონალდოს კაპიტნობა მათ არყოფნას უნდა მივაწეროთ. დისკვალიფიკაციის შემდეგ მინდორს დაუბრუნდა პოლონელი მეკარე **ტომაშ კუშჩაკი**.

ანგარიში მე-9 წუთზე გაიხსნა. "ბოლტონის" კართან კუთხური დაინიშნა. სტუმართა მცველებმა ბურთი ვერ მოიგერიეს. ის რონალდოს მიუვიდა. პორტუგალიელმა მაღალ კუთხეში დაარტყა. კრისტიანოს დუბლის შესასრულებლად კიდევ ათი წუთი დასჭირდა. "ბოლტონის" ფეხბურთელები კართან ახლოს დაჯარიმდნენ. ბურთთან პორტუგალიელი ვარსკვლავი მივიდა და 30 მეტრიდან გაიტანა. "ეშმაკები" პრემიერლიგის ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ. ისინი მომდევნო ორ მატჩსაც შინ გამართავენ და პოზიციების გამტკიცებას შეეცდებიან.

მეორე გამოტოვებულ მატჩში, მაყურებელმა გოლების ფეიერვერკი იხილა. ინგლისის ჩემპიონატს ასეთი თამაშების გამო ჰყავს ასეულობით მილიონი მაყურებელი, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია "ჩელსისთვის". "არისტოკრატებმა" საჩემპიონო მარათონში პოზიციები გაიუარესეს. "იუნაიტედმა" სხვაობა ხუთ ქულამდე გაზარდა. **ავრამ გრანტმა** მორიგი პრინციპული დაპირისპირება ვერ მოიგო.

"ჩელსი" "ტოტენჰემს" სამჯერ უგებდა. მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიში 3:1 გახდა, მაგრამ სტუმრებმა უპირატესობა ქარს გაატანეს. გადამწყვეტი გოლი **რობი კინმა** გაიტანა. თავდამსხმელმა ოთხი დღით ადრე, "მანჩესტერ სიტისთან" მატჩისას დაშვებული შეცდომა გამოისყიდა (შეცვალეს, რის გამოც მინდვრიდან გასვლისას საწვრთნელი კოსტუმი გვერდზე მოისროლა. **ხუანდე რამოსის** კატეგორიული მოთხოვნით, მას ორი კვირის ხელფასი, 120 ათასი გირვანქა ჩამოაჭრეს). საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე **კარლო კუდიჩინიმ** "ჩელსი" სირცხვილს გადაარჩინა: მან **დიმიტარ ბერბატოვის** დარტყმა მოიგერია.

პირველ ნახევარში მსაჯმა **ეშლი კოული** არ გააძევა. ამ ეპიზოდს დიდი აყალმაყალი მოჰყვა. ინგლისის ნაკრების მცველმა **ალან ჰატონს** კინაღამ ფეხი მოატეხა. ის მეტოქეს ჩაუხტა და გაშლილი ფეხი მუხლში უთავაზა. ასეთი უხეშობისათვის ფეხბურთელებს ავტომატურად აძევებენ. მსაჯმა **მაიკ რაილიმ** მას მხოლოდ ყვითელი ბარათი უჩვენა, რითაც ტოტენჰემელთა აღშფოთება დაიმსახურა.

ზემოთ პრინციპული მატჩები ვახსენეთ. გავიხსენოთ: "ჩელსიმ" ფრედ ითამაშა "ლივერპულსა" და "ევერტონთან", წააგო "არსენალთან" და "მანჩესტერ იუნაიტედთან" და აი, ახლა ტოტენჰემსაც ვერ მოუგო. ამას დავუმატოთ იმავე "ტოტენჰემთან" წაგებული ლიგის თასის ფინალი და ასოციაციის თასზე სენსაციური მარცხი "ბარნსლითან". კვირას "ჩელსიმ" არსენალს უნდა უმასპინძლოს. მას "მეთოფეებისაგან" ორი ქულა ჰყოფს. გამარჯვების შემთხვევაში, "არისტოკრატები" მეორე საფეხურზე გადავლენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 30 | 22 | 4 | 4 | 61-15 | 70 |
| 2. არსენალი | 30 | 19 | 10 | 1 | 58-22 | 67 |
| 3. ჩელსი | 30 | 19 | 8 | 3 | 53-22 | 65 |
| 4. ლივერპული | 30 | 16 | 11 | 3 | 55-21 | 59 |
| 5. ევერტონი | 30 | 17 | 5 | 8 | 47-25 | 56 |
| 6. პორტსმუთი | 30 | 14 | 8 | 8 | 44-31 | 50 |
| 7. ასტონ ვილა | 30 | 13 | 10 | 7 | 52-39 | 49 |
| 8. მანჩესტერ სიტი | 30 | 13 | 9 | 8 | 36-34 | 48 |
| 9. ბლეკბერნი | 30 | 12 | 10 | 8 | 39-37 | 46 |
| 10. ვესტ ჰემი | 30 | 12 | 7 | 11 | 33-36 | 43 |
| 11. ტოტენჰემი | 30 | 9 | 9 | 12 | 58-51 | 36 |
| 12. ვიგანი | 30 | 8 | 7 | 15 | 27-42 | 31 |
| 13. მიდლსბრო | 30 | 7 | 10 | 13 | 27-44 | 31 |
| 14. ნიუკასლი | 30 | 7 | 8 | 15 | 31-57 | 29 |
| 15. რედინგი | 30 | 8 | 4 | 18 | 35-57 | 28 |
| 16. ბირმინგემი | 30 | 6 | 9 | 15 | 34-46 | 27 |
| 17. სანდერლენდი | 30 | 7 | 6 | 17 | 26-48 | 27 |
| 18. ბოლტონი | 30 | 6 | 7 | 17 | 28-45 | 25 |
| 19. ფულჰემი | 30 | 4 | 11 | 15 | 27-49 | 23 |
| 20. დერბი | 30 | 1 | 7 | 22 | 14-64 | 10 |

ინტერვიუ დიეგოსთან

# წავალ თუ დავრჩები, ეს უკვე ვერდერის გადასაწყვეტია

## ბრაზილიელი დღევანდელ ყოფას არ უჩივის, თუმცა არაფერს გამორიცხავს

მას მთხოვნელთა დიდი რიგი უდგას და ამ რიგში ევროპის სუპერგრანდები არიან. მოწინააღმდეგე ფეხბურთელები მის შეჩერებას მხოლოდ აკრძალული ფანდებით ახერხებენ – გერმანიის ჩემპიონატში თამაშის წესები ყველაზე ხშირად სწორედ მის წინააღმდეგ ირღვევა. დღეს ის დისკვალიფიცირებული და გაბრაზებულია, მისი მომავალი კი ჯერჯერობით გაურკვეველია. ეს დიეგოა, ბრემენის „ვერდერის“ ბრაზილიელი ბრილიანტი, რომელსაც „კიკერი“ გაესაუბრა.

**- დიეგო, გულახდილად გვითხარით, რა აზრის ხართ ფრანკფურტის "აინტრახტის" მცველ სოტირიოს კირიაკოსზე, რომელმაც ცხოვრება ჯოჯოხეთად გიგციათ.**

- ყველა ფეხბურთელს აქვს პლუსები და მინუსები, თავისებურებები და ყველა ფეხბურთელი თამაშობს ისე, როგორც შეუძლია. მე მხოლოდ ისეთ ფეხბურთელებს ვერ ვიტან, რომლებიც ფეარ-პლეის ჩარჩოებს სცდებიან და ამაზრზენად იქცევიან.

**- რომელი ფეხბურთელი იყო თქვენთვის ყველაზე უსიამოვნო მეტოქე: კირიაკოსი თუ დორტმუნდელი ტინგა, რომელმაც „ბორუსიასთან“ მატჩის დროს სიცოცხლე გაგიმწარათ...**

- არ მინდა, რომ რომელიმე ფეხბურთელზე კონკრეტულად ვისაუბრო. ვფიქრობ, რაც დასანახი იყო, გამოჩნდა კიდეც და შეფასება სხვისთვის, სახელდობრ თქვენთვის ან გულშემატკივრებისთვის მომინდვია.

**- საბოლოო ჯამში ისე გამოვიდა, რომ დაისაჯეთ თქვენ და არა პროვოკატორი. მაგალითად ისე, როგორც ეს 2006 წლის მუნდიალის ფინალში მოხდა – ზინედინ ზიდანმა მსოფლიო თასს განადგურებულმა ჩაუარა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი ამ თასს მარკო მატერაცი კოცნიდა. ეს უსამართლობაა?**



ბრაზილიელ ანგელოზს ვერდერიდან გაფრენა არ სურს

- იცით, მე არ ვარ საუკეთესო ექსპერტი, რომ ეს ყველაფერი შევაფასო. ცხადია, მაქვს საკუთარი მოსაზრება, მაგრამ არა მგონია, რომ ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. ეს გერმანიის საფეხბურთო კავშირისა და სადისციპლინო კომისიის საქმეა. მე უბრალოდ ვაღიარებ, რომ შეცდომა დავუშვი, როცა პროვოკაციას ავყევი – ნერვები უნდა მომეთოკა. იგივე შეცდომა დაუშვა ზიდანმაც 2006 წელს და შესაბამისად, არც მის საქციელს აქვს გამართლება. მე ვერ გავამტყუნებ მატერაცის, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გამხდარიყო და თავისი სამშობლო ესახელებინა. ზიდანმა კი, არათუ ყველაფერი არ გააკეთა, თავის თავსაც კი ვერ გადაახტა სულ რამდენიმე წუთით. ეს ფეხბურთი...

**- იმედია, შეცდომებზე სწავლობთ...**

- მას მერე, რაც ფეხბურთის თამაში დავიწყე და გამოჩნდა, რომ ნიჭი მაქვს, მუდმივად ასეთ პროვოკაციებთან მაქვს საქმე და უკვე შევეგუე. საერთოდ, სადავეები ხელიდან იშვიათად გამირბის ხოლმე, მაგრამ ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ და არა რობოტები. თუმცალა არა მგონია, რომ ასეთი რამ კიდევ დამემართოს.

**- ჯერ იყო რომი, მერე ფრანკფურტი... როგორ ახსნით იმას, რომ თავი ვერცერთ შემთხვევაში ვერ მოთოკეთ და გუნდი დაალალატეთ?**

- განსხვავებულ სიტუაციებთან გვაქვს საქმე. რომში პირველი ყვითელი ბარათი წესით არ უნდა მიმეღო – არ ვიმსახურებდი. შესაბამისად, არცაა გასაკვირი, რომ გაძევებისას ძალიან გავბრაზდი. თუმცა ვაღიარებ, რომ სარეკლამო ბილბორდისთვის ფეხი არ უნდა დამერტყა – ეს დაუშვებელი იყო.

**- რამდენიმე დღის წინათ გასახდელში თანაგუნდელ აარონ ჰანტს ეჩხუბეთ. რა ხდება, დეპრესია გაქვთ?**

- ფეხბურთი ძალიან ემოციური სპორტია და თანაგუნდელები ყოველთვის ერთ აზრზე ვერ იქნებიან. თუმცა მე ვფიქრობ, რომ ჰანტთან ჩხუბის მიზეზი თითიდან გამოწოვილი იყო. რაღაც სისულელის გამო ორივემ ვერ მოვთოკეთ ნერვები.

**- ამ ყველაფერს კი ის მოჰყვა, რომ ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა ჟორჟინიომ საჯაროდ გაგაკრიტიკათ. ამის გამოც გაბრაზდებოდით...**

- ის აბსოლუტურად მართალია – კრიტიკას მართლაც ვიმსახურებდი. მისი სიტყვები ჩემთვის მისაღებია.

**- ამბობენ, დიეგო ბოლო დროს ყველაფრით უკმაყოფილო და ყოველმხრივ გზააბნეულიაო... მართალია თუ არა ეს და თუ მართალია, რა არის ამის მიზეზი?**

- ჰო, ამბობენ "ვერდერიდან" წასვლა უნდა და იმიტომო. ვინც ასე ფიქრობს, ვეტყვი, რომ ცდება – აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და ჩემი ყოფით სავსებით კმაყოფილი ვარ.

**- მეორე წრითაც კმაყოფილი ხართ?**

- მატჩების უმეტესობა დისკვალიფიკაციის ან ტრავმის გამო გამოვტოვე. შესაბამისად, შეფასება ჯერ ნაადრევია.

**- როგორ ფიქრობთ, პროგრესს აგრძელებთ თუ იანვრის შემდეგ ერთ ადგილზე შეყოვნდით?**

- ვფიქრობ, დროებით გავჩერდი, მაგრამ მხოლოდ დროებით.

**- და "ვერდერის" მდგომარეობაზე რა აზრის ხართ?**

- თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ წამყვანი ფეხბურთელები ხშირად გვაკლდნენ და კიდევ იმას, რომ „ბაიერნმა“ ზაფხულში გრანდიოზული ფეხბურთელები შეიძინა, უკმაყოფილების საბაბი გვაქვს, მაგრამ არც ისე დიდი, რომ განგაშის ზარებს შემოვკრათ. „ვერდერი“ სეზონს კარგად დაასრულებს.

**- კარგში რას გულისხმობთ, მეორე ადგილს?**

- მე ჯერ ჩემპიონობაზეც არ ჩამიქნევია ხელი, მაგრამ განა მეორე ადგილი ცუდი შედეგი იქნება?

**- ბოლო დროს ყველა რიბერიზე ლაპარაკობს და არა დიეგოზე...**

- რა პრობლემაა, რიბერი გენიალური ფეხბურთელია და აუცილებელი სულაც არ არის, რომ სულ ჩემზე ილაპარაკონ. საფეხბურთო მსოფლიოში ყველასათვის საკმარისი ადგილია. მე მხოლოდ მივესალმები იმ ფაქტს, რომ რიბერიც გერმანიის ჩემპიონატში თამაშობს. დღეს „ბაიერნი“ პირველ ადგილზეა, ფრანგი ნახევარმცველი კი შესანიშნავ სეზონს ატარებს. შესაბამისად, არცაა გასაკვირი, რომ მას ძალიან აქებენ. თუმცა საბოლოო ჯამში მას თავისი პლუსები აქვს, მე კი ჩემი. იმის გამო, რომ მე ოდნავ დამივიწყეს და მხოლოდ რიბერიზე ლაპარაკობენ, დეპრესიაში ნამდვილად არ ჩავარდები და მით უმეტეს არ გავუარესდები.

**- ბავშვობაში უამრავი ტიტული მოიგეთ, „ვერდერში“ კი ჯერ არცერთი არ მოგიგიათ. და დიდი შანსია, რომ ამ სეზონშიც უტიტულოდ დარჩეთ...**

- სამწუხაროდ, „რეინჯერსთან“ დაუმსახურებლად დავმარცხდით. ბრემენში უდიდესი უპირატესობა გვქონდა და წესით, 4:0 უნდა მოგვეგო. მოკლედ, სასტიკად არ გაგვიმართლა.

**- როგორც ყოველთვის, თქვენზე ამჯერადაც უამრავი სპეკულაცია ვრცელდება. შეგიძლიათ, დაგვიდასტუროთ, რომ გაისადაც „ვერდერში“ ითამაშებთ?**

- ბრემენულ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე მაკავშირებს, აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და სასაყვედურო არაფერი მაქვს. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ მომდევნო სეზონშიც „ვერდერში“ ვითამაშებ. თუმცა გადაჭრით ამის თქმა არ შემიძლია, რადგან არასდროს არაფერია გამორიცხული. მოდით, ასე ვიტყვი: დავრჩები თუ არა ბრემენში, ეს მხოლოდ და მხოლოდ „ვერდერის“ გადასაწყვეტია.

**- დაიწერა, რომ გასულ უქმეებზე მამასთან ერთად ერთ-ერთ სუპერგრანდთან გამართეთ მოლაპარაკებები. ამბობენ, „ჩელსისთანო“...**

- ასეთი სპეკულაციები ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია და ეს ყველაფერი ჩემზე გავლენას აღარ ახდენს – მივეჩვიე. ერთადერთი, რაც ნერვებს მიშლის, ტყუილებია. მოკლედ, დღეს „ვერდერის“ ბოსი კლაუს ალოფსი ჩემთან რომ მოვიდეს და მკითხოს, წასვლა ხომ არ გინდაო, გადაჭრით ვუპასუხებ, არამეთქი...

**გოტფრიდ ლენცი**

საფრანგეთის ნაკრები

# ტრეზეგე ევროპის ჩემპიონატზე არ ითამაშებს

## რაიმონ დომენეკის გაფართოებული სია ოთხი დებიუტანტით: საუკეთესო 23 ფეხბურთელი აქედან შეირჩევა...

საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა **რაიმონ დომენეკმა** 36-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი 22 ფეხბურთელი ამათგან შეირჩევა. ისინი, ვინც გაფართოებულ სიაში ვერ მოხვდნენ, ავსტრიასა და შვეიცარიაში არ გაემგზავრებიან. ასეთია, მაგალითად, **დავიდ ტრეზეგე**. იტალიის ჩემპიონატის მეორე საუკეთესო ბომბარდირს (16 გოლით) დომენეკის გუნდში გამოძახება, როგორც ჩანს, ალარ უწერია. მან ნაკრებში ბოლოს 2006 წლის სექტემბერში, შოტლანდიასთან შესარჩევი მატჩში (0:1) ითამაშა.

შემადგენლობის დასახელებამდე ერთი დღით ადრე მოსიე რაიმონი ფრანგ ჟურნალისტებს შეხვდა და ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების შესახებ ესაუბრა. 56 წლის სპეციალისტი მიიჩნევს, რომ დიდი ტურნირებისთვის მოსამზადებლად აბსოლუტური იზოლაცია და სიმშვიდეა საჭირო: *"ევროპის ჩემპიონატის მოსაგებად არათუ 100, საკუთარი შესაძლებლობების 1000 პროცენტით წარმოჩენაა საჭირო. ასეთ დროს ტელევიზორი ზედმეტია. გარეშე სამყაროს სრულად უნდა მოსწყდე და არც გაზეთები იკითხო."*

ფრანგები ევროპის ჩემპიონატს 9 ივნისს, ციურიხში, რუმინეთთან მატჩით დაიწყებენ. ისინი სიკვდილის ჯგუფში იმყოფებიან. რუმინელთა გარდა, მათ ჰოლანდიასა და იტალიასთან მოუწევთ თამაში. 26 მარტს, საფრანგეთი ინგლისთან ამხანაგურ მატჩს მართავს. "მამლები" საუკეთესო ფორმაში არ იმყოფებიან. გუნდმა თებერვალში, ესპანეთთან მინიმალური ანგარიშით წააგო და ორი შეხვედრაა, გოლი არ გაუტანია: *"ინგლისელთა წინააღმდეგ ისე უნდა ვითამაშოთ, თითქოს, ევროპის ჩემპიონატზე ვიყოთ. ესპანეთთან დამარცხებამ ფეხბურთელები ძალიან დაამწუხრა. ტურნირს რომ კარგ ხასიათზე შევხვდეთ, ამისთვის ამხანაგური თამაშები უნდა მოვიგოთ. იმედია, ინგლისთან გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება."*

დომენეკის სიაში ოთხი ახალწვეულია: მარსელელი თავდამსხმელი **მატიო ვალბუენა**, რომელიც ტრეზეგეს ნაცვლადაა გამოძახებული, ლიონელი ნახევარმცველი **მატიო ბოდმერი**, აგრეთვე ორი მცველი "ლილიდან" და "შტუტგარტიდან" - **ადილ რამი** და **მატიო დელპიერი**. გუნდს დაუბრუნდა მანჩესტერელი თავდამსხმელი **ლუის საა**, რომელსაც ფრანგების მაისურით 2006 წლის ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია. დომენეკის გაფართოებული შემადგენლობა ასე გამოიყურება:


დავიდ ტრეზეგეს მართლაც სატირლად აქვს საქმე

**მეკარეები** - გრეგორი კუპე (ლიონი), სებასტიან ფრეი (ფიორენტინა), მიკაელ ლანდრო (პარი სენ ჟერმენი), სტივ მანდანდა (მარსელი);

**მცველები** - ერიკ აბიდალი (ბარსელონა), ჟან ალენ ბუმსონგი (ლიონი), ფრანსუა კლერი (ლიონი), სებასტიან სკილაჩი (ლიონი), გაელ კლიში (არსენალი), ვილიამ გალასი (არსენალი), ბაკარი სანია (არსენალი), ჟულიენ ესკუდე (სევილია), პატრის ევრა (მანჩესტერ იუნაიტედი), გაელ ჟივე (მარსელი), ფილიპ მექსე (რომა), მატიო დელპიერი (შტუტგარტი), ადილ რამი (ლილი), ლილიან ტურამი (ბარსელონა);

**ნახევარმცველები** - ალუ დიარა (ბორდო), ლასანა დიარა (პორტსმუთი), მატიო ფლამინი (არსენალი), კლოდ მაკელელე (ჩელსი), სამირ ნასრი (მარსელი), ჟერომ როტენი (პარი სენ ჟერმენი), ჟერემი ტულალანი (ლიონი), მატრიკ ვიეირა (ინტერი), მატიო ბოდმერი (ლიონი), რიო მავუბა (ლილი), ფრანკ რიბერი (ბაიერნი);

**თავდამსხმელები** - ნიკოლა ანელკა (ჩელსი), ჰატემ ბენ არფა (ლიონი), ქარიმ ბენზემა (ლიონი), სიდნი გოვუ (ლიონი), ჯიმი ბრიანი (რენი), ჯიბრილ სისე (მარსელი), ტიერი ანრი (ბარსელონა), ფლორან მალუდა (ჩელსი), ლუის საა (მანჩესტერ იუნაიტედი), მატიო ვალბუენა (მარსელი).

ინგლისის ნაკრები

# ბექჰემი პარიზში მიემგზავრება

## ორწლიანი შესვენების შემდეგ უოლკოტს ნაკრებში თამაშის საშუალება მიეცა



ფაბიო კაპელოს დევიდ ბექჰემი საფრანგეთში მიჰყავს

**დევიდ ბექჰემი** ნაკრებში დაბრუნდა. **ფაბიო კაპელომ** ის საფრანგეთთან 26 მარტის ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა. "ლოს ანჯელეს გალაქსის" ვარსკვლავი მე-100 სანაკრებო შეხვედრას პარიზში ჩაატარებს.

კაპელოს ასისტენტი **ფრანკო ბალდინი** დალასში, მის თამაშს პირადად დაესწრო. ბექჰემს საუკეთესო რეკომენდაცია გაუწია "გალაქსის" თავკაცმა **რუუდ გულიტმა**. ამერიკაში სეზონი ჯერ არ დაწყებულა. ბექჰემი უთამაშებლობას მაინც არ უჩივის. მან ხუთი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა.

კაპელომ "არსენალის" თავდამსხმელ **თეო უოლკოტსაც** უხმო. ის ინგლისელთა განაცხადში 2006 წლის მუნდიალის შემდეგ არ ყოფილა. მისი პირველი და უკანასკნელი სანაკრებო მატჩი 2006 წლის 30 მაისით თარიღდება. იმ დღეს, უნგრელებთან ამხანაგურ შეხვედრაში, უოლკოტი 17 წლისა და 75 დღისა იყო. ის ნაკრების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა.

უცნაური ისაა, რომ უოლკოტმა ინგლისის ეროვნულ ნაკრებში უფრო ადრე ითამაშა, ვიდრე ახალგაზრდულ ნაკრებში. 21-წლამდელთა გუნდში მისი დებიუტი სამი თვით გვიან, 2006 წლის 15 აგვისტოს მოლდოვასთან მატჩში შედგა. კაპელოს სიაში ერთი დებიუტანტია - მიდლსბროელი მცველი **დევიდ ვიტერი**.

ინგლისელ მიმომხილველებს ნაკრების კაპიტნის საკითხიც აღელვებთ. შვეიცარიასთან შეხვედრაში სამკლაური **სტივ ჯერარდს** ეკეთა. იმხანად **ჯონ ტერი** დაშავებული იყო. კაპიტნობას მას ან მანჩესტერელ **რიო ფერდინანდს** უწინასწარმეტყველებენ. საფრანგეთთან მატჩისას, თუ ბექჰემი ძირითად შემადგენლობაში იქნება, სამკლაური შეიძლება მას ჩააბარონ. აქვე, კაპელოს სია:

**მეკარეები** - დევიდ ჯეიმსი (პორტსმუთი), სკოტ კარსონი (ასტონ ვილა), კერკლანდი (ვიგანი);

**მცველები** - უეინ ბრიჯი (ჩელსი), ეშლი კოული (ჩელსი), გლენ ჯონსონი (პორტსმუთი), ჯონ ტერი (ჩელსი), ვესლი ბრაუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯოლეონ ლესკოტი (ევერტონი), რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნაიტედი), დევიდ ვიტერი (მიდლსბრო), ჯონათან ვუდგეიტი (ტოტენჰემი), მეტიუ აპსონი (ვესტ ჰემი);

**ნახევარმცველები** - გარეთ ბერი (ასტონ ვილა), ეშლი იანგი (ასტონ ვილა), დევი ბენტლი (ბლექბერნი), ჯო კოული (ჩელსი), ფრენკ ლემპარდი (ჩელსი), შონ რაიტფილიპსი (ჩელსი), დევი ბექჰემი (ლოს ანჯელეს გალაქსი), სტივ ჯერარდი (ლივერპული), ოუენ ჰარგრივსი (მანჩესტერ იუნაიტედი), სტიუარტ დაუნინგი (მიდლსბრო), ჯერმეინ ჯენასი (ტოტენჰემი);

**თავდამსხმელები** - თეო უოლკოტი (არსენალი), გაბრიელ აგბონლაორი (ასტონ ვილა), პიტერ კრაუჩი (ლივერპული), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), მაიკლ ოუენი (ნიუკასლი), ჯერმეინ დეფო (პორტსმუთი).

გერმანიის ნაკრები

# ლიოვმა ჰუთი დააბრუნა

გუშინ, გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ის შემადგენლობა დაასახელა, რომქლიც მომავალ ოთხშაბათს ბაზელში შვეიცარიის ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრება. იოგის გერმანელი ქომაგებისთვის სიურპრიზები არ შეუთავაზებია. ერთადერთი სიახლე ის გახლავთ, რომ მან ბუნდესგუნდში "მიდლსბროს" მცველი **რობერტ ჰუთი** დააბრუნა, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 2006 წლის მუნდიალის შემდეგ ეროვნულ გუნდში ალარ უთამაშია.

**მეკარეები**: იენს ლემანი (არსენალი), ტიმო ჰილდებრანდი (ვალენსია), რობერტ ენკე (ჰანოვერი).

**მცველები**: არნე ფრიდრიხი (ჰერტა), რობერტ ჰუთი (მიდლსბრო), მარსელ იანსენი (ბაიერნი), პერ მერტეზაკერი (ვერდერი), ფილიპ ლამი (ბაიერნი), ჰაიკო ვესტერმანი (შალკე).

**ნახევარმცველები**: მიხაელ ბალაკი (ჩელსი), თომას ჰიტცლშპერგერი (შტუტგარტი), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), კლემენს ფრიტცი (ვერდერი), სიმონ როლფესი (ლევერკუზენი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი), პიოტრ ტროხოვსკი (ჰამბურგი).

**თავდამსხმელები**: ლუკას პოდოლსკი (ბაიერნი), მარიო გომესი (შტუტგარტი), მიროსლავ კლოზე (ბაიერნი), შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი), კევინ კურანი (შალკე).


რობერტ ჰუთი ნაკრებში დაბრუნდა

## ბექჰემმა პელე დააჯილდოვა

ოთხშაბათს, მანჰეტენზე, საქველმოქმედო წვეულება გაიმართა. **დევიდ ბექჰემმა** ფეხბურთის მეფეს, **პელეს**, სპორტის ამ სახეობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ჯილდო გადასცა. ინგლისელმა გალაქტიკომ პელესთან შეხვედრას მისი ცხოვრების ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მომენტი უწოდა. წვეულებაზე დასწრების მსურველებმა ერთი ადგილისთვის 1250 დოლარი გადაიხადეს. მიღებული შემოსავალი მთლიანად ჰარლემის ბავშვთა საფეხბურთო სკოლას გადაეცა. პელე პირველი დიდი ვარსკვლავი იყო, რომელიც ფებურთის სათამაშოდ ამერიკაში ჩავიდა. 1975 წელს მან ნიუ იორკის "კოსმოსთან" გააფორმა კონტრაქტი. **დევიდ ბექჰემი** მისი და 70-იანი წლების ლეგენდების გზას აგრძელებს. მისი მოვალეობაც ამერიკაში ფეხბურთის პოპულარიზაციაა.

## შვედეთი ბრაზილიისთვის გაემზადა

შვედეთის ნაკრების თავკაცმა **ლარს ლაგერბაკმა** ბრაზილიასთან ამხანაგური მატჩისთვის 20-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. შეხვედრა 26 მარტს, ლონდონში გაიმართება. შვედები ევროპის ჩემპიონატზე ესპანეთს, რუსეთსა და საბერძნეთს შეხვდებიან.

**მეკარეები** - ანდრეას ისაკსონი (მანჩესტერ სიტი), რამი შააბანი (ჰამარბიუ);

**მცველები** - ერიკ ედმანი (ვიგანი), დანიელ მაისტოროვიჩი (ბაზელი), ოლოფ მელბერგი (ასტონ ვილა), მიკაელ ნილსონი (პანათინაიკოსი), ნიკლას ალექსანდერსონი (გიოტებორგი), ფრედრიკ რისპი (ანქარასფორი), ფრედრიკ სტოორი (რუსენბორგი);

**ნახევარმცველები** - დანიელ ანდერსონი (მალმიო), კენედი ბაკირჩიოღლუ (აიაქსი), კიმ კალსტრიომი (ლიონი), ანდერს სვენსონი (ელფსბორგი), კრისტიან ვილჰელმსონი (დეპორტივო), სებასტიან ლარსონი (ბირმინგემი), ფრედრიკ ლიუნგბერგი (ვესტ ჰემი);

**თავდამსხმელები** - მარკუს ოლბაკი (კოპენჰაგენი), იოჰან ელმანდერი (ტულუზი), ზლატან იბრაჰიმო (ინტერი), მარკუს როზენბერგი (ვერდერი).

## უემბლიზე ამერიკას ელოდებიან

28 მაისს, უემბლიზე, ინგლისი ამერიკასთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. ამ გუნდებმა ბოლოს 2005 წლის 28 მაისს, ჩიკაგოს "სოლჯერ ფილდზე" ითამაშეს. სტუმრებმა 2:1 მოიგეს. ამერიკელები, ინგლისელების მსგავსად, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ემზადებიან. თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ინგლისელთა შემადგენლობაში ისევ ითამაშებს **დევიდ ბექჰემი**. მისი გამოძახება ამერიკაში ამ თამაშის მიმართ ინტერესს ერთი-ორად გაზრდის. მომდევნო ოთხშაბათს ამერიკა პოლონეთს ესტუმრება. 8 ივნისს დაგეგმილია ამხანაგური მატჩი არგენტინასთან ნიუ ჯერსიში. წელს ამერიკელებმა ორი შეხვედრა გამართეს: შვედეთს სძლიეს (2:0) და მექსიკას დაუზავდნენ (2:2).

## ტერი: ამპარტავანი და ქედმაღალი

"ჩელსის" კაპიტანი **ჯონ ტერი** ულირს საქციელში ამხილეს. მან საკუთარი "ბენტლი" უნარშეზღუდულთათვის განკუთვნილ სადგომზე გააჩერა და ოჯახთან ერთად სასადილოდ გაემართა. ის მაშინვე გააკრიტიკეს. ინგლისელმა მიმომხილველებმა ვარსკვლავს ამპარტავანი და ქედმაღალი უწოდეს და უნარშეზღუდულთა ინტერესების დარღვევაში დაადანაშაულეს. "სანში" ვკითხულობთ - ტერიმ იცოდა, რომ მანქანის იქ გაჩერებისთვის ჯარიმას დააკისრებდნენ. პიცერიიდან დაბრუნებულს 60-გირვანქიანი ქვითარი დახვდა, მაგრამ მას კვირაში 100 ათას გირვანქას უხდიან. ამიტომ ქვითარზე გამოწერილი თანხა არაფრად ჩააგდო, მშვიდად ჩამოარიგა ავტოგრაფები და შინისკენ გაემართაო. ჯონმა მეორე დღესვე საჯაროდ მოიხადა ბოდიში და პირობა დადო, რომ სხვა დროს ასეთ შეცდომას ალარ დაუშვებს.

## ტოტენჰემმა კამენი აირჩია

"ტოტენჰემი" "ესპანიოლს" კამერუნელი მეკარის **კარლოს იდრის კამენის** ტრანსფერზე მოურიგდა. ამ ინფორმაციას გაზეთი სანი ავრცელებს. ტაბლოიდის ცნობით, კატალონიელებს 6.5 მილიონ ევროს გადაუხდიან. 24 წლის გოლკიპერი სამწლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს და კვირაში 30 ათას გირვანქას ჩაიჯიბავს. ამ გარიგებას ესპანური ტაბლოიდი "ელ მუნდო დეპორტივო" გამოეხმაურა. ის ვარაუდობს, რომ კამენის გარდა, ლონდონში გაემგზავრება "ესპანიოლის" მეკარეთა მწვრთნელი **ტომას ნკონოც**. ის კამერუნის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავია. ნკონომ 1990 წლის მუნდიალზე თამაშისას გაითქვა სახელი. აქვე გეტყვით, რომ "ტოტენჰემის" დღევანდელ კარის დარაჯ **პოლ რობინსონს** ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს. ის "მიდლსბროში" ან "ასტონ ვილაში" გააგრძელებს კარიერას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია

# ბუნდესლიგის ათი უსაძაგლესი ფეხბურთელი

## ისინი სძულთ, მათი ეშინიათ, მათ აგინებენ...











**სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია. ასე რომ, უმრავლესობისთვის საძულველი მოთამაშეები ყველასთვის საყვარელ ფეხბურთელებთან ერთ ნაბიჯში არიან...**

გერმანიის პირველობის მიმდინარე სეზონის პირველი ტიტული უკვე პატრონს ჩაბარდა: ბუნდესლიგის ყველაზე საძულველი ფეხბურთელის წოდება „კარლსრუეს“ 26 წლის მცველმა **მაიკ ფრანცმა** მიიღო. **ალექსანდრე იაშვილის** თანაგუნდელი თვითონვე ამბობს, ეს სულაც არ მიკვირს და არც დისკომფორტს მიქმნისო. პირიქით, ფრანცი, რომლის მისაბაძი მაგალითი ყოველთვის **შტეფან ეფენბერგი** იყო (ახლა უკვე გასაგებია ყველაფერი) გახარებულია იმით, რომ კოლეგებისა და გულშემატკივრების აბსოლუტურ უმრავლესობას სძულს.

„შტუტგარტის“ თავდამსხმელმა **მარიო გომესმა** ამას წინათ ერთ-ერთი ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში “არშლოხ” (უკანალი) უწოდა. „ვოლფსბურგის“ ფორვარდმა **გრაფიტემ** კი, „კარლსრუესთან“ მატჩის შემდეგ თქვა, ეს ბიჭი სრულ ჭკუაზე არ არის. ხოლო ფრანკფურტის „აინტრახტის“ ბერძენი გოლეადორი **იოანის ამანატიდისი** კი უფრო შორს წავიდა და განაცხადა: *„წარმოდგენა არა მაქვს, რა უდევს თავში. თუმცა ფაქტია, რომ იქ ბევრი არაფერი უწერია.“*

მოკლედ, ფრანცი ამ მხრივ უკონკურენციოა. და ვინ მოდის მის შემდეგ? ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა (ბილდი) ბუნდესლიგის ფეხბურთელებს შორის გამოკითხვა ჩაატარეს და საბოლოოდ, ყველასთვის საძულველი მოთამაშეების საუკეთესო ათეული შეადგინეს. ვინ უხეშობს სასტიკად? ვინ ირტყმევინება იდაყვებს სახეში? ვინ ეცემა ყველაზე თეატრალურად? ვინ ეკამათება მუდმივად მსაჯს? ვინ ახდენს მეტოქის პროვოცირებას? ნახეთ, ვინ მოხვდა ათეულში...

### 1. მაიკ ფრანცი (კარლსრუე, 26 წლის)

მაიკი საკმაოდ კარგი მცველია და ამ მხრივ მას არავინ საყვედურობს. შვეიცარიელ **მარიო ეგიმანთან** ერთად მან მიმდინარე სეზონში „კარლსრუეს“ დაცვის ცენტრში შესანიშნავი დუეტი შექმნა და სხვებთან ერთად მისი დამსახურებაცაა, ბადენელები ამ სეზონის აღმოჩენად რომ იქცნენ. თანაც, ფრანცი შედეგიანია და ოთხი გოლი აქვს გატანილი, რაც მცველისთვის შესანიშნავი შედეგია. ფაქტია, რომ ფრანცი განგებ თამაშობს აგრესიულად და როგორც ამბობს, სხვანაირად არ შეუძლია.

*„მაიკის წინააღმდეგ თამაში ნამდვილი ჯოჯოხეთია. ის მუდმივად საშინელი სიტყვებით ილანძღება და როგორც კი საშუალება ეძლევა, ფეხებში მირტყამს. ვფიქრობ, ასეთ ქცევას სიჭკვიანესთან არანაირი კავშირი არა აქვს. პირიქით, ეს ფეხბურთელის ჭკუასუსტობაზე მეტყველებს,“* – აცხადებს ამანატიდისი, რომელსაც, როგორც თავდამსხმელს, უშუალოდ ფრანცთან უწევდა ბრძოლა. *„ყველგან გირტყამს და ოდნავადაც არ გინდობს. პირდაპირ ფეხზე გაბიჯებს და მერე მუხლით გეჯახება. ფრანცთან ბრძოლა იშვიათად მიწევდა, მაგრამ როცა შევებრძოლე, ყოველთვის რაღაც მატკინა,“* – ეს კი ფინკის სიტყვებია.

### 2. მარკ ვან ბომელი (ბაიერნი, 30 წლის)

„ბაიერნის“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი თვითონ მიუნხენური კლუბის ზოგ ქომაგსაც ჭირისდღესავით ეზიზღება. თუმცაღა, რეკორდმაისტერის ფანების უმრავლესობა **ვან ბომელს** უდიდეს პატივს სცემს. ბავარიელი ქომაგები ამით თითქოს ეფენბერგის წასვლის შემდეგ დატოვებულ სიცარიელეს ინაზღაურებენ. ამას წინათ, „ჰამბურგთან“ მატჩის დროს ვან ბომელმა მსაჯს ზურგს უკან შეურაცხმყოფელი ჟესტი გაუკეთა, რის გამოც (გაძევების გარდა) კიდევ ორი მატჩით დისკვალიფიკაციით დაისაჯა. *„იცით, კიდევ უამრავი სცენაა, რის გამოც ვან ბომელი ასევე დისკვალიფიკაციით უნდა დასჯილიყო. რასაც ეს ფეხბურთელი მოედანზე ყოფნისას აკეთებს, სპორტთან არანაირი კავშირი არა აქვს,“* – ეს ბრემენის „ვერდერის“ ნახევარმცველ **დანიელ იენსენის** სიტყვები გახლავთ. ბავარიელთა მთავარ მწვრთნელ **ოტმარ ჰიტცფელდისთვის** ვან ბომელი „აგრესიული ლიდერია“, რომლის დარი ფეხბურთელები ნებისმიერ გუნდს ძალიან სჭირდება.

### 3. ვრაგელ და სილვა (კოტბუსი, 33 წლის)

„კოტბუსის“ ბრაზილიელი მცველი ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დასჯადი ფეხბურთელია. თავად განსაჯეთ: ბოლო ერთი წლის განმავლობაში **და სილვამ** დისკვალიფიკაციის გამო 18 მატჩი (!) გამოტოვა, რაც გერმანიის პირველობის რეკორდი გახლავთ. დღესდღეობით მას რვამატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს მისჯილი. მიზეზი: „ჰანოვერთან“ შეხვედრისას მან „წითლების“ ფეხბურთელ **კრებსს** იდაყვი უთავაზა. *„ამ ფეხბურთელს ბუნდესლიგაში და საერთოდ ფეხბურთში არაფერი ესაქმება,“* – აცხადებს ჰანოვერელთა დამრიგებელი **დიტერ ჰეკინგი**.

### 4. დავიდ იაროლიმი (ჰამბურგი, 28 წელი)

„ჰამბურგის“ ჩეხი ფეხბურთელი საყრდენი ნახევარმცველია, რაც თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ მას ხშირად “უწევს” უხეშობა. თუმცა ამ შემთხვევაში **დავიდ იაროლიმის** სხვა პრეტენზიებია. კერძოდ ის, რომ ჩეხი ნახევარმცველი გერმანიის ჩემპიონატში ჯარიმების ნომერ პირველი მომპოვებელია. მას მერე, რაც ბუნდესლიგის სტატისტიკური მონაცემთა ბაზა შეიქმნა, იაროლიმი რეკორდსმენი გახდა – ის პირველი ფეხბურთელია, რომელმაც 1000-ზე მეტი ჯარიმა მოიპოვა. “აინტრახტის” ბოსი **ბრუხჰაგენი**: *“ერთ თამაშში მინიმუმ 18-ჯერ ეცემა. ეს არ არის ნორმალური მოვლენა.”*

სხვათა შორის, იაროლიმის წინააღმდეგ „ლევერკუზენის“ სპორტულმა დირექტორმა **რუდი ფიოლერმა** და “ვოლფსბურგის” მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმაც** გაილაშქრეს.

### 5. ალტინ ლალა (ჰანოვერი, 31 წლის)

*“ფეხბურთი ბალეტი არ არის!”* – ეს “ჰანოვერის” ალბანელი ნახევარმცველის, **ალტინ ლალას** დევიზია. ფეხურთი ბალეტი მართლაც არ არის, მაგრამ არც ისაა, რასაც ლალა გულისხმობს. “ბაიერნთან” შეხვედრაში კი ის **რიბერისა** და **ზე რობერტოს** წინააღმდეგ სასტიკი უხეშობების გამო მოედნიდან გააძევეს. “ნიურნბერგთან” მატჩისას მან ფრანკების თავდამსხმელ **იან კოლერის** პროვოცირება მოახდინა, რომელმაც მას შეაფურთხა და წითელი ბარათი დაიმსახურა. 2007 წელს ალბანელმა აახენის “ალემანიას” ფეხბურთელ **დიანეს** ჩაარტყა...

### 6. ვიქტორ აგალი (ჰანზა, 29 წლის)

როსტოკელ ფორვარდს ყველაზე მეტად საჰაერო ორთაბრძოლების დროს უფრთხიან. მიზეზი ის გახლავთ, რომ 10-დან 7 შემთხვევაში **ვიქტორ აგალი** მეტოქეს იდაყვის ჩარტყმით უმასპინძლდება. მის მსხვერპლთა სიაში მიმდინარე სეზონში არმინიელი **ლანგკამპი** და შალკელი **ბორდონი** არიან – ნიგერიელმა თავდამსხმელმა ორივე მათგანი დაასისხლიანა. *„აგალის ვინ არ იცნობს... ყველამ ვიცით, როგორც თამაშობს ფეხბურთს და რასაც აკეთებს მაღალი ბურთისთვის ბრძოლის დროს,“* – ამბობს „შალკეს“ კაპიტანი ბორდონი.

### 7. იოზიპ შიმუნიჩი (ჰერტა, 30 წლის)

„ბერლინელი ყასაბი“ – ასე უწოდებენ „ჰერტას“ გამოცდილ ხორვატ მცველ **იოზიპ შიმუნიჩს**. ეს არის ფეხბურთელი, რომელსაც ბუნდესლიგაში ყველაზე ხშირად აძევებენ. თავად განსაჯეთ: ბოლო 8 თვის განმავლობაში შიმუნიჩს მოედანი 4-ჯერ დაატოვებინეს. არც ისე დიდი ხნის წინათ 1.95 მეტრი სიმაღლის შიმუნიჩმა **კრისტიან შულცს** კუნგფუს ილეთი ჩაუტარა და კინაღამ დააბრმავა! ხორვატი მცველი თამაშის დროს საკუთარ თავზე კონტროლს ძალიან, შეიძლება ითქვას, ზედმეტად ხშირადაც კი კარგავს. სპეციალურად მისთვის, „ჰერტას“ ხელმძღვანელებმა გუნდში ე.წ. მენტალური მწვრთნელი მიიყვანეს, რომელიც შიმუნიჩის პირადი ფსიქოლოგია. ეს იმისთვის გაკეთდა, რომ შიმუნიჩმა ნერვების მოთოკვა შეძლოს.

### 8. თომას ჟდებელი (ბოხუმი, 34 წლის)

„ბოხუმის“ კაპიტანი წინა სეზონის რეკორდსმენია: მან 92-ჯერ დაარღვია თამაშის წესები და 13 ყვითელი ბარათი დაიმსახურა. სხვათა შორის, ამ მხრივ **ჟდებელს** არც მიმდინარე სეზონში აქვს საქმე „ცუდად“ – უკვე 8-ჯერ გააყვითლეს და თუ ასე გააგრძელა, შარშანდელზე უარეს მაჩვენებელთან ექნება საქმე. მასზე მეტი გაფრთხილება ამ სეზონში არავის მიუღია. მიუხედავად ამისა, ჟდებელი ამბობს: *„მე არ ვიმსახურებ იმას, რომ საძულველი ფეხბურთელი ვიყო. ჯარიმა და ყვითელი ბარათი ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია. განა, ვინმეს წარმოუდგენია საფეხბურთო მატჩი ჯარიმისა და გაფრთხილების გარეშე?“*

### 9. ოლივერ კანი (ბაიერნი, 38 წლის)

„ბაიერნის“ მეკარე წლების განმავლობაში ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული ფეხბურთელი იყო – რის გამოც, ხშირად აკრიტიკებდნენ. მისი აფეთქებები საქვეყნოდაა ცნობილი და არაერთი ისეთი ფაქტი გეხსომებათ, როცა **კანმა** კოლეგებს ჩაარტყა, უკბინა ან აგინა. კარიერის განმავლობაში ოლის 34 ყვითელი და 2 წითელი ბარათი აქვს მიღებული. წლების განმავლობაში ის ბევრისთვის საძულველი ფეხბურთელი იყო. მაგრამ ახლა, როცა მისი კარიერა დასასრულს მიუახლოვდა, ოლი „დაჭკვიანდა“ და აღარ არის ისეთი აგრესიული, როგორიც ადრე იყო. კარიერის ბოლო სეზონში კანი მოწინააღმდეგეებს აღარ ერჩის.

### 10. დიეგო (ვერდერი, 23 წლის)

რატომ უნდა სძულდეთ ფეხბურთელებს „ვერდერის“ „ბრაზილიელი ანგელოზი“, რომელზეც ბრემენელ ფანებს უბრალოდ, აბოდებთ? ფაქტი ის გახლავთ, რომ **დიეგოს** წინააღმდეგ თამაშის წესებს ძალიან ხშირად (ამ სეზონში 125-ჯერ) არღვევენ. მედლის მეორე მხარე: ბრაზილიელი ფლეიმეიქერი ერთ-ერთი საუკეთესო სიმულანტია!

*„ყოველთვის ერთი და იგივე: ორთაბრძოლა, კონტაქტი და დიეგო მოედანზე აგდია! და რაც ყველაზე ცუდია, მსაჯები მის ანკესზე ყოველთვის წამოეგებიან ხოლმე,“* – ამბობს ვან ბომელი...

**გოტფრიდ ლენცი**











ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი

# მეტოქეები ირკვევა ნელ-ნელა


ტედი რინერი ლისაბონში არ იჭიდავებს

ევროპის ჩემპიონატი ძიუდოშიც ახლოვდება - 11-13 აპრილს ლისაბონში გაიმართება და წამყვანი გუნდები თანდათან ასახელებენ შემადგენლობებს. ამას წინათ გაცნობეთ, ლიდერთაგან ვინ დააკლდებოდა საფრანგეთის ნაკრებს, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეოროთ მათ შემადგენლობა: **დმიტრი დრაგინი** (60), **სებასტიან ბერტოლოტი** (66), **დანიელ ფერნანდესი** (73), **ანტონი როდრიგესი** (81), **მეტიუ დეფრევილი** (90), **კრისტოფ ჰუმბერტი** (100), **პიერ რობენი** (+100).

როგორც ვხედავთ, ფრანგები მსოფლიო ჩემპიონებს - ფრედერიკ დემონფოკოსა (100) და ტედი რინერის (+100) ასვენებენ, აი, 66-ში კი ბერტოლოტი სალიცენზიო რეიტინგში ისედაც უსწრებს ევროპის ჩემპიონ ბენჟამენ დარბელეს და ეს ცვლილებაც ამითაა გამოწვეული. სამწუხაროდ, საფრანგეთის ძიუდოს საიტი რინერის არყოფნის მიზეზებზე არაფერს იუწყება. იქ გაკვრითაა ნათქვამი, რომ რინერიმ ჰამბურგის სუპერთასზე იაპონელ იასუიუკი მუნეტასთან წააგო და დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ მწვრთნელებმა სწორედ ეს მიიჩნიეს საშიშად. არცაა გასაკვირი - რინერი ფარნგთა უმთავრესი იმედი პეკინში, მუნეტა - მისი მთავარი კონკურენტი (საქმეს ისეთი პირი უჩანს, პეკინში ის იჭიდავებს).

ლისაბონში უძლიერესი შემადგენლობით გაემგზავრება ბრიტანეთის ნაკრებიც: კრეიგ ფელონი (60), **კოლინ ოუტსი** (66), **მეტიუ პურსიე** (73), **იუან ბარტონი** (81), **ვინსტონ გორდონი** (90), **პეტერ გუსინსი** (100). მძიმეში მონაწილე არ ეყოლებათ.

შემადგენლობა დაასახელეს აზერბაიჯანელებმაც: **რამილ გასიმოვი** (66), **ელნურ მამადლი** (73), **მემან აზიზოვი** (81), **ელხან მამედოვი** (90), **მოვლუდ მირალიევი** (100).

მძიმე წონაში არც ამათ ეყოლებათ მონაწილე, 60-ში კი, შესაძლოა, ევროპის სამგზის ჩემპიონი **ელჩინ ისმაილოვი** წაიყვანონ, რადგან დოპინგზე ჩავარდნილი მსოფლიოს პრიზიორი **ნიჯატ შიხალზადე** ისევ დისკვალიფიცირებულია. თავად ისმაილოვი ადრე სულაც 60-ში გამოდიოდა და იმ სამი ოქროდან ორიც იქ მოუპოვებია, მაგრამ ამჯერად გასიმოვმა აჯობა. თითქოს მის ლისაბონში წასვლას წინ არაფერი უდგას, მაგრამ სახელოვანი ვეტერანის მომზადებით ნაკრების თავკაცი **აგიარ ახუნდზადე** უკმაყოფილოა. "ისმაილოვი შორსაა სასურველი ფორმისგან" - თქვა მან ნაკრების შემადგენლობის გამოცხადებისას გაკეთებულ კომენტარში. თუმცა მწვრთნელი ყველაზე დიდი დილემის წინაშე 81-ში იდგა, სადაც აზიზოვსა და მის მეგობარ ელხან რაჯაბლის შორის ძალზე მცირე სხვაობაა. სავარაუდოდ, პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია ორივემ მიიღო - ძალზე ძნელად, ისინი მოწინავე 9 კაციდან გავარდნენ, მაგრამ აზიზოვი 8 ქულით უსწრებს კონკურენტ მეგობარს. სამაგიეროდ, წლევანდელ მსოფლიო თასებზე რაჯაბლი თითქოს ცოტა უფრო უკეთ გამოვიდა... ერთი სიტყვით, არჩევანის გაკეთება ნამდვილად არ იყო იოლი, მაგრამ ახუნდზადემ არჩევანი უფრო გამოცდილ აზიზოვზე შეაჩერა, თუმცა ეს მაინც არ ნიშნავს, რომ იგი თავის მესამე ოლიმპიადაზე უეჭველად იჭიდავებს. ოლიმპიურ ნაკრებში მოსახვედრად მან ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ისევ უნდა იბრძოლოს. ახუნდზადეც ამბობს, რომ რაჯაბლის პეკინში წასვლის შანსი არ დაუკარგავს და საამისოდ ევროპირველობის შემდეგ ბრძოლა შეუძლია.

დაბოლს, რუსეთის ნაკრებზე, რომელსაც შემადგენლობა ჯერ ოფიციალურად არ დაუსახელებია, მაგრამ ნაკრების თავკაცმა სერგეი ტაბაკოვმა გამოაცხადა ოთხეული, რომელიც ლისაბონში უეჭველად იჭიდავებს: **რუსლან კიშმახოვი** (60), **ალიმ გადანოვი** (66), **სალამუ მეჯიდოვი** (73) და **ტამერლან ტმენოვი** (+100).

რინერის გამოკლება **ლაშა გუჯეჯიანისთვის** ძალიან კარგი ფაქტია, მაგრამ აჯობებდა, რუსებს ტმენოვის ნაცვლად ალექსანდრ მიხაილინი დაეყენებინათ - ჩვენებურს მასთან დადებითი ბალანსი აქვს და შარშან სადაც კი შეხვდა, ყველგან დაჩაგრა. თუმცა ეს მხოლოდ სურვილია, რეალობა კი ისაა, რომ პორტუგალიაში მისთვის მეტად უხერხულ მეტოქედ ქცეულ ტმენოვთან მოუწევს პაექრობა.

დასასრულს, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ჩვენი ნაკრების შემადგენლობას: **ნესტორ ხერგიანი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) და **ლაშა გუჯეჯიანი** (+100).

**ირაკლი თავაძე**

# ოლიმპიური გამოწვევა ბავშვებს


ნესტორ ხერგიანი, ზურაბ ზვიადაური, შოთა ხაბარელი და დავით ნამგალაური

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი საკმაოდ საინტერესო პროექტის განხორციელებას იწყებს. ამიერიდან, დროგამოშვებით ჩატარდება საბავშვო ტურნირები, რომლებიც ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონებსა და პრიზიორებს მიეძღვნებათ. ბავშვები შეჯიბრებაშიც მიიღებენ მონაწილეობას და იქვე საშუალება ექნებათ გაიცნონ ცნობილი თანამემამულე სპორტსმენები.

პირველი ასეთი ტურნირი ძიუდოში გაიმართება, რომელიც დღეს, 14 საათზე დაიწყება ასკ-ის კომპლექსში. გუშინ, სპორტის დეპარტამენტის მუზეუმში, აღნიშნულ საკითხზე პრესკონფერენცია გაიმართა. დეპარტამენტის შეფ **დავით ნამგალაურის** გარდა, მუზეუმში თავი მოიყარეს ქართული ძიუდოს ვეტერანმა და მოქმედმა თვალსაჩინო წარმომადგენლებმა - **შოთა ხაბარელმა, ზურაბ ზვიადაურმა, ნესტორ ხერგიანმა, გია თენაძემ, ვლადიმერ ნუცუბიძემ და შენგელი ფიცხელაურმა.**

**დავით ნამგალაური:** - მოგეხსენებათ, ოლიმპიური წელიწადია და ახლა მთელი ჩვენი ყურადღება პეკინის ოლიმპიადისკენაა მიმართული. გვინდა, რომ საოლიმპიადოდ მაქსიმალურად კარგი განწყობა შევუქმნათ ჩვენს სპორტულ სამყაროს. ამისათვის მორიგ ნაბიჯს ვდგამთ ახალი პროექტის წამოწყებით, რომლის სლოგანი იქნება "ოლიმპიური გამოწვევა".

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს უმცროსი ასაკის სპორტსმენებში ტურნირების ჩატარებას. აღნიშნული შეჯიბრებები მიეძღვნებათ ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონებს, პრიზიორებსა და ამა თუ იმ სახეობის ღვაწლმოსილ ადამიანებს.

პირველ სახეობად ძიუდო ავარჩიეთ, რომელშიც 11-13 წლის ბავშვები ხვალიდან ტურნირში იჭიდავებენ და თან გაიცნობენ იმ სახელოვან ქართველ სპორტსმენებს, რომლებიც მათი კერპები არიან. ვფიქრობ, ეს ბავშვებისთვისაც და სპორტსმენებისათვისაც დიდი სტიმული იქნება.

ძიუდოს შემდეგ, სხვა სახეობებზეც გადავალთ და შევეცდებით, ოლიმპიადამდე ყველა სახეობა მოვიცვათ.

**კობა ხატისაშვილი**

სუმო. მარტის ბაშო

# საოცარი დღე ბაშოზე

გუშინ, გაზაფხულის ბაშომ საოცარი დღე შემოგვთავაზა. ჩვენთვის უპირველესად საინტერესო ის იყო, რომ უმაღლეს დივიზიონში პირველად იჭიდავა ორმა ქართველმა. გარდა ამისა, 2003 წლის შემდეგ პირველად ერთდროულად ორმა იოკოძუნამ წააგო. **კოკაის** კი.. არც მეტი არც ნაკლები, იმპერატორის თასის მოპოვების შანსი გაუჩნდა!

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ.. თუმცა ოდნავ ახსნა დაგვჭირდება – იაპონელები ტრადიციას დიდ პატივს სცემენ, სუმოშიც ერთი ლამაზი ტრადიციაა დამკვიდრებული. მას იუმიტორი-შიკი ეწოდება, ბაშოს ბოლო დღეს ერთ-ერთ წაგებულს უფლება ეძლევა „წმინდა მშვილდი" დააქნიოს. თურმე უხსოვარ წარსულში ერთ-ერთი იოკოძუნასთვის უჩუქნიათ მშვილდი გამარჯვებისთვის და მასაც გახარებულს დაუქნევია. წინა დღით კი **მინანოსატოს** „წმინდა მშვილდი" ხელიდან დაუვარდა, ეს კი ცუდის ნიშანია. ამიტომაც, გაზაფხულის ბუნიობის დღეს, 4,5 წუთის შუალედში ორივე იოკოძუნა დამარცხდა. ყოველ შემთხვევაში, იაპონელებს ურთიერთკავშირისა სჯერათ.

მაკუუჩის ბრძოლები **ლევან გორგაძის** და მე-15 მაეგაშირა **ვაკაკირინის** ორთაბრძოლით დაიწყო. კარგი იქნებოდა, თუ სადებიუტო შეხვედრას ქართველი მოიგებდა, რაც მას მაკუუჩის დივიზიონის საგზურს თითქმის დაუბევებდა, მაგრამ ტოჩინოშინმა, რომელსაც წელი აწუხებს, ვაკაკირინის შეტევა მარჯვენა გვერდში ვერ მოიგერია და ზედიზედ მესამედ კარიერაში პირველად დამარცხდა, რაც პროფესიონალი სუმოისტი გახდა. ტოჩინოშინს 7-5 ბალანსი აქვს, მისთვის მაკუუჩის საგზური სულ უფრო მიუწვდომელი ხდება. ერთადერთი რაც გაირკვა ისაა, რომ ლევანმა ძურიოს ტიტული ვერ დაიცვა. ლევან გორგაძე დღეს ძურიოს მეცხრე ნომერ 23 წლის **მასაცუკასას** შეხვდება, რომელსაც 8-4 ბალანსი აქვს. გამარჯვება ქართველს დადებით ბალანსს და რეიტინგში წინსვლას გაუნაღდებს.

კოკაიმ კი მე-12 დღეს მეცხრე გამარჯვება იზეიმა. მან ოკურიდაშის ილეთით 21 წლის **გოეიდო** დაამარცხა. ქართველი იაპონელს ზურგში მიაწვა და დოჰიოდან ისე გაიყვანა. კოკაის 9-3 ბალანსი აქვს. დღეს მისი მეტოქე იაპონელ სუმოს მოყვარულთა კუმირი **ტაკამისაკარი** იქნება, რომელსაც ასევე 9-3 ბალანსი აქვს. სხვათა შორის, კოკაის და ტაკამისაკარის ორთაბრძოლები ყოველთვის საინტერესოდ მიმდინარეობს, მას შემდეგ, რაც კოკაიმ ერთხელ მისთვის არაფრისმომცემი მეტოქისთვის კი გადამწყვეტი ორთაბრძოლა მოუგო, თანაც ისე, რომ ეს უკანასკნელი მაყურებელთა მეორე რიგში ამოჩნდა.

ყველაზე საინტერესო ორი ბრძოლა ბალიშების ფრიალით აღინიშნა, ჯერ **ჩიოტაიკაიმ** აჯობა იოკოძუნა **ჰაკუჰოს** და ამით ოძეკის ტიტული შეინარჩუნა, შემდეგ კი სეკივაკე **კოტოშოგიკუმ** დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ**, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით დოჰიოდან გაიტანა.

ოსაკას ბაშოს დასრულებამდე სამი დღით ადრე საინტერესო სიტუაცია შეიქმნა. ასაშორიუს 11 მოგებით ლიდერობს; 10-10 მოგება აქვთ ჰაკუჰოს, **ბარუტოს და ტოჩიოძანს**. ამასთან, ჰაკუჰოს და ასაშორიუს ბრძოლა ჯერ წინაა. ყველაფრის გათვალისწინებით, 9 მოგების მქონე კოკაი არ უნდა იყოს უიმედოდ, იმპერატორის თასისთვის ბრძოლა მასაც შეუძლია, ოღონდ, ჯერ ტაკამისაკარი აუცილებლად უნდა დაამარცხოს. კოკაიმ სულ სამჯერ მოახერხა ბაშოზე 10 მოგების მოპოვება, ასე რომ, ამ რეკორდსაც დამხობა ემუქრება. ასევე სავსებით შესაძლებელია მან კომუსუბის ტიტული დაიბრუნოს.

სხვათა შორის, კოკაიმ გოეიდოს ძლევით მაკუუჩიში დადებითი ბალანსი გაიხადა, მას 194 მოგება და 193 წაგება აქვს. მიმომხილველები გაოცებული აღნიშნავენ, რომ ოსაკას ბაშოზე სულ სხვა კოკაი იხილეს. ქართველმა ტაქტიკა შეცვალა, ხელებით შეტევა (ცუკი) და ქამარში (მავაში) ჭიდაობა დახვეწა.

მაკუშიტას დივიზიონში **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** მესამე მარცხი იწვნია, მან **ჰაიასეგავასთან** ცუკიოტოშის ილეთით წააგო. ახლა გაგამარუს 3-3 ბალანსი აქვს და ერთი ბრძოლა დარჩა გასამართი, თუ მოიგებს რეიტინგში წინ წავა, მარცხის შემთხვევაში კი უკან დაიხევს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ასაშორიუს კოტოშოგიკუმ მოუგო

ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)
9-23 მარტი, ოსაკა (იაპონია)

**მაკუუჩი**

XII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-გოეიდო 1:0 (ოკურიდაში), ტოჩინოშინი-ვაკაკირინი 0:1 (ცუკიოტოში), კოტოშოგიკუ-ასაშორიუ 1:0, ჩიოტაიკაი-ჰაკუჰო 1:0, კოტომიცუკი-კიოკუტენჰო 1:0, ვაკანოჰო-კაიო 1:0, ამა-ასასეკირიუ 1:0, კაკურიუ-ტაკეკაძე 1:0, მიაბიამა-კისენოსატო 1:0, ტოიონოშიმა-ამინიშიკი 1:0, ტოკიტენკუ-დეჯიმა 1:0, ტოჩინონადა-ვაკანოსატო 1:0, როჰო-ტამაკასუგა 1:0, ტოჩიოძანი-ჰოკუტორიკი 1:0, ბარუტო-ფუტენო 1:0, ტაკამისაკარი-ჰომაშო 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 11-1: ასაშორიუ (იოკოძუნა); 10-2: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ბარუტო (მაეგაშირა 7), ტოჩიოძანი (მ 12); 9-3: კოკაი (მ 5), ტაკამისაკარი (მ 11).

8-4: კაიო (ოძეკი), ჩიოტაიკაი (ოძეკი), კიოკუტენჰო (მ 4), ჰოკუტორიკი (მ 7), ჰომაშო (მ 13).

XIII დღე: კოკაი-ტაკამისაკარი, ჰაკუჰო-კაიო, ასაშორიუ-კოტომიცუკი, ჩიოტაიკაი-ტოიონოშიმა, კაკურიუ-ამა, კოტოშოგიკუ-მიაბიამა, კისენოსატო-ტოკიტენკუ, ტაკეკაძე-ამინიშიკი, ასასეკირიუ-ბარუტო, გოეიდო-ვაკანოჰო, ტოჩიოძანი-კიოკუტენჰო, ფუტენო-როჰო.

**ძურიო**

XII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: ჩიოჰაკუჰო-ჰოშიჰიკარი 1:0, ტოსანოუმი-კიტატაიკი 1:0, მოკონამი-კორიუ 1:0, ჰაკუბა-ჰაკუროძანი 1:0, ტამანოშიმა-კოტოკასუგა 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 10-2: კიმურაიამა (ძურიო 14): 9-3: ტოსანოუმი (ძ 1), ტამანოშიმა (ძ 5), კიტატაიკი (ძ 10). .. 7-5: ტოჩინოშინი (ძ 4).

XII დღე: ტოჩინოშინი-მასაცუკასა, ტოსანოუმი-ტამავაში, ჰაკუროძანი-ტოიოძაკურა, კოტოკასუგა-კიმურაიამა, ჰაკუბა-კიტატაიკი, კიოკუნანკაი-ტამანოშიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

# ოზურგეთის ჩაებმება

საქართველოს ხელბურთის ფედერაციის, სპორტის დეპარტამენტისა და საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ხელმძღვანელობამ გუშინ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართა.

პრესკონფერენცია ეძღვნებოდა ქართულ ხელბურთში ბოლო დროს მომხდარ საინტერესო სიახლეებსა და სამომავლო გეგმებს.

**დავით ნამგალაური, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე:** - წინა პრესკონფერენციებზეც არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველოს ხელისუფლება სერიოზულადაა დაინტერესებული ქვეყანაში ხელბურთის განვითარებით. ამდენად, ხელბურთის ფედერაციასთან მჭიდრო ურთიერთობა გვაკავშირებს და ერთად ვახორციელებთ მნიშვნელოვან პროექტებს.

ახლახან, საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ესპანეთში გაემგზავრა, სადაც ხვალიდან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებს. ანალოგიურ შეჯიბრებაზე ვაფინანსებთ 18-წლამდელებსა და ეროვნულ ნაკრებსაც. მოკლედ, ყველა ასაკობრივ გუნდს აქვს საშუალება, რომ ოფიციალურ შეჯიბრებაზე ითამაშოს.

ამას გარდა, როგორც იცით, სპორტის დეპარტამენტმა საკუთარ თავზე აილო 1992-93 წლებში დაბადებულთა ჩემპიონატის ორგანიზება, სადაც 8 ქალაქის 8 გუნდი თამაშობს. ახლახან გადაწყდა, რომ ამ ასაკის ჩემპიონატის მეხუთე ტური ოზურგეთის ახლად აშენებულ სპორტულ კომპლექსში ჩატარდება...

სერიოზულად ვკიდებთ ხელს საუნივერსიტეტო სპორტის განვითარებას და ვაყალიბებთ სტუდენტურ ლიგებს. ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოში ამჟამად არ არსებობს საიმისო გარემო, რომ უმეტეს სახეობებში, ბიზნესმენმა თუ კერძო კომპანიებმა საკუთარი ინიციატივით ჩამოაყალიბონ ან შეინახონ სპორტული კლუბი. ამდენად, სანამ მდგომარეობა გამოსწორდება, გამოსავალს სწორედ საუნივერსიტეტო სპორტის განვითარებაში ვხედავთ.

აღსანიშნავია, რომ იმ წლებში, როდესაც საქართველოში საუნივერსიტეტო სპორტი კარგ მდგომარეობაში იყო, სტუდენტური გუნდებიდან სერიოზული კადრები მოდიოდნენ. ვიმედოვნებ, ამ პროექტის განხორციელება ახლაც დიდად წაადგება ჩვენი სპორტის განვითარებას.

ჯერჯერობით, სტუდენტურ ლიგებს ვიწყებთ ხელბურთსა და კალათბურთში, შემდეგ კი სხვა სახეობებზეც გადავალთ. რა დასამალია და ბაზების მხრივ ცოტა არ იყოს, პრობლემები გვაქვს. მართალია, დარბაზებში და შესაბამისად, დარბაზის სახეობებში ნაკლებად გვიჭირს, მაგრამ სხვა მხრივ იდეალური სიტუაცია ნამდვილად არ გვაქვს. თუმცა ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება. აქედანვე აქტიურად ვეძებთ სათანადო ბაზებს, რათა საუნივერსიტეტო სპორტი განვავითაროთ. მაგალითად, რაგბიში დაგეგმილი გვაქვს, რომ წლის ბოლომდე ჩამოვაყალიბოთ სტუდენტური ლიგა...

**ნიკა ამაშუკელი, საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი:** - სტუდენტური საკალათბურთო ლიგა ივნისში გაიმართება, სახელბურთო კი აპრილში. ხელბურთის ლიგაში 8 უმაღლესი სასწავლებლის გუნდი ითამაშებს და გამარჯვებულის ბაზაზე შეიქმნება ნაკრები გუნდი, რომელიც 5-15 ივლისს, იტალიის ქალაქ ვენეციაში, მსოფლიო უნივერსიადაზე იასპარეზებს. ვიმედოვნებ, სტუდენტური სპორტის განვითარება ნაკრებს გუნდებს და ზოგადად ქართულ სპორტს დიდად წაადგება.

**თამაზ თევზაძე, ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:** - სახელმწიფოს მიმართ ულრმესი მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, რომელიც ბოლო დროს ძალიან აქტიურად ამოგვიდგა მხარში. ახლახან ოზურგეთში ვიყავით, სადაც ქალაქის ხელმძღვანელობას 16-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატის მეხუთე ტურის საორგანიზაციო საკითხებზე ვესაუბრეთ. მართალია, ოზურგეთელებს ხელბურთის კლუბი არ ჰყავთ, მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობამ გამოთქვა სურვილი, რომ ახლო მომავალში ოზურგეთიც ჩაებას ქართული ხელბურთის ფერხულში და ჩვენი მხრივ, ამ ქალაქს მაქსიმალურად დავეხმარებით. მომეწონა ოზურგეთის ახალი სპორტ-კომპლექსი. ასეთი კომპლექსები რამდენიმე რეგიონში გაიხსნა და მალე სხვა კუთხეებშიც აშენდება, რაც უდავოდ მისასალმებელი ამბავია...

ხელბურთი მსოფლიოში დღითიდღე უფრო პოპულარული ხდება და რალა თქმა უნდა, ჩვენი სურვილია, რომ ამ პროცესს არც საქართველო ჩამორჩეს. წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე, ხელბურთს რეკორდული აუდიტორია ჰყავდა - მილიარდი მაყურებელი!

ხვალ იწურება განაცხადის შეტანის ვადა ევროპის 2010 წლის საკვალიფიკაციო ეტაპზე. ჩვენ დღეს ვაგზავნით განაცხადს და შემოდგომიდან აუცილებლად ვითამაშებთ აღნიშნულ ტურნირზე. წილისყრა 18-20 აპრილს შედგება ვენაში და მეტოქეთა ვინაობასაც მაშინ გავიგებთ. იქამდე კი ახლავე ვიჭერთ თადარიგს და რამდენიმე ქვეყანასთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, რათა ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა ოფიციალურ მატჩებამდე საკონტროლო შეხვედრები გამართოს. ასეთი წინადადებებით უკვე მივმართეთ თურქეთსა და ირანს. ამას გარდა, დაგვპატიჟეს ბრიტანელებმა. 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე, ბრიტანეთის ქვეყნები გაერთიანებული გუნდით წარდგებიან და აქედანვე იწყებენ მზადებას. მათ ბრიტანეთში ჩასვლისა და საკონტროლო მატჩების ჩატარება შემოგვთავაზეს. მოკლედ, არც ეროვნულ და არც ასაკობრივ ნაკრებებს, შეკრებებისა და სპარინგმატჩების პრობლემა არ ექნება.

გეგმაში გვაქვს პლაჟის ხელბურთის განვითარებაც. აქ უფრო აჭარისაგან ველით ინიციატივის გამოჩენას, სადაც ზაფხულობით მშვენიერი გარემო იქნება პლაჟის ხელბურთის ტურნირების ჩასატარებლად და ქართველი გულშემატკივრისათვის ამ სახეობის გასაცნობად.

**კობა ხატისაშვილი**

რაგბი. ევროპის ჩემპიონატი. U-18

# როგორ დავჯაბნეთ რუსები

**საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებმა იტალიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრების ძლევით, 25:6 პროგრამა მინიმუმი შეასრულა. პატარა ბორჯღალოსნებმა ელიტაში ადგილი შეინარჩუნეს და მომავალ წელსაც უძლიერესთა მარაქაში იქნებიან. ცხადია, რაგბის ქომაგებისთვის საინტერესოა რუსებთან მატჩის დეტალები. იტალიური ამბების მოსათხრობად ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს ზურაბ ამონაშვილს მაშინ დავუკავშირდით, როცა ჩვენი ბიჭები ექსკურსიაზე იყვნენ ვენეციაში.**

- რუსებთან შეხვედრაში თითქმის ყველაფერი გამოგვივიდა. ჩვენი უპირატესობა მთელი თამაშის განმავლობაში თვალსაჩინო იყო. ბურთს ძირითადად ჩვენ ვფლობდით, შერკინებამ, შეიძლება ითქვას, სასტიკად დაჯაბნა მეტოქე. რამდენჯერმე მათი დერეფანიც მოვიგეთ.

**- თქვენთან ერთად ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ტიმ ლეინიც იმყოფებოდა. როგორ აფასებს ის გუნდის თამაშს?**

- პირველი შეხვედრის შემდეგ ინგლისის ნაკრებთან, ძალიან უკმაყოფილო იყო, იმიტომ არა, რომ დიდი ანგარიშით წავაგეთ. ამბობდა, რაც დავალება მოგეცით, არაფერი გააკეთეთო, რუსებთანაც თუ იგივე მოხდა, ვერც მათ მოვუგებთო. საბედნიეროდ, ბიჭებმა დავალებას კარგად გაართვეს თავი. მეტიც, რომ არა სრულიად ელემენტარული შეცდომები, ანგარიშში სხვაობა ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო. ლეინი თამაშით ამჯერად კმაყოფილი დარჩა...

**- რომელ კომპონენტში დავჯაბნეთ რუსები?**

- აბსოლუტურად ყველა კომპონენტში. შერკინებასთან ერთად ხაზიც ძალიან კარგად ირჯებოდა. თუმცა, ერთ-ერთის, შერკინების შემკვრელ (8) ლევან თხელიძის შეჩერება ვერაფრით შეძლეს. ლევანი ქუთაისელია და მეტსახელად ტონგას ეძახიან. რუსებმა ვერაფერი მოუხერხეს.

**- მომდევნო თამაში მე-5 ადგილისთვის რუმინეთის ნაკრებთან გაქვთ. თუ ნახეთ, როგორი გუნდი ჰყავთ მათ?**

- რუმინელებს თამაშის მხოლოდ ვიდეოფირის ნახვა შევძელით. ნორმალური გუნდია, ფიზიკურად ძლიერი, საკმაოდ ტანადი მოთამაშეები ჰყავთ. ვფიქრობ, მათი დამარცხება შეუძლებელი სულაც არაა. მით უფრო, რომ რუსებთან მატჩის შემდეგ ბიჭებმა საკუთარი ძალები კიდევ უფრო ირწმუნეს და ემოციურად დადებითად არიან განწყობილი.

**საქართველო რუსეთთან:**

**(15-9) მჭედლიშვილი, ონიანი, მარგიანი, ჯიმშელაძე, გაბროშვილი, სინაურიძე, ლამბაშიძე; (1-8) ბარბაქაძე, მამუკაშვილი, გაბუნია, მეტრეველი, ლოსაბერიძე, ჭყოიძე, კვერნაძე, თხელიძე (16-22) ესართია, მიქაუტაძე, ჟღენტი, გოგლიჩაძე, ხიპაშვილი, ჭაბუკიანი, მშვენიერიძე**

**4 ლ (კვერნაძე, თხელიძე, სინაურიძე, ბარბაქაძე); ა (სინაურიძე), გ (მჭედლიშვილი)**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

# ბედინაძე და კვირკველია არ იჭიდავებენ

გუშინ "ანტიკოსთა" ნაკრებმა ბორჯომში დასკვნითი შეკრება დაიწყო ევროპის ჩემპიონატის წინ. გუნდი დაბინავდება სპორტკომპლექს "ოლიმპში", სადაც თვის ბოლომდე დარჩება და აპრილის პირველივე რიცხვებში ფინურ ტამპერეში გაემგზავრება. კონტინენტის პირველობა 1-6 აპრილს ტარდება. აქედან პირველი ორი დღე "თავისუფლების" ტურნირია, რასაც ქალთა ორდღიანი პირველობა მოსდევს, ჩემპიონატს კი "ანტიკოსები" დაასრულებენ.

დასკვნით შეკრებაზე **ბეგი დარჩიას** განკარგულებაში 30-მდე სპორტსმენია. მათ შორის, ნაკრების უკლებლივ ყველა ლიდერი. დარჩია ფინეთში წასაყვან შემადგენლობას ჯერ არ ასახელებს, თუმცა ახლავეა ცნობილი, რომ ევროპას ორი მსოფლიო ჩემპიონი გამოტოვებს: **დავით ბედინაძე** (60) და **მანუჩარ კვირკველია** (74). ნაკრების შემადგენლობა რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

რაც შეეხებათ "თავისუფლებს", ისინი უკვე ბორჯომში იმყოფებიან და იმავე დარბაზში გადიან შეკრებას. ისინი 31 მარტს უკვე ფინეთში უნდა იყვნენ, აწონვაზე. მათი შემადგენლობაც ამ დღეებში გაცხადდება.

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა

# პირველობა რიგაში



ნუგზარ სხირელი

ამ უქმეებზე რიგამ ფრეიდენფელდის ხსოვნის ახალგაზრდათა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, რომელშიც ძალიან დიდი წარმატებით გამოვიდა ჩვენი ნაკრები. 2 ოქრო, 2 ვერცხლი, 1 ბრინჯაო და გუნდური პირველი ადგილი - ეს მათი მონაგარია. მართლაც რომ ბრწყინვალე და ჩინებული, რადგან ტურნირში 15 გუნდი გამოდიოდა. ეს ტურნირი ახალგაზრდების ევროპირველობისთვის შესარჩევი გახლდათ და გასაგებია, უძლიერესი შემადგენლობისა რომ გამოდგა. ჩემპიონები **გიორგი მაყიშვილი** (60) და **გიორგი ჩიქოვანი** (96) გახდნენ. **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (50), **გიორგი ედიშერაშვილი** (55), **თორნიკე სვანიძე** (84) და **ლევან ბერიანიძე** (120) მეორეზე გავიდნენ, ბრინჯაო კი **ზაურ აბრამიშვილს** (66) ერგო. უმედლოდ მხოლოდ ერთადერთ წონაში - 74-ში დავრჩით. შედეგად, გუნდური პირველობაც დიდი უპირატესობით მოვიგეთ - ჩვენებმა 70 ქულა დააგროვეს, მეორეზე გასულმა რუსებმა - მხოლოდ 53. ბარემ აქვე გეტყვით, რომ გუნდურში მესამეზე უკრაინა გავიდა.

ცხადია, ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **ნუგზარ სხირელი** ამ შედეგებით ძალზე კმაყოფილია, რაზეც გუშინ ჭიდაობის ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. მწვრთნელმა თითქმის მთელი გუნდი შეაქო, თუმცა ცალკეული ხარვეზებით მაინც გულდაწყვეტილია. მაგალითად, უკმაყოფილოა იმით, რომ ედიშერაშვილმა ლამის მოგებული ფინალი დათმო, რომ 74-ში ტურნირი ჩააგდო წონის ლიდერმა **გიორგი მარსაგიშვილმა**. მწვრთნელმა განსაკუთრებით ჩიქოვანი შეაქო, რომელმაც, მისი თქმით, წლეულს ბევრად მოუმატა. ჩიქოვანიც ამ გუნდის ძველი ლიდერია, როგორც ხინჩეგაშვილი, მაყიშვილი, ედიშერაშვილი და სვანიძე. მათ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში იჭიდავეს, აი, ჩიქოვანი კი სიურპრიზი იყო.

მწვრთნელებისთვის ასევე მოულოდნელი გახლდათ ბერიანიძის გამოსვლაც. მძიმე წონაში ბოლო ხანებში საკადრო პრობლემები შეგვექმნა - ძველი ლიდერები ასაკის გამო უფროსთა გუნდში გადავიდნენ და აქ ვაკუუმი შეგვექმნა. ბერიანიძის გამოჩენა და, რაც მთავარია, ხარისხიანი ჭიდაობა ამიტომაცაა გასახარი. ამჯერად ის რუს ფალავანთან დამარცხდა, რომელიც იქაურთა ეროვნულ გუნდშიც კი გამოდის.

მთლიანობაში, სხირელი განსაკუთრებით კმაყოფილი იმითია, რომ ამ ნაკრების სახით ეროვნულს საიმედო ცვლა ეზრდება.

როგორც გითხარით, ეს შეჯიბრება ევროპის ჩემპიონატისთვის შესარჩევი გახლდათ და თითქმის უკვე გამოიკვეთა 15-20 ივლისს სლოვაკურ კოშიცეში იმ ტურნირზე წასაყვანი შემადგენლობა. გადაწყვეტილია, რომ სლოვაკეთში შვიდივე მედალოსანი იჭიდავებს, აი, 74-ში კი მონაწილის ვინაობა ჯერ ისევ გასარკვევია. მარსაგიშვილის გარდა, აქ პრეტენდენტი **გოჩა ლომთათიძეცაა**, რომელმაც შარშან ახალგაზრდებში ევროპაზეც და მსოფლიოზეც ბრინჯაოები მოიპოვა, მაგრამ წლეულს საქართველოს ჩემპიონატი ტრავმის გამო გამოტოვა. თუმცა ამ ეტაპზე მარსაგიშვილი რომც მოხვდეს ნაკრებში, შესაძლოა, სხირელს ლომთათიძე მაინც დასჭირდეს, ოღონდ სულ სხვა, ბევრად მაღალი რანგის ტურნირისთვის. საქმე ისაა, რომ ევროპის ჩემპიონატიდან სულ რაღაც 9 დღეში სტამბოლში... ამავე ასაკის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი იწყება... ევროპული და მსოფლიო ფედერაციები უმცროსი ასაკის გუნდებთან მიმართებაში მუდამ ასე შეუთანხმებლად იქცეოდნენ, მაგრამ ადრე თუ ამ ტურნირებს შორის ერთთვიანი შუალედი მაინც იყო, ახლა მხოლოდ 9 დღეა, რაც პირდაპირ სასაცილო უგუნურებაა. ამიტომ სხირელი ორ შემადგენლობას ცდის - ერთს კოშიცეს, მეორეს კი სტამბოლისთვის.

ევროპამდე ეს ნაკრები აპრილში ბაქოში, მაისში კი თურქეთში იჭიდავებს საერთაშორისო ტურნირებზე. ამასთან, სხირელს სურს, მაისშივე გუნდი ისრაელშიც აჭიდაოს, ოღონდ უფროსთა ტურნირში, თუმცა ეს საკითხი ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ერთი ახალი ამბავიც შევიტყვეთ - ნაოლიმპიადებს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციას წონითი კატეგორიების შეცვლა ისევ განუზრახავს... ჯერ ზუსტად არავინ იცის, როგორ და რა პრინციპით, მაგრამ ამბობენ, შვიდის ნაცვლად ექვსი წონითი კატეგორია დარჩებაო. ამბობენ იმასაც, რომ იმ ერთი წონის ხარჯზე ქალთა წონების გაზრდა უნდათო...

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ოქსანას მორიგი გამარჯვება

სანკტ პეტერბურგის „ნევის თასს“ საბოლოოდ დაემშვიდობა ქართველი ჩოგბურთელი **სოფიო შაფათავა**, რომელიც მერვედფინალში მარცხის შემდეგ წყვილთა თანრიგში რუს **არინა როდიონოვასთან** ერთად აგრძელებდა ბრძოლას. 25-ათასიან ტურნირში როდიონოვამ და შაფათავამ ნახევარფინალში გაალწიეს, სადაც მეორე ნომრად განთესილებთან (**ჩეხი ფრანკოვა** და **რუსი პავლიუჩენკოვა**) დამარცხდნენ – 2:6, 2:6. სხვათა შორის, შაფათავა ტურნირიდან ერთეულებშიც ანასტასია პავლიუჩენკოვამ გამოთიშა.

სუეცში (ეგვიპტე) ტურნირის (10 ათასი დოლარი) მერვედფინალში **ოქსანა კალაშნიკოვამ** იოლად დაამარცხა იტალიელი **მარია ბარბიერი** – 6:2, 6:2. მეოთხედფინალში ჩვენი თანამემამულე რუს **გალინა ფოკინას** ხვდება, ვისაც ერთი კვირის წინათ კაიროში მოუგო, შემდეგ კი მასთან ერთად წყვილთა თანრიგში ტიტული მოიპოვა.

ბერძნულ პორტო რაფტიში (10 ათასი დოლარი) **სოფიო ქვაცაბაია** წყვილთა თანრიგში ნახევარფინალში გავიდა (მისი მეწყვილე რუსი **ანჟელინა გაბუევა** იყო), სადაც ტურნირის პირველ ნომერ წყვილთან (**კლერიკო, ურბანჩიჩი**) დამარცხდა – 3:6, 6:2, 8:10.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. კოტე მახარაძის ტურნირი. გამოხმაურება

# ეს ერთი და სხვა მრავალი!

19 მარტს დასრულდა კოტე მახარაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ოთხი გუნდი მონაწილეობდა: თბილისის "მაკაბი", თელ-ავივის "ჰაპოელი", კიევის "ბუდიველნიკი" და ბაქოს "ნტდ-დევონი". **ნორმალურ საკალათბურთო ქვეყანაში რომ ვცხოვრობდეთ, მსგავსი შეჯიბრებები ხშირად გვექნებოდა და თითოეულის შესაფასებლად დრო არც დაგვრჩებოდა, მაგრამ ოთხშაბათს დასრულებულ მემორიალს გარდა იმისა, რომ მეტისმეტად დიდი კაცის სახელს ატარებდა, დიდი საკალათბურთო მნიშვნელობა ჰქონდა.**

## სამი მიზეზი

დინოზავრების დროინდელ ხალხში "მერსედესის" ჯიპით გამოჩენას ჰგავდა 21-ე საუკუნეში საქართველოში გამართული პირველი საერთაშორისო ტურნირი. აი, სწორედ ამიტომ იყო ეს შეჯიბრება მნიშვნელოვანი. ქართველების მსგავს ცნობისმოყვარე ხალხს ყოველთვის აინტერესებს კავშირი გარესამყაროსთან და საკუთარი შესაძლებლობების სხვებთან შედარება. 18-19 მარტის ტურნირმა საინტერესო შედარება მოგვცა: საქართველოს ჩემპიონატის ნაკრები ერთი თავით მაღლა დგას აზერბაიჯანის ჩემპიონსა და ისრაელის მესამე ეშელონის კლუბებზე, ხოლო ოდნავ უკეთესია უკრაინის საშუალო დონის ("ბუდიველნიკი" შიდა ჩემპიონატში მე-10 ადგილზეა) გუნდზე. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს - ფინალში "მაკაბიმ" ოდენ 7 ქულის სხვაობით იმარჯვა და საიდან დაასკვენი, რომ ქართული კლუბი სტუმარ "ბუდიველნიკზე" ძლიერიაო. ახლავე გიპასუხებთ: ტულუში, ბერიშვილი, შერმადინი, ბარბაქაძე, ნიკოლაძე და სანიკიძე ინდივიდუალური ოსტატობით უკრაინელებს თუ არ სჯობდნენ, არც ჩამოუვარდებოდნენ. სწორედ ამის წყალობით "მაკაბიმ" პირველ ტაიმში 10-ქულიანი ფორა მოიპოვა და მას გაზრდიდა კიდეც მეტად შეთამაშებული რომ ყოფილიყო (სანიკიძე, ტულუში, ბარბაქაძე საშუალო დონისანი არიან. აქვე განვმარტავთ: რადგან საქართველოს შიდა ნაკრებად ქცეულ "მაკაბიზე" ვსაუბრობთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა გუნდები თუნდაც "ბუდიველნიკთან" ვერაფერს გააწყობდნენ. იგივე "ავიამშენი" თსუ და "ენერჯი" ოთხი კალათბურთელით გაძლიერებულ "მაკაბის" ბევრით არაფრით ჩამორჩებიან.

და მეორე, რის გამოც მსგავსი ტურნირების გამართვა აუცილებელია - ტრანსფერებია. ქართული კლუბების ხელმძღვანელები უცხოური შეკრებებისთვის ფულს ვერ იმეტებენ. ეს სწორედ მათთვისაა საზიანო. ისე როგორ, უკრაინაში წასული რომელიმე ქართული კლუბიდან ერთი კალათბურთელი არავის მოეწონოს? მოწონება დაინტერესებას გააჩენს, მოთამაშის გაყიდვა - ფულს. "ბუდიველნიკის" მწვრთნელსაც მოეწონა რამდენიმე ქართველი კალათბურთელი, ხოლო გიგი ბარბაქაძემ და ირაკლი ჩლაიძემ სულაც ამ ტურნირზე მოირგეს ისრაელის "ჰაპოელის" მაისური. აზერბაიჯანსა და ირანში კალათბურთელთა გადინებას, დასავლეთით, თუნდაც უკრაინაში გასვლა არ სჯობს უკრაინა ხომ ერთ ნაბიჯზეა საკალათბურთო ცივილიზაციასთან. ნაკრების ნევრ სანიკიძეზე, შერმადინზე და ტულუშზე არაფერს ვიტყვით, "ბუდიველნიკის" დონის გუნდი თუნდაც დავით ბარბაქაძეზე რატომ იტყოდა უარს?

მესამე მიზეზი, რის გამოც კოტე მახარაძის მემორიალი მნიშვნელოვანი იყო, გულშემატკივართა დაინტერესება გახლდათ. ნაკრებზე გულგატეხილ ქართველ ქომაგს გული სწორედ მსგავს ტურნირებზე უნდა მოუბრუნდეს. გულშემატკივარს გაცილებით მეტი ხმაურით ხვდება ყურში ქართული გუნდის უცხოურთან დაპირისპირების ამბავი, ვიდრე, ვთქვათ, რუსთაველისა და თბილისურთან...

## შერმადინი

არ შეიძლება ცალკე ქვეთავი არ გამოეყოს ტურნირის მოწყობის მთავარ აუცილებელი მარტის შუაში თბილისში საერთაშორისო შეჯიბრების მოწყობა. თუმცა თუკი ზაზას ამბებს ვიხსენებთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი ამერიკაში დაგვიანებით, თურქეთის ჩემპიონატის ფინალებით მოღლილი ჩავიდა და წინასადრაფტო ვარჯიშებზე ეფექტი რომ ვერ მოახდინა. ამიტომ აირჩიეს 42-ე ნომრად. შემდეგში გამოჩნდა კიდეც, რომ ამერიკელებმა მისი გვიან არჩევით სერიოზული შეცდომა დაუშვეს. ასე რომ, გადამწყვეტი არა ევროპული მონაგარი, არამედ წინასადრაფტო ღია ვარჯიშებია. ვფიქრობ, შერმადინი არც იქ შეირცხვენს თავს.

## შიდა ნაკრები

აქამდეც არაერთხელ დაგვიწერია, რომ ვიდრე ეროვნულ ნაკრებს ლეგიონერები შემოუერთდებიან, შიდა ჩემპიონატის კალათბურთელები სათანადოდ მომზადებულნი უნდა დახვდნენ. ეს მოსაზრება გასულ კვირას გამოცდილმა მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა განავრცო: უნდა შეიქმნას საქართველოს შიდა ნაკრები და არც მისი საერთაშორისო ტურნირებზე გასაგზავნი ფულის დაშურება შეიძლებაო. მართალიცაა, ფინელები სწორედ ამით გვჯობნიდნენ - შიდა პირველობის კალათბურთელებს ერთ მუშტად კრავდნენ და უკვე დაზეთილ სისტემაში მოტოლა და რანიკო უმტკივნეულოდ ჯდებოდნენ. კოტე მახარაძის ტურნირზე "მაკაბის" რიგებში საქართველოს ჩემპიონატის ის კალათბურთელები მონაწილეობდნენ, რომლებმაც ამ ზაფხულს ეროვნულ ნაკრებში უნდა ითამაშონ. ფაქტობრივად, ეს გახლდათ ნაკრების შეკრების არაოფიციალური შემთხვევა. სხვათა შორის, 1994 წელს საქართველოს ეროვნული გუნდის პირველი შეკრების ერთ-ერთი ინიციატორი სწორედ ჯამლეტ ხუხაშვილი იყო... ახლა "შიდა ნაკრებზე" მეტს ვერაფერს ვიტყვით, მხოლოდ იმედს დავიტოვებთ, რომ მომავალი მწვრთნელი კოტე მახარაძის მემორიალზე დაწყებულ საქმეს განაგრძობს და შიდა ჩემპიონა-



და **ნიკოლაძე** ხომ მხოლოდ ამ ტურნირისთვის დაიმატა მწვრთნელმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა**), ან რეზერვისტებს ძირითადები სათანადოდ დაესვენებინათ და ისინი ბოლო წუთებს ენერგიულად რომ შეხვედროდნენ. შეიძლება, "ბუდიველნიკის" ამერიკელის მოედანზე გამოჩენას ძალთა თანაფარდობა შეეცვალა, მაგრამ ჩვენ ხომ ქართულ და უკრაინულ მხარეებს ვადარებთ, ოკეანისგაღმელის ჩამოყვანა "მაკაბისაც" ხომ შეუძლია... და რაში გვჭირდება ასეთი შედარება? იმიტომ, რომ შევაფასოთ ევროპულ კალათბურთთან ძალიან შორს ვართ თუ არა? "ბუდიველნიკი" **მარკოიშვილის** "კიევთან" შინაც და გარეთაც უშანსოდ აგებს და თუ გავითვალისწინებთ, რომ კიეველები შემადგენლობით ევროპის ტოპ გუნდებში გადიან, უნდა დავასკვნათ - საქართველოს ჩემპიონატის კალათბურთელები მიზეზს, გიორგი შერმადინს. იგი მარტის ბოლოს ამერიკაში მიდის, სადაც კიკი ვანდევეგესთან და სხვა ცნობილ სპეციალისტებთან ივნისის დრაფტისთვის მოემზადება. მისი აგენტი ხომ შეპირდა ქართულ გვარს დრაფტზე აუცილებლად გაიგებთო. ჩვენც ეს არ გვინდა?

მთავარი სათქმელი რაც ამერიკელებს ფაჩულიაზე წინასადრაფტოდ ჰქონდათ იცით რა იყო? - ზაზამ ევროლიგაზე ორი ტური მაღალ დონეზე ჩაატარა და ერთ-ერთში ტურის საუკეთესოდაც დასახელდაო. ცხადია, შერმადინზე წინასადრაფტოდ მსგავსს ვერ იტყვიან, მაგრამ გიორგი შერმადინის შეფასებისას აუცილებლად გაიჟღერებს თბილისში გამართული საერთაშორისო ტურნირის სტატისტიკა, რომელშიც იგი საშუალოდ 32 ქულას აგროვებდა. აი, სწორედ ამისთვის იყო ტის კალათბურთელებს ოფიციალურ მატჩებამდე ერთი-ორჯერ შეკრებს.

დასკვნაშიც იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს ტურნირი არ იქნება პირველი და უკანასკნელი 21-ე საუკუნეში. მარტში, გახურებულ სეზონში მისი გამართვის მიზეზებზე უკვე გითხარით, ღმერთმა ინებოს გიორგი შერმადინის შემდეგ გაისად, მარტში, კიდევ ერთი სადრაფტოდ გამზადებული კალათბურთელი გვყავდეს, მაგრამ გაცილებით ძლიერი გუნდების ჩამოყვანა შეიძლება წინასასეზონოდ, თუნდაც დუდუ დადიანის მემორიალზე. სექტემბერში ხომ უკრაინელები, ებრაელები, აზერები, ირანელები და სხვები საკონტროლო მატჩებში გუნდების გამოცდას ესწრაფვიან. უცხოელებთან გაჯიბრება ქართული კლუბებისთვისაც ზედგამოჭრილია...

**ვაჟა სიმონიშვილი**

---

კალათბურთი. ქართველი NBA-ში

# 14 წუთი, 11 ქულა და ნაგება კონკურენტთან



**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტამ" მეტად მნიშვნელოვანი მატჩი წააგო ნიუ ჯერსიში. მკითხველს შეხსენება არ დასჭირდება, რომ აღმოსავლეთის კონფერენციაში ფლეი ოფის მერვე საგზურისთვის სწორედ "ნიუ ჯერსი ნეთსი" და "ატლანტა ჰოქსი" ჭიდაობენ. საშინაო მოედანზე 125:117 გამარჯვების შემდეგ ჯერსელებმა მერვე ადგილზე აინაცვლეს. ჯორჯიელები კი მეცხრეები არიან, თუმცა ორივე გუნდს თანაბარი მაჩვენებლები უწერია - 29-29 მოგება და 39-39 წაგება.

"ატლანტას" რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 14 მატჩილა დარჩა.

ზაზა ფაჩულიამ მარტში საუკეთესო მატჩი სწორედ "ნეთსთან" ჩაატარა. მან 14 წუთში 7-დან 4 ორქულიანი, 5-დან 3 საჯარიმო ჩააგდო და 11 ქულას 7 მოხსნა მიამატა.

მომდევნო შეხვედრას "ჰოქსი" შინ, 22 მარტს "ორლანდოს" წინააღმდეგ ჩაატარებს.

---

# ბორისაც დაემშვიდობა

**საკალათბურთო** ევროთასებზე ქართველთა რიცხვი კიდევ ერთით შემცირდა. ულების თასიდან მანუჩარ მარკოიშვილის "კიევის" გამოვარდნის შემდეგ, ევროლიგის მეორე ეტაპზე ჯგუფში ჩარჩა ვლადიმერ ბოისას "არისი".

ბოლო ტურის წინ, ქვეჯგუფში ისეთი ვითარება იყო, რომ თუკი "არისს" შემდეგ ეტაპზე გასვლა სურდა, შინ "ლიეტუვოს რიტასი" სულ მცირე, 31 ქულით უნდა დაემარცხებინა. პარალელურად, თურქეთში "ფენერბახჩეს" უკვე ჯგუფიდან გასულ "ტაუ კერამიკასთან" უნდა წაეგო.

საბოლოოდ, "ფენერბახჩემ" 75:59 მოუგო უმოტივაციო ესპანელებს და ბოისას გუნდი უშანსოდ დატოვა. თავის მხრივ, "არისმა" 83:74 იმარჯვა და მართალია, ჯგუფში ჩარჩა, მაგრამ არც "რიტასი" გაუშვა შემდეგ ეტაპზე.

ბოისა სასტარტო ხუთეულში იყო და 20 წუთში 3 ქულა ჩაუგდო ლიტველებს. ქართველმა კალათბურთელმა 2-დან 1 სამქულიანი გამოიყენა, 2 ჯარიმა და 1 ორქულიანი კი ააცილა. ამას გარდა, მან 1 მოხსნაც მიითვალა, ერთხელ კი დაჯარიმდა.

---

ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი

# ელენე მეოცეა

გუშინ, გიოტებორგის „სკანდინავიუმარენაზე" 18 წლის **ელენე გედევანიშვილს** ბრწყინვალედ არ უსრიალია, მაგრამ მან თავისუფალი პროგრამა უკეთ შეასრულა, ვიდრე წინა დღით მოკლე და საბოლოოდ კიდევ სამი საფეხურით დაწინაურება და ოცეულში შესვლა შეძლო. ელენემ მსაჯებისგან 81,93 ქულა მიიღო, რაც მის საუკეთესო შედეგს 11 ქულაზე მეტით ჩამორჩება. გედევანიშვილის შედეგი თავისუფალ პროგრამაში მე-18 იყო, ორი დისციპლინის ჯამში მან 125,99 ქულით მეოცე ადგილი დაიკავა. შარშან მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველი სპორტსმენი მე-19 იყო.

მსოფლიო ჩემპიონი იაპონელი **მაო ასადა** გახდა, მან სულ ცოტათი აჯობა მოკლე პროგრამის შემდეგ ლიდერ **კაროლინა კოსტნერს**. ბრინჯაოს მედალს კი შარშანდელის მსგავსად კორეელი **იუ-ნა კიმი** დაეუფლა, რომლის თავისუფალი პროგრამა ყველაზე უნაკლო გამოდგა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

16-23 მარტი. გიოტებორგი (შვედეთი).

| ქალები | |
|---|---|
| 1. მაო ასადა (იაპონია) | 185,56 |
| 2. კაროლინა კოსტნერი (იტალია) | 184,68 |
| 3. იუ-ნა კიმი (კორეა) | 183,23 |
| 4. იუკარი ნაკანო (იაპონია) | 177,40 |
| 5. ჟანი როშეტი (კანადა) | 174,12 |
| 6. სარა მაიერი (შვეიცარია) | 171,88 |
| 7. კიმი მაისნერი (აშშ) | 149,74 |
| 8. ლაურა ლეპისტო (ფინეთი) | 147,26 |
| 9. კიირა კორპი (ფინეთი) | 145,73 |
| 10. ბეატრისა ლიანგი (აშშ) | 145,29 |
| **20. ელენე გედევანიშვილი** | **125,99** |

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

ავტოსპორტი. ფორმულა 1. ახალი ამბები

# მალაიზიაში იწვიმებს

მეტეოროლოგების პროგნოზებით, კვირას, მალაიზიის გრან-პრის დროს წვიმა და ჭექა-ქუხილია მოსალოდნელი. ასე რომ, პილოტებს ძალიან რთულ პირობებში მოუწევთ ასპარეზობა.

"სეპანგის" ავტოდრომის პრესმდივანი **აზჰარ გაზალი** აცხადებს, რომ საბოლოო უიქ ენდის სამივე დღეს, დილა მზიანი იქნება, მაგრამ შუადღისთვის წვიმა ტრასას დაასველებს.

*"საინტერესო სანახავი იქნება, როგორ გამოვლენ პილოტები ასეთ რთულ პირობებში ტრექშნ-კონტროლის გარეშე"*, - ამბობს გაზალი.

# გლოკს ექიმები შეამოწმებენ




ტიმო გლოკს არ გაუმართლა

ჯერჯერობით უცნობია, მიიღებს თუ არა მალაიზიის გრან-პრიში მონაწილეობას "ტოიოტას" ახალბედა პილოტი **ტიმო გლოკი**. როგორც იცით, გერმანელმა მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე მარცხენა ხელის მაჯა დაიზიანა. ახლა მას სამედიცინო შემოწმება ელის იმის გასარკვევად, შეძლებს თუ არა კვირას კუალა-ლუმპურის ტრასაზე გასვლას. გლოკი ავსტრალიაში იმყოფება და მელბურნიდან მალაიზიაში გასამგზავრებელი რეისი გამოტოვა.

შვეიცარიული "ბლიკის" ინფორმაციით, ტიმო სამედიცინო ტესტს უპრობლემოდ გაივლის, რადგან ექიმები პილოტებს კანტუზიისა და ტვინის შერყევის დროს არ აძლევენ ტრასაზე გასვლის უფლებას, ასეთ შემთხვევებში ხელმეორე ავარია სახიფათოა.

თუ გლოკმა მაინც ვერ შეძლო მალაიზიის გრან-პრიზე გამოსვლა, მას ჩემპიონატის მეორე ეტაპზე "ტოიოტას" სარეზერვო პილოტი, იაპონელი **კამუი კობაიასი** შეცვლის.

# ფერარის უცნაური ვერსია

ავსტრალიის გრან-პრიზე "ფერარის" პილოტებმა ფინიშამდე ვერ მიაღწიეს - **კიმი რაიკონენსა** და **ფელიპე მასას** თავიანთი ბოლიდების ძრავებმა უმტყუნეს. სკუდერიაში პრობლემების გამომწვევი მიზეზების ძებნა დაიწყეს და ერთი უცნაური ვერსიაც გაავრცელეს.

"ფერარიში" ვარაუდობენ, რომ პრობლემები შესაძლოა ძრავის მართვის სტანდარტული ბლოკის გაუმართაობას გამოეწვია, რომელსაც წლევანდელ სეზონში ჩემპიონატის ყველა მონაწილეს კომპანია McLaren Electronics System აწვდის. ეს უკანასკნელი კი, McLaren Racingთან ერთად, McLaren Group-ის შემადგენლობაში შედის. იმის შეხსენება კი არავის სჭირდება, რომ "მაკლარენი" "ფერარის" უმთავრესი კონკურენტია.

*"მსგავსი რამ მაშინ ხდება, როცა კარგად არ იცნობ მოწყობილობას. ახლა ვიცით, რამ შეიძლება გამოიწვიოს მსგავსი პრობლემები. ასეთი რამ, აღარ უნდა განმეორდეს"*, - აცხადებს "ფერარის" წარმომადგენელი.

საინტერესოა, რომ ავსტრალიის გრან-პრიზე ანალოგიურ პრობლემები "ტორო როსოსაც" ჰქონდა, რომელსაც ძრავებით "ფერარი" ამარაგებს.

# ბაჰრეინმა თამბაქოს უარი უთხრა

ბაჰრეინში თამბაქოს რეკლამა აიკრძალა და ამ ქვეყანაში, ფორმულა 1-ში მოღვაწე სიგარეტის მწარმოებელი კომპანიების ინტერესებს საფრთხე დაემუქრა. ეს კომპანიები ბაჰრეინის გრან-პრის სპონსორებათაც მოიაზრებოდნენ. ასე რომ, ჯანსაღი ცხოვრების წესისთვის მებრძოლებმა დედამიწის კიდევ ერთ კუთხეში მორიგ გამარჯვებას მიაღწიეს.

მაგრამ ეს ინფორმაცია ნამდვილად არ გაახარებს თუნდაც კომპანია "მარლბოროს", რომელიც აქამდე თვლიდა, რომ თავისი პროდუქციის რეკლამის გავრცელება ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის ხუთ თუ ექვს ეტაპზე შეეძლო.

როგორც ცნობილია, შარშანდლიდან მოყოლებული, ევროპაში თამბაქოს ნაწარმის რეკლამა აკრძალულია. ამის გამო, შესაბამის კომპანიებს თავიანთი პროდუქტის რეკლამისთვის რამდენიმე ქვეყანაღა დარჩათ, რომელთა შორის ერთ-ერთი ბაჰრეინიც იყო.

*"ეს იმ პროგრამის დასაწყისია, რომელიც ბაჰრეინს არამწეველ ქვეყანად გადააქცევს"*, - განაცხადა ბაჰრეინის ქვეყნის ჯანმრთელობის მინისტრის მოადგილემ, დოქტორმა **მარიამ ალ ჯალაჰმამ**.

ჯერჯერობით უცნობია, შეეხება თუ არა ახალი კანონი იმ კომპანიებს, რომლებიც ბაჰრეინის გრან-პრის უწევენ სპონსორობას.

ბლოკი მოამზადა
**გიორგი თვალიამ**

ცურვა. ევროპის ჩემპიონატი

# ამჯერად მხოლოდ ევროპის რეკორდები




მანოდუ გულაღმა ცურვის სტარტზე

ჰოლანდიის ქალაქ ეინდჰოვენში გრძელდება მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომლის მეორე დღემაც მართალია, მსოფლიო რეკორდების გარეშე ჩაიარა, მაგრამ, სამაგიეროდ, ევროპის ორი რეკორდი მაინც დამყარდა. თანაც, ერთ შემთხვევაში, რეკორდული შედეგი ერთბაშად ორმა მოცურავემ გააუმჯობესა.

სანამ რეკორდები დამყარდებოდა, 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალს ფრანგი სუპერმოცურავე **ლორ მანოდუ** დაეუფლა, ვინც მართალია, თავის ფავორიტ დისტანციებზე - 200 და 400 მეტრზე თავისუფალ სტილში არ ასპარეზობს, მაგრამ გამარჯვება არც 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში გასჭირვებია.

ფინიშს მან ორ წუთსა და 7.99 წამში მიაღწია, რაც ამ დისტანციაზე ყველა დროის მეხუთე საუკეთესო შედეგია. გამარჯვებულს წამნახევარზე მეტით ჩამორჩა მეორეზე გასული რუსი **ანასტასია ზუევა**, მესამეზე კი უნგრელი **ნიკოლეტ სეპეში** გავიდა.

*"გუშინ ჰიტებში კარგი დრო ვაჩვენე და ამჯერად იმ შედეგების გაუმჯობესება მსურდა, მაგრამ ასეთ კარგ შედეგს არ ველოდი. მოკლედ, ეს დრო ჩემთვისაც მოულოდნელობა იყო"*, - განაცხადა 21 წლის ფრანგმა, ვინც ამ გამარჯვების შემდეგ, თავისი პროგრამიდან საერთოდ ამოიღო თავისუფალი სტილით ცურვა და აქცენტი 100 მეტრზე გულაღმა ცურვაზე გადაიტანა.

შეგახსენებთ, რომ მანოდუ ოლიმპიური ჩემპიონია 400 მეტრზე თავისუფალ სტილში, 200 და 400 მეტრზე თავისუფალში კი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულებს ფლობს. ორი წლის წინათ ბუდაპეშტში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე კი მან ოქროს ოთხი და ბრინჯაოს სამი მედლის მოპოვება შეძლო.

გასული წლის განმავლობაში მან ერთბაშად ოთხი მწვრთნელი გამოიცვალა, თუმცა ეს მის მიერ ნაჩვენებ შედეგებს პრაქტიკულად არ დასტყობია. ეინდჰოვენში თავისი პროგრამის შეკვეცის მთავარ მოტივად ის იმ გარემოებას ასახელებს, რომ არ სურს, პეკინის ოლიმპიადისთვის მზადების პროცესი შეუფერხდეს.

ვაჟებს შორის ას მეტრზე ბრასში ევროპის რეკორდი ნორვეგიელმა **ალექსანდერ დალ ოენმა** და ფრანგმა **უგო დიუბოსკმა** გააუმჯობესეს. ორივემ მთელი დისტანცია მხარდამხარ გაცურა და ფინიშზე ისინი ოდენ 0.02 წამმა დააშორა. ფინიშის დაფას კი პირველი დალ ოენი შეეხო, ვინც დისტანცია 59.76 წამში გაცურა. აღსანიშნავია, რომ ნორვეგიელს წინა ჩემპიონატზე ვერცხლი აქვს აღებული, ფრანგმა კი ათენის ოლიმპიადაზე ბრინჯაო მოიპოვა. ორივემ რუსი **რომან სლუდნოვის** მიერ შვიდი წლის წინათ, ფუკუოკას მსოფლიო ჩემპიონატზე დამყარებული რეკორდი (59.94 წამი) გააუმჯობესა.

ამ სამეულის გარდა, წუთზე ნაკლებში ეს დისტანცია მსოფლიო რეკორდსმენს, ამერიკელ **ბრენდან ჰანსენს** (59.13 წამი) და იაპონელ ოლიმპიურ ჩემპიონ **კოსუკე კიტაძიმას** აქვთ განაცური.

ძველი კონტინენტის რეკორდი 50 მეტრზე ბატერფლაიშიც გაუმჯობესდა და ეს ზედიზედ ორჯერ სერბმა **მილორად ჩავიჩმა** შეძლო. რეკორდის დამყარების პარალელურად, ჩავიჩმა ტიტული ჩამოართვა უკრაინელ **სერგიი ბრეუსს**, რომელიც ამ ტიტულს წინა ორ ჩემპიონატზე არავის უთმობდა.

ჩავიჩმა ძველი რეკორდი (23.38 წამი), რაც ასევე ბრეუსს ეკუთვნოდა, ნახევარფინალურ გაცურვაზე გააუმჯობესა (23.25წამი), ფინალში კი კიდევ უფრო სწრაფად იცურავა (23.11 წამი) და სამხრეთაფრიკელ ჩემპიონ **როლანდ შიომანის** მსოფლიო რეკორდამდე (22.96 წამი) სულ რაღაც 0.15 წამი დააკლდა.

საინტერესო გამოდგა ქალთა შორის 50 მეტრზე ბატერფლაიც, სადაც პირველობისთვის ორმა ჰოლანდიელმა - **შანტალ ხროოტმა** და აინდჰოვენელმა **ინგე დეკერმა** იპაექრეს. ფინალურ გაცურვაზე დეკერი საკმაოდ დაღლილი გამოვიდა - ათი წუთით ადრე მან ას მეტრზე თავისუფალის ნახევარფინალში იასპარეზა. ჰოდა, დისტანციის მიწურულს დაღლა დაეტყო, რითაც კარგად ისარგებლა ხროოტმა და ფინიშის დაფას პირველი შეეხო. აღსანიშნავია, რომ წინა სამ ჩემპიონატზე მას ბრინჯაოს სამი მედალი აქვს მოპოვებული.

ვაჟთა შორის 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში გამარჯვება ავსტრიელმა **მარკუს როგანმა** მოიპოვა, რომელმაც უკანა გზაზე ბერძენი **არისტეიდის გრიგორიადისი** ჩამოიტოვა. არადა, ამ უკანასკნელს წინასწარ და ნახევარფინალურ გაცურვებში საუკეთესო შედეგები ჰქონდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

კალათბურთი

## მილუოკიმ გენერალური მენეჯერი დაითხოვა

"მილუოკი ბაქსის" ხელმძღვანელობამ გენერალური მენეჯერის პოსტიდან დაითხოვა **ლარი ჰარისი**. ამ უკანასკნელს კლუბის მფლობელი **ჰერბ კოლი** შეხვდა და განუცხადა, რომ არ აპირებს მასთან ამ ზაფხულს კონტრაქტის გაგრძელებას, ამიტომაც ჰარისს პოსტის დატოვება მოსთხოვა.

ეს თემა თავად გენერალურმა მენეჯერმა წამოწია, როცა "მილუოკის" ხელმძღვანელობას თავისი მომავალი კარიერის შესახებ სიცხადის შეტანა სთხოვა. საბოლოოდ, ყველაფერი ჰარისის გადაყენებით დასრულდა.

## იტალია ულეგიონერებოდ

იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კარლო რეკალკატი** ამერიკაში იმყოფება, სადაც NBA-ში მოთამაშე იტალიელ კალათბურთელებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. წინასწარი ინფორმაციით, "გოლდენ სტეიტის" მცველი **მარკო ბელინელი** და "ტორონტოს" ფორვარდი **ანდრეა ბარნიანი** მზად არიან 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ითამაშონ, რომელიც ამა წლის აგვისტო-სექტემბერში გაიმართება. მათ აგრეთვე სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის მცველი **ლორენცო ჰეკეტი** შეუერთდება, რომელიც ადრე იტალიის 20-წლამდელთა ნაკრებში თამაშობდა.

მართალია, კალათბურთელები ნაკრებში თამაშზე თანახმანი არიან, მაგრამ რეკალკატის გუნდს შესაძლოა, მაინც მათ გარეშე მოუწიოს საკვალიფიკაციოში თამაში. საქმე ისაა, რომ ამერიკული გუნდების ხელმძღვანელები კალათბურთელების ნაკრებში გაშვებას ეწინააღმდეგებიან. მათ სურთ, რომ ლეგიონერები საწვრთნელი შეკრების დასაწყისისთვის კლუბებში იყვნენ.

## კრის პოლს კლუბიც ეხმარება

"ნიუ ორლეან ჰორნეთსის" ხელმძღვანელობამ ოფიციალური ვებ-გვერდი გახსნა, სადაც ნებისმიერ გულშემატკივარს შეეძლება მხარი დაუჭიროს გუნდის ლიდერს, **კრის პოლს** სეზონის საუკეთესო მოთამაშის ტიტულისთვის ბრძოლაში. ვებ-გვერდის მისამართია CP3MVP.com. ის კალათბურთელის ინიციალებისგან, მისი სათამაშო ნომრისგან და ჯილდოს სახელწოდებისგან შედგება.

ამ სეზონში პოლი საშუალოდ მატჩში 21.6 ქულას და 11.3 შედეგიან გადაცემას აგროვებს, "ჰორნეთსი" კი, დასავლეთში პირველ ადგილს იკავებს. კრისი შეიძლება პირველი მცველი გახდეს ბოლო 15 წლინადში, რომელსაც სეზონში საშუალოდ 20-ზე მეტი ქულა და 10 შედეგიანი გადაცემა უგროვდება.

ჩოგბურთი

## სელეში მემუარებს წერს

"დიდი სლემის" ტურნირების ცხრაგზის ჩემპიონი, ამერიკელი **მონიკა სელეში** თავის მემუარებზე მუშაობს. წიგნი, რომელსაც ჯერ. სათაური არ გააჩნია, 2009 წელს გამოიცემა.

*"იმედი მაქვს, მკითხველს კარგადავუხსნი იმას, თუ როგორ ვიპოვნე ბალანსი დატვირთვებს, სტრესებსა და ბედნიერებას შორის. სწორედ ამ ბალანსის წყალობით მივაღწიე ცხოვრებაში ყველა დიდ წარმატებას"*, - ამბობს სელეში.

## მირზა საოპერაციოა

ინდოელ ჩოგბურთელს, **სანია მირზას** მაჯის ქრონიკული ტრავმა აწუხებს. ამის გამო, მას შესაძლოა ოპერაცია დასჭირდეს.

*"თუ საჭირო გახდა, ქირურგიულ ჩარევას დავთანხმდები, მაგრამ მანამდე უნდა დავრწმუნდე, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობს"*, - ამბობს 21 წლის ჩოგბურთელი.

მთის თხილამურები

## ამერიკელები უმწვრთნელოდ დარჩნენ

მთის თხილამურებში აშშ-ის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, **ფილ მაკნიკოლმა** პოსტის დატოვება გადაწყვიტა. ეს სპეციალისტი ამერიკელ მოთხილამურეებთან 1997 წლიდან მუშაობდა, ხოლო 2002-03 წლების სეზონში მთავარი მწვრთნელის თანამდებობა ჩაიბარა.

სწორედ მაკნიკოლის დამსახურებაა ის, რომ **დარონ რალვზი** და **ბოდე მილერი** მაღალი დონის მოთხილამურეებად ჩამოყალიბდნენ.

ჰოკეი

## დიპიეტროს სეზონი დაასრულა

"ნიუ იორკ აილენდერსის" ძირითადმა მეკარემ **რიკ დიპიეტრომ** ტრავმირებულ ბარძაყზე ოპერაცია უნდა გაიკეთოს. ამის გამო, 26 წლის ჰოკეისტი სეზონის დარჩენილ მატჩებში მონაწილეობას ველარ მიიღებს. მკურნალობას დიდი დრო დასჭირდება და დიპიეტრო მხოლოდ ზაფხულში, საწვრთნელი ბანაკების გახსნის წინ ჩადგება მწყობრში.

ამ სეზონში დიეიპტრო საშუალოდ 2.82 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 90.2 პროცენტს იგერიებდა.

კრივი/ჭადრაკი

## კლიჩკოები პოლგარის წინააღმდეგ

ცნობილი უნგრელი მოჭადრაკე ქალი **იუდით პოლგარი**, საჩვენებელი პარტიის გამართვას აპირებს უკრაინელ მოკრივეებთან, ძმებ **ვლადიმერ** და **ვიტალი კლიჩკოებთან**.

ეს საინტერესო შეხვედრა მარტის ბოლოს, კიევში გასამართი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის დღეებშია დაგეგმილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჰიტს თამაში დაავიწყდა



ნეშმა 5 სამქულიანი ჩააგდო

რა თქმა უნდა, ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ "სიეტლი" რეგულარული ჩემპიონატის ამ ტურს სენსაციას აჩუქებდა და "ფინიქსს" დაამარცხებდა, თუნდაც საკუთარ "ქეი არენაზე". 17 ათასმა მაყურებელმა, რაც შეეძლო ისე უქომაგა თავისიანებს, მაგრამ ამ სეზონში ეს გუნდები აშკარად სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამოდიან.

სტუმრებმა ზუსტად იცოდნენ თავიანთი მიზანი - სიეტლიდან ჩემპიონატში 46-ე გამარჯვება უნდა წამოეღოთ და ამიტომაც თავიდანვე შეტევაში გაიქცნენ. "სიეტლი" გონს მხოლოდ მეორე მეოთხედის შუა ნაწილში მოვიდა და თქვენ წარმოიდგინეთ, მეორე 12-წუთეული მოიგო კიდეც. მაგრამ შემდეგ, "ფინიქსმა" სრულად გამოავლინა თავისი სნაიპერული თვისებები: **სტივ ნეშმა** 5 სამიანი ჩააგდო, **რაჯა ბელმა** - ექვსი. "სიეტლს" მეტი ოსტატობა რომ ჰქონოდა, შესაძლოა კარგად გამოეყენებინა ამ მატჩში "სანზის" მიერ დამყარებული პირადი გუნდური ანტი-რეკორდი - 27 შეცდომა. მაგრამ მასპინძლებმა ეს საჩუქარი ვერ შეიშნოვეს და ჩემპიონატში 52-ე მატჩი წააგეს.

სხვათა შორის, "ფინიქსმა" გუშინ ზედიზედ მეექვსე გამარჯვებას მიაღწია.

## ტურის გმირი ლებრონ ჯეიმსი

"კლივლენდმა" "დეტროიტს" 89 ქულა ჩაუგდო და აქედან მესამედზე მეტი **ლებრონ ჯეიმსის** ანგარიშზე მოდის. NBA-ის სუპერვარსკვლავს ერთი ან მაქსიმუმ ორი მატჩი სჭირდება იმისთვის, რომ თავისი კლუბის ყველა დროის საუკეთესო მექულე გახდეს. აქამდე, ეს რეკორდი **ბრედ დოჰერტის** ეკუთვნოდა, მაგრამ დროება იცვლება და სცენაზე ახალი გმირები გამოდიან. დოჰერტის შედეგამდე ლებრონს სულ რაღაც 35 ქულა აშორებს.

## ტურის ანტიგმირი მაიამი ჰიტი

როგორც ჩანს, **პატ რაილის** შეგირდებმა მთელი ენერგია ორი დღის წინ, "მილუოკი ბაქსისთან" მიღწეული გამარჯვების აღნიშვნისას დახარჯეს. ტორონტოში გამართული შეხვედრა კლუბის ისტორიაში შავ ლაქად დარჩება. 54 ქულით რომელიმე ფაბრიკის გუნდის დამარცხებაც კი გაჭირდება, ალარაფერს ვამბობთ ამჟამინდელი ფორმაციის "რეპტორზე". მაგრამ ამაზე უარესიც ყოფილა. NBA-ის ყველა დროის ანტირეკორდი "ჩიკაგოს" კუთვნილებაა. 1998-99 წლების სეზონში, "ხარებმა" ერთ შეხვედრაში 49 ქულა დააგროვეს. მაშინ "ჩიკაგო" სწორედ "მაიამის" წინააღმდეგ თამაშობდა.

## ტურის ციფრი: 69

როგორც ჩანს, ამ სეზონში "ჰიუსტონის" კალათბურთელები კიდევ არაერთხელ გაგვაკვირვებენ. ამ გუნდის 22-მატჩიანი მოგებათა სერია ორი დღის წინ დასრულდა, ახლა კი, "როკეტსმა" თავისი უნიათო შეტევით დაგვამახსოვრა თავი. რა თქმა უნდა, "ნიუ ორლეანის" წინააღმდეგ სტუმრად თამაში იოლი არ არის, მაგრამ ტყორცნების რეალიზაციის 34 პროცენტი მართლაც ძნელი ასახსნელია. მეორე ტაიმში სტუმრებმა სულ 25 ქულას მოუყარეს თავი. საერთოდ, რაზეა საუბარი, როცა "რაკეტების" რიგებში საუკეთესო "ბებერი" **დიკემბე მუტომბო** იყო - 10 ქულა და 13 მოხსნა.

## ტურის ფრაზა

*"ამ სეზონში ოთხი თუ ხუთი ასეთი მატჩი ჩავატარეთ, ზუსტად ვერ ვიხსენებ. როცა თამაში არ მიგდის, ბოლომდე განწირული ხარ"*, - ასე ბუნდოვნად ახსნა თავისი გუნდის "გმირობა" "მაიამის" მთავარმა მწვრთნელმა პატ რაილიმ. როდის წაუვათ თამაში მის ბიჭებს? აი, ეს არის საკითხავი.

**გია თვალაბეიშვილი**

**ტორონტო-მაიამი 96:54**

29:16, 29:10, 20:19, 18:9

**ტორონტო:** ბარნიანი (14), პარკერი (14), ნესტეროვიჩი (12), კალდერონი (10+10 პასი+4 ჩაჭრა);
**მაიამი:** ქუინი (14), დევისი (12), ბლაუნტი (11).

**ფილადელფია-დენვერი 115:113**

34:31, 31:27, 27:35, 23:20

**ფილადელფია:** მილერი (28+12 პასი), იგუოდალა (21+6 პასი+4 ჩაჭრა), დალემბერი (17+12 მოხსნა+5 დაფარება), გრინი (16), კარნი (11).
**დენვერი:** აივერსონი (32+8 პასი), ენტონი (26), მარტინი (22+4 ჩაჭრა), კარტერი (12).

**ინდიანა-შარლოტი 102:95**

25:28, 21:25, 29:15, 27:27

**ინდიანა:** მიურეი (22), მერფი (18+13 მოხსნა+3 დაფარება), უილიამსი (16), დენიელსი (13), დანლივი (12), ფოსტერი (10+9 მოხსნა).
**შარლოტი:** რიჩარდსონი (20+10 მოხსნა+8 პასი), კეროლი (18), უოლასი (17), ჰოლინზი (11), მოჰამედი (10).

**ორლანდო-ვაშინგტონი 86:87**

26:20, 17:16, 22:31, 21:20

**ორლანდო:** თურქოგლუ (39), ბოგანსი (14), ნელსონი (12+9 პასი).
**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი(31+11 მოხსნა+4 ჩაჭრა), სტივენსონი (14), ბატლერი (11+9 მოხსნა), ჰეივუდი (10+11 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი-ატლანტა 125:117**

37:35, 23:35, 34:20, 31:27

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (39+10 მოხსნა+8 პასი), ჯეფერსონი (33), ჰარისი (26+9 პასი), ნახბარი (11).
**ატლანტა:** ჯონსონი (24), ჰორფორდი (20+15 მოხსნა+6 პასი), სმიტი (20), უილიამსი (15), ბიბი (15+4 პასი), ფაჩულია (11+7 მოხსნა).

**კლივლენდი-დეტროიტი 89:73**

22:25, 23:13, 18:19, 26:16

**კლივლენდი:** ჯეიმსი (30+7 მოხსნა+6 პასი), ილგაუსკასი (20+8 მოხსნა), შჩერბიაკი (10).
**დეტროიტი:** უოლასი (16+3 დაფარება), ჰემილტონი (14+7 პასი), პრინსი (11), ბილაპსი (10).

**მინესოტა-მემფისი 98:94**

23:28, 15:24, 24:16, 36:26

**მინესოტა:** ჯეფერსონი (29+13 მოხსნა), მაკენტსი (19), გომესი (14), ფოიე (12+10 მოხსნა).
**მემფისი:** გეი (25+7 მოხსნა), მილერი (20+10 მოხსნა), ნავარო (11).

**ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი 90:69**

16:24, 23:20, 20:15, 31:10

**ნიუ ორლეანი:** უესტი (25), უესტი (23+11 მოხსნა), პოლი (21+10 პასი+4 ჩაჭრა), ჩენდლერი (2+15 მოხსნა).
**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (15), სკოლა (14), ბატიე (14), მუტომბო (10+13 მოხსნა), ელსტონი (10+7 მოხსნა).

**სიეტლი-ფინიქსი 98:110**

23:34, 32:30, 23:20, 20:26

**სიეტლი:** გრინი (19), დიურანი (16), რიდნური (16+4 ჩაჭრა), პეტრო (14+9 მოხსნა), უოტსონი (11), კოლისონი (10+12 მოხსნა).
**ფინიქსი:** სტაუდმაიერი (26), ნეში (23+11 პასი), ბელი (20), ბარბოზა (19), ო'ნილი (9+8 მოხსნა), ჰილი (7+9 მოხსნა+6 ჩაჭრა).

**კლიპერსი-გ. სტეიტი 100:116**

26:37, 20:27, 28:28, 26:24

**კლიპერსი:** ტორნტონი (24+13 მოხსნა), მაგეტი (21), ტომასი (20).
**გ. სტეიტი:** ჯექსონი (29), ელისი (28+6 პასი), პიეტრუსი (15+12 მოხსნა), დევისი (14), ჰარინგტონი (10+7 მოხსნა), აზუბუიკე (10).

კალათბურთი. ახალი ამბები

# მოურნინგმა ვარჯიში დაიწყო

"მაიამი ჰიტის" ტრავმირებულმა ცენტრმა **ალონზო მოურნინგმა**, მარჯვენა მუხლის უმძიმესი ტრავმის შემდეგ პირველი ვარჯიში ჩაატარა. თუმცა ვეტერანის NBA-ში დაბრუნების საკითხი დღის წესრიგში არ დგას. კალათბურთელმა ისიც კი არ იცის, გააგრძელებს თუ არა მომავალ სეზონში კარიერას.

*"ბევრ ტრავმირებულ კალათბურთელს თავის გუნდთან კავშირი არ აქვს, ალონზო კი, მთელი ეს პერიოდი ჩვენს გვერდით იყო და დადებითი გავლენა ჰქონდა გუნდზე. მისი მომავლის შესახებ არაფრის თქმა არ შემიძლია. არ არის გამორიცხული, მან საერთოდ ვერ შეძლოს მოედანზე გასვლა"*, - განაცხადა "მაიამის" მთავარმა მწვრთნელმა პატ რაილიმ.

**გიორგი თვალაბეიშვილი**



მაიამის ტრავმირებულები. მარჯვნივ ალონზო მოურნინგი

# არენასმა ერთი კვირით გადადო

ექიმების ვარაუდით, "ვაშინგტონ უიზარდსის" ლიდერი **გილბერტ არენასი** დიდ კალათბურთში გუშინ, "ორლანდო მეჯიქთან" მატჩში უნდა დაბრუნებულიყო. მაგრამ გილბერტი თავისი თანაგუნდელების გამარჯვებას (87:86) ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს.

*"ექიმებმა მოცდა მირჩიეს. კიდევ ერთი კვირა აქტიურად ვიმუშავებ სატრენაჟორო დარბაზში, შემდეგ კი, მწვრთნელებთან ერთად გადავწყვეტ, რა გავაკეთო. იმედი მაქვს, ერთი კვირის შემდეგ მოედანზე ვიქნები"*, - აცხადებს არენასი.

შეგახსენებთ, რომ ვაშინგტონელთა მცველმა მთელი სეზონი მუხლის ტრავმის მიზეზით გამოტოვა.

**გიორგი თვალაბეიშვილი**

# TV სპორტი

## 21 მარტი. პარასკევი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** უიქენდის მატჩების ანონსი.
**13:25** ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-ბარსელონა.
**15:10** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**16:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:10** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**18:55** სასტვენი
**20:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:45** ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-ბარსელონა.
**21:30** საფეხბურთო კლუბი.
**22:25** FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**22:55** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**23:30** ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ჩელსი.
**01:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**01:40** საფეხბურთო კლუბი.
**02:30** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

### SPORT 1 (უკრაინა)

**08:00** სპორტდოსიე.
**08:28** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**08:58** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
**09:20** ფეხბურთი. Barca TV.
**09:27** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**09:55** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**10:10** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. VI ტური. ბარსელონა-ცსკა.
**11:49** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ბაფალო.
**13:35** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**14:01** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. VI ტური. ოლიმპიაკოსი-რეალი.
**15:38** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
**15:00** ჩოგბურთი. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ.
**18:05** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**18:33** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მექსიკა.
**19:30** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
**19:55** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**20:10** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**20:41** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:10** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**21:25** ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თავისუფალი ცეკვა. გიოტებორგი. შვედეთი (LIVE).
**00:39** პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
**03:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-რეინჯერსი (LIVE).
**05:40** სპორტდოსიე.
**06:06** ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. რასინგი-ხეტაფე.
**07:49** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

### EUROSPORT

**11:30** მულტისპორტი.
**11:45** საწყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. ჰოლანდია.
**13:00** საწყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. წყალში ხტომა. 1 მ. ქალები. ჰოლანდია.
**13:45** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ.
**15:15** ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. თავისუფალი პროგრამა. გიოტებორგი. შვედეთი.
**17:15** ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. მოკლე პროგრამა. გიოტებორგი. შვედეთი (LIVE).
**20:45** საწყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. წყალში ხტომა. 3 მ. მამაკაცები. ჰოლანდია.
**21:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:15** საწყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. ჰოლანდია (LIVE).
**23:15** ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თავისუფალი ცეკვა. გიოტებორგი. შვედეთი (LIVE).
**01:30** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
**03:15** ექსტრემალური სპორტი.
**03:45** რესტლინგი.

### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**11:00** არენა-ფეხბურთი. ამერიკის ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-კოლორადო.
**14:00** ექსტრემალური სპორტი.
**15:00** ახალი ამბები.
**17:00** ექსტრემალური სპორტი.
**18:00** ბილიარდი.
**19:00** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ინდონეზია.
**19:45** მულტისპორტი.
**20:00** ექსტრემალური სპორტი.
**21:00** ხელბურთი. ოთხი ერის ტურნირი. შვედეთი-ავსტრია. ინსბრუკი. ავსტრია (LIVE).
**22:30** ახალი ამბები.
**22:45** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
**23:15** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XV ტური. ბიარიცი-ბრივი (LIVE).
**01:15** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**01:30** საფეხბურთო ფრისტაილი. საფრანგეთი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** ხელბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ავსტრია-გერმანია. ინსბრუკი. ავსტრია.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ინგლისი

| I ლიგა | |
|---|---|
| ტრანმერი-პორტ ვეილი | 2:0 |
| **კონფერენსი** | |
| გრეისი-დროილსდენი | 3:1 |

### ესპანეთი

| 1/2 ფინალი. II მატჩი | |
|---|---|
| ვალენსია-ბარსელონა | 3:2 (1:1) |

ვალენსია: ჰილდებრანდი, მარჩენა, მორეტი, მიგელი, ალბიოლი, ხოაკინი (65. არისმენდი), ბარახა, სილვა (74. ბანეგა), მადური, ვილია, მატა (81. კანეირა).

ბარსელონა: ვალდესი, აბიდალი (61. სილვინიო), ძამბროტა (81. ედმილსონი), პუიოლი, მილიტო, ჩავი, ინიესტა, ტურე (52. ანრი), გუდიონსენი, ეტო'ო, კრკიჩი.

გოლები: 1:0 ბარახა (17), 2:0 მატა (44), 2:1 ანრი (72), 3:1 მატა (73), 3:2 ეტო'ო (80)

მაყურებელი: 40 000

### გერმანია

| | |
|---|---|
| აინტრახტი-კოტბუსი | 2:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აუგსბურგი-პადერბორნი | 0:1 |
| კაიზერი-ოფენბახი | 1:1 |
| სტ. პაული-ოსნაბრიუკი | 2:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ვერდერი A-ვოლსბურგი A | 3:0 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| შტუტგარტი A-აალენი | 2:3 |
| ბაიერნი A-ელვერსბერგი | 1:1 |
| ოგერშაიმი-მუნხენი A | 1:1 |
| ზიგენი-ინგლოშტადტი | 0:1 |

### დანია

| | |
|---|---|
| აგფ ორჰუსი-რანდერსი | 0:0 |
| ვიბორგი-ნორდსილანდი | 2:3 |
| ბრონდბიუ-მიდტიულანდი | 2:1 |
| ლუნგბიუ-ოდენსე | გადაიდო |
| **II დივიზიონი** | |
| ჰვიდოვრე-აკადემისკი | 0:0 |
| ფრემი-სიონდერილი | გადაიდო |
| ოლსტიკე-ჰიკ | გადაიდო |
| სკივე-ჰერფიოლგე | 3:1 |
| კიოგე-ნიკიოპინგი | 2:2 |
| ნაესტვედი-კიოლდინგი | 2:1 |
| სილკებორგი-ფრემადი | 0:0 |
| ვეილე-ფრედერისია | 1:0 |

### ბულგარეთი

| | |
|---|---|
| სლავია-მარეკი | 2:1 |

### პოლონეთი

| | |
|---|---|
| სოსნოვეცი-ლკს | 1:3 |
| ბელხატოვი-ლეხი | 0:3 |

### საბერძნეთის თასი

| 1/4 ფინალი | |
|---|---|
| არისი-ქსანტი | 1:0 |

### შვეიცარია

| ჩელენჯლიგა | |
|---|---|
| ვინტერტური-კონკორდია | 0:1 |
| გოსაუ-ბელინცონა | 0:1 |

### რუმინეთი

| | |
|---|---|
| არადი-უნივერსიტატეა (კრ) | 0:1 |
| უნირეა-გლორია (ბ) | 2:0 |
| რაპიდი-სტიაუა | გადაიდო |

## კალათბურთი

### ევროლიგა

| | |
|---|---|
| ბარსელონა-ცსკა | 64:62 |
| მაკაბი-ჟალგირისი | 80:66 |
| ოლიმპიაკოსი-რეალი | 72:63 |
| უნიკახა-რომა | 79:58 |

## ჰოკეი

### გერმანია

| | |
|---|---|
| დიუსელდორფი-ნიურნბერგი | 3:1 |
| ჰამბურგი-აისბარენი | 4:7 |
| იზერლონი-ფრანქფურტი | 2:2 |
| მანჰაიმი-კიოლნი | 2:1 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ტრენჩინი-სლოვანი | 3:0 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| სლავია-ლიბერეცი | 2:2 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ამბრი-ბაზელი | 6:1 |
| დავოსი-ციურიხი | 0:4 |
| ჟენევა-ფრიბურგი | 4:1 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| ფრიოლუნდა-ფერიესტადი | 5:4 |

## ჩოგბურთი

| ATP. ინდიან უელსი | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-ვავრინკა | 7:6, 6:2 |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| ივანოვიჩი-ზვონარევა | 6:1, 6:4 |

ჩოგბურთი. ახალი ამბები

# ბოსებმა კონსენსუსს მიაღწიეს

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF), პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (ATP), ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ (WTA) და "დიდი სლემის" ტურნირების ორგანიზატორებმა ყველა რანგის პროფესიულ ტურნირზე ვიდეოგამეორებების ერთიანი წესი შემოილეს.

მას შემდეგ, რაც ბურთზე კონტროლის ელექტრონული სისტემა შემოიღეს, სპორტსმენები სხვადასხვა ტურნირებზე მატჩების დროს, სხვადასხვაგვარად იყენებდნენ ვიდეოგამეორებებს მსაჯების გადაწყვეტილების შესამოწმებლად. ზოგან, ჩოგბურთელებს განუსაზღვრელი რაოდენობით შეეძლოთ ამ სისტემის გამოყენება, ზოგან კი, სეტში მხოლოდ ორჯერ.

ოთხშაბათს მიღებული საერთო წესის თანახმად, ყველა პროფესიულ ტურნირზე, ჩოგბურთელს ერთი მატჩის განმავლობაში სამჯერ შეეძლება მსაჯის გადაწყვეტილების შემოწმება და თუ მისი ვარაუდი გამართლდება, მას ეს ცდა შეუნარჩუნდება. მოთამაშეს პარტიაში მეოთხე ცდაც ექნება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე ტაი-ბრეიკამდე მივა. ხოლო იმ ტურნირებზე, სადაც გადამწყვეტ სეტში ტაი-ბრეიკი არ თამაშდება ("დიდი სლემი", დევისის თასი, ფედერაციის თასი), სპორტსმენს სამი ცდა ყოველ 12 გეიმში მიეცემა.

ახალი წესი მომავალი კვირიდან შევა ძალაში.

**გიორგი თვალია**

# კუერტენი მონაკოში მიიწვიეს



გუგა მალე დაგვემშვიდობება

ცნობილია, რომ ლეგენდარული ბრაზილიელი ჩოგბურთელი **გუსტავო კუერტენი** ამ სეზონში გამოსათხოვარ ტურნეს ატარებს, რის შემდეგაც ოფიციალურად დაემშვიდობება დიდ სპორტს. გუგას ბოლო ტურნირი მისი საყვარელი როლან გაროსი იქნება. როგორც იცით, ბრაზილიელს სამჯერ აქვს მოგებული საფრანგეთის ღია პირველობა (1997, 2000, 2001). მანამდე კი, კუერტენს მონტე კარლოს მასტერსზე ვიხილავთ. ტურნირის ორგანიზატორებმა ბრაზილიელისთვის უაილდ-ქარდი გამოყვეს. მასტერსი მონაკოში აპრილში გაიმართება.

კუერტენის მონტე კარლოში ასეთი ხერხით მიწვევა იმის გამო გახდა საჭირო, რომ გუგა ATP-ის რეიტინგში აღარ ირიცხება. ქრონიკული ტრავმების გამო, ბოლო ერთი წლის განმავლობაში კუერტენმა მხოლოდ ერთ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. სხვათა შორის, მსოფლიოს პირველ ჩოგანს მონაკოს მასტერსი ორჯერ - 1999 და 2000 წლებში აქვს მოგებული.

**გიორგი თვალია**

ჰოკეი. NHL. რეგულარული

**ბაფალო–ტამპა ბეი 7:4**

1:2, 0:2, 6:0

გოლები: 0:1 ჰალპერნი-16 (რეინჯერი-20), 0:2 სენტ ლუისი-24 (დ. ბოილი-17, ლეკავალიე-49), 1:2 პომინვილი-25 (ჰეხტი-25, ტალინდერი-16), 1:3 ლეკავალიე-38 (ი. იოკინენი-20, სენტ ლუისი-55), 1:4 ლეკავალიე-39 (ლესარდი-1, რეინჯერი-21), 2:4 პომინვილი-26 (გოსტადი-23), 3:4 ჰეხტი-20 (გოსტადი-24, პომინვილი-47), 4:4 ვანეკი-29 (დ. რუა-38, სტეფორდი-19), 5:4 ვანეკი-30 (დ. რუა-39, სტეფორდი-20), 6:4 ვანეკი-31 (დ. რუა-40, სტეფორდი-21), 7:4 ჰეხტი-21 (პომინვილი-48).

**ნიუ ჯერსი–რეინჯერსი 1:2 (ბ)**

1:0, 0:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ზუბრუსი-12 (რუპი-4, ბრილინი-10), 1:1 დრური-23 (კელეჰანი-2, სტრაკა-22).

ბულიტები გაიტანეს: დეივსი (რეინჯერსი).

**ატლანტა–კაროლინა 3:5**

0:3, 2:1, 1:1

გოლები: 0:1 ლეტოვსკი-6 (ივსი-10, ტ. რუუტუ-20), 0:2 სამსონოვი-13, 0:3 ე. სტაალი-35 (ჰემილტონი-14), 1:3 ლიტლი-5 (ვიაჩ. კოზლოვი-22, რეკი-31), 1:4 ჯენსენი-1 (ჰემილტონი-15, კონბოი-5), 2:4 მაკარტი-1 (ტორნბურნი-9, ჰოლიკი-18), 2:5 ე. კოული-21 (სამსონოვი-20, ჰედიკანი-14), 3:5 ვიაჩ. კოზლოვი-17 (ლიტლი-9, რეკი-32).

**დეტროიტი–კოლამბუსი 3:1**

0:0, 0:1, 3:0

გოლები: 0:1 მალორტა-11 (ნეში-28, ჰეინსი-23), 1:1 ზეტერბერგი-37 (რაფალსკი-38), 2:1 ზეტერბერგი-38 (დაციუკი-57, ლიდსტრომი-56), 3:1 ზეტერბერგი-39.

**ჩიკაგო–ვაშინგტონი 5:0**

4:0, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 ჯეისონ უილიამსი-12 (ვიშნიევსკი-17, ლანგი-31), 2:0 ტეუვზი-21 (კეინი-46, სიბრუკი-18), 3:0 ი. პერო-8 (ლანგი-32, სოპელი-18), 4:0 შარპი-35 (ლედი-15, ბოლანდი-10), 5:0 რ. ბურკი-10 (ჯეისონ უილიამსი-20).

**დალასი–ანაჰაიმი 1:2**

1:0, 0:1, 0:1

გოლები: 1:0 მოროუ-28 (ტურკო-3), 1:1 ს. ნიდერმაიერი-7 (სელიანე-8, გეტცლაფი-53), 1:2 ბერტუცი-14 (გეტცლაფი-54, სელიანე-9).

**სან ხოსე–მინესოტა 4:3 (ბ)**

1:0, 1:1, 1:2, 0:0

გოლები: 1:0 რიონიკი-12 (მარლო-24, კ. ბრაუნი-4), 1:1 ვეილო-11 (კ. ფოსტერი-12, რადივოევიჩი-9), 2:1 კ. ბრაუნი-2 (რიონიკი-14, შელი-5), 2:2 გაბორიკი-37 (ბერნსი-27, როლსტონი-25), 3:2 პაველსკი-17 (მ. მიხალეკი-26), 3:3 გაბორიკი-38 (როლსტონი-26, მ. კოივუ-25).

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ჩემპიონის რევანში



ნადალი ტიტულს იოლად არავის დაუთმობს

კალიფორნიის ქალაქ ინდიან ველსის "ტენის გარდენის" კორტებზე გრძელდება მასტერსის სერიის პირველი ტურნირი, რომელზეც უკვე მეოთხედფინალისტები გამოვლინდნენ. შარშან მოპოვებული ტიტულის დასაცავად თამაშს აგრძელებს მსოფლიოს მეორე ჩოგანი, ესპანელი **რაფაელ ნადალი**, რომელმაც მეოთხე წრეში ტურნირი ფრანგ **ჟო-ვილფრედ ცონგას** დაატოვებინა და ამით, ავსტრალიის ღიას ნახევარფინალში ნაგემი მარცხისთვის რევანში აიღო. თუმცა, ეს ძალიან გაუჭირდა.

სამაგიეროდ, იოლად მოიგო შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**, ვისაც სულ ორი სეტი დასჭირდა ხორვატი **ივან ლიუბიჩიჩის** დასამარცხებლად. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა სამჯერ შეძლო მეტოქის მოწოდების აღება და ტურნირზე ჩატარებული მესამე შეხვედრაც სეტის წაუგებლად მოიგო.

*"ახლა უკვე შემიძლია იმის თქმა, რომ ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. განსაკუთრებით კარგად კორტზე მოძრაობა გამომდიოდა. ხანდახან კი, როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა, განსაკუთრებით კარგად სწორედ მაშინ ვთამაშობდი. ერთ შეხვედრაში მისთვის სამი ბრეიკისართმევა უკვე იმას ნიშნავს, რომ კარგ ფორმაში ხარ. ყოველ შემთხვევაში, მას ამჯერად ვერც ძლიერმა მოწოდებამ უშველა, რაც მისი მთავარი იარაღია. კარგი იქნება, თუ შემდგომ შეხვედრებსაც ასეთ დონეზე ჩავატარებ"*, - განაცხადა ფედერერმა.

ძალიან საინტერესო გამოდგა ნადალისა და ცონგას შეხვედრა, რომელიც სამ საათს გაგრძელდა. ფრანგმა პირველი სეტი ტაიბრეიკზე მოიგო და მეორეშიც 5:2 დაწინაურდა. თითქოს, ნადალი ბარგის ჩასალაგებლად იყო განწირული, მაგრამ ესპანელმა სასწაული მოახდინა. ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი ტაიბრეიკზე თავად მოიგო სეტი. გადამწყვეტ ხელში კი ბოლო ხუთი გეიმიც მოიგო და შეხვედრაც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

უნდა ითქვას, რომ როგორც ყოველთვის, ცონგამ თამაშის აგრესიული სტილი აირჩია და რამდენიმე ძალიან ძნელი ბურთის მოგება შეძლო. მაგრამ ეს აგრესია მას უფრო ხშირად ცუდ სამსახურს უწევდა. 56 უნებლიე შეცდომა სწორედ ამის დასტურია. ნადალს ნაწილობრივ სწორედ მეტოქის შეცდომები დაეხმარა თამაშის შემობრუნებაში.

*"ცონგა ძალიან ძლიერი მეტოქეა. ვფიქრობ, ახლა უკეთ ვითამაშე, ვიდრე მელბურნში. თანაც, ჩემთვის აქაურ ამინდში თამაში უფრო მოსახერხებელია, ვიდრე მელბურნისაში, სადაც სიცხისგან ძალა გამოლეული მქონდა"*, - განაცხადა ნადალმა, ვინც შარშან, ამავე ტურნირის ფინალში სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** მოუგო.

ადვილად მოიგო ავსტრალიის ღიას ჩემპიონმა ჯოკოვიჩმა, რომელსაც ორი სეტი დასჭირდა არგენტინელი **გილერმო კანიასის** დასამარცხებლად. შეგახსენებთ, რომ შარშან სწორედ კანიასი იყო ის ჩოგბურთელი, ვინც ფედერერს ტურნირი დაატოვებინა და მანვე შვეიცარიელ მაესტროს მასტერსის კიდევ ერთ ტურნირზე მოუგო.

წინსვლას აგრძელებს გერმანელი **ტომი ჰაასიც**, ვინც სამ სეტში მოუგო ბრიტანელ **ენდი მარეის**. სამაგიეროდ, ტურნირს დაემშვიდობა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტი**, რომელსაც კარგ ფორმაში მყოფმა **მერდი ფიშმა** მოუგო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ATP**

**Pacific Life Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 589 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 23) 6:3, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ, 17) 6:7 (4), 7:6 (3), 7:5; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-გილერმო კანიასი (არგ, 16) 6:2, 6:3; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 7)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 22) 6:2, 6:2; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9)**-რიშარ გასკე (საფ, 8) 6:4, 6:2; **ტომი ჰაასი (გერ)**-ენდი მარეი (ბრიტ, 11) 2:6, 7:5, 6:3; **მარდი ფიში (აშშ, 31)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 24) 7:5, 3:6, 7:6 (4); **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-ჰიუნ ტაიკ ლი (კორ) 6:1, 5:7, 6:4.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ფედერერი (10)-ჰაასი; ფიში-ნალბანდიანი (7); ვავრინკა-ჯოკოვიჩი (3); გასკე (8)-ნადალი (2).

**WTA**

**Pacific Life Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 100 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 10) 6:2, 6:4; **მარია შარაპოვა (რუს, 4)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 5) 7:6 (7), 6:1.

ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი

# პირველი ოქრო გერმანელებს

შვედეთის ქალაქ გიოტებორგში მიმდინარე, ფიგურული ციგურაობის მსოფლიო ჩემპიონატზე, მედლების პირველი კომპლექტი წყვილთა შორის გათამაშდა, სადაც ოქროს მედლებს გერმანელების, **ალიონა სავჩენკოსა** და **რობინ ჟოლკოვის** დუეტი დაეუფლა. ამგვარად, წინა ორ სეზონში, წყვილებში ჩინელთა დომინირების შემდეგ, ამ დისციპლინაში ოქროს მედლები კვლავ ევროპას დაუბრუნდა.

მოკლე პროგრამის შემდეგ, ლიდერობა ჩინელების, **ჭან დანისა** და **ჭან ჰაოს** წყვილს ეპყრა, მაგრამ თავისუფალ პროგრამაზე დაშვებული შეცდომების გამო, მათ ლიდერობა გერმანელ მეტოქეებს დაუთმეს. ისე, უშეცდომოდ არც ამათ უასპარეზიათ, მაგრამ საბოლოო ჯამში, ჩინელებზე უკეთესი ქულები მიიღეს. ეს გერმანელ მოციგურავეთა პირველი წარმატებაა მას შემდეგ, რაც 1997 წელს წყვილებში ოქროს მედლებს **ინგო შტოიერი** და **მენდი ვოტცელი** დაეუფლნენ. სხვათა შორის, ახალი ჩემპიონები სწორედ შტოიერის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ.

საბოლოოდ, ჩინური წყვილი ვერცხლის მედლებს დასჯერდა, ბრინჯაოს კი კანადელების, **ჯესიკა დიუბისა** და **ბრაის დევისონის** დუეტი დაეუფლა.

*"თავისუფალი პროგრამის უშეცდომოდ შესრულება არც ჩვენ გამოგვივიდა, მაგრამ ასეთი საშუალო გამოსვლაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ოქროს დავუფლებოდით"*, - განაცხადა 28 წლის



ალიონა სავჩენკო და რობინ ჟოლკოვი

ჟოლკოვიმ, ვინც უკრაინული წარმოშობის, 24 წლის სავჩენკოსთან ერთად გამოსვლა ხუთი წლის წინ დაიწყო.

სავჩენკოს თქმით, მანათ და მისმა მეწყვილემ თითქმის ყველა ტექნიკური ელემენტი ოთხიანზე შეასრულეს. ეს კი მთელი სეზონის განმავლობაში დაუღალავი ვარჯიშის შედეგიაო. *"ყველაფერი ინგოს დამსახურებაა, რომელიც საფეხურებრივად გვიმატებდა საქმეს და ყველაფერი ილონა იმისთვის, რომ ჩვენ მეოთხე დონისთვის მიგვეღწია"*, - ამბობს სავჩენკო. ჩემპიონებს სალხოვის ილეთი არ გამოუვიდათ, რომლის შესრულებისას, ჟოლკოვმა წონასწორობა დაკარგა და დაეცა, სავჩენკო დაცემას კი გადაურჩა, მაგრამ წონასწორობის შესანარჩუნებლად ყინულს შეეხო, რაზეც ასევე, ქულები დაკარგა.

დანისა და ჰაოს დუეტს ორი წლის წინათ, მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები აქვს მოპოვებული. მათვე ტურინის ოლიმპიადაზეც ერთი ნაბიჯი დააკლდათ ტიტულამდე. როგორც ჩანს, მეორე ადგილი მათთვის გადაულახავ ბარიერად იქცა, რადგან თავისუფალ ვარჯიშზე თითქმის გარანტირებული გამარჯვება გაუშვეს ხელიდან.

ჩინურმა წყვილმა ოთხი ხტომიდან ორი გააფუჭა და საბოლოოდ, გერმანელებს თითქმის ხუთი ქულით ჩამორჩა. მათი გამოსვლა იმდენად უხეირო გამოდგა, რომ თავისუფალ პროგრამაში ისინი კანადურმა წყვილმაც ჩამოიტოვა. საბოლოოდ, დიუბი და დევისონიც მეორე ადგილოსნებს თითქმის ხუთი ქულით ჩამორჩნენ და კარიერაში პირველად შეძლეს მსოფლიო ჩემპიონატზე კვარცხლბეკზე ასვლა.

ამჯერად მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა ჩინელების, **პან ქინისა** და **ტონ ძიანის** დუეტი, რომელიც ორი წლის წინათ მსოფლიო ჩემპიონი გახდა, შარშან კი ვერცხლის მედლებს დაეუფლა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**